

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები

№2

ISSN 2449-3112

თბილისი, 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები

№2

ISSN 2449-3112

თბილისი
2017

**თსუ იურიდიული ფაკულტეტი
სისხლის სამართლის მიმართულების
პერიოდული გამოცემა**

სარედაქციო საბჭო:

მარა ივანიძე
მარია მესხი
ნინო გოგიაშვილი
თამარ მახარობლიძე

კორექტორი ნილი ელიზბარაშვილი

ტექ. რედაქტორი კახაბერ რუსიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა დავით კუთამიძე

© ავტორთა ჯგუფი, 2017

ISSN 2449-3112

გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47.

☎ 239-15-22; E-mail: meridiani777@gmail.com

შინაარსი

ნონა თომაზუა	
უმოქმედობის მიზეზობრიობის ზოგიერთი სადაც საკითხი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში	4
მარინა მესხი	
ფემიციდი – საკანონმდებლო რეგულირების გამოცდილება და გამოწვევები	16
თამარ მაჩარიშვილი	
არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები.....	23
სალომე ჭერელია	
ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით.....	38
პატრი კოჭლაგაზაშვილი	
ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში	49
ლელა გეტრეველი	
ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასპექტები.....	57
ელენე გოგუაძე	
აღმკვეთი ლონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე	65

უმოქმედობის მიზეზობრიობის ზოგიერთი სადაც საკითხი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში

ნონა თოდუა,
სამართლის დოქტორი,
თსუ პროფესორი

დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში უმოქმედობის მიზეზობრიობა ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად რჩება. ამ თვალსაზრისით, არ იქნება ინტერესს მოკლებული განვიხილოთ, თუ როგორ უნდა შეფასდეს მოძრაობის უსაფრთხოების ან ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესის დამრღვევი მძლოლის ქმედება, როცა იგი დახმარების გარეშე დატოვებს ავარიისაგან დაზარალებულს?

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ თუკი სათანადო წესის დარღვევამ გამოიწვია პირის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ხოლო მძლოლმა დახმარების გარეშე მიატოვა იგი, ქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ სსკ 276-ე მუხლის პირველი (ან მეორე) ნაწილით. ამ დროს დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 128-ე მუხლით (განსაცდელში მიტოვება) დაუშვებელია, რადგან განსაცდელში მიტოვება გულისხმობს დაუხმარებლად იმის მიტოვებას, ვინც იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება კი ისეთი ხარისხის დაზიანებაა, რაც არაა საშიში სიცოცხლისათვის.¹

დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის საკითხი დგება მაშინ, როცა მძლოლის გაუფრთხილებელი ქმედება გამოიწვევს სხვა პირის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას (რადგან ასეთი ხარისხის დაზიანება საშიშია სიცოცხლისათვის) და იგი დახმარების გარეშე მიატოვებს დაშავებულს.

განვიხილოთ ეს საკითხი რამდენიმე ვარიანტში:

პირველი ვარიანტი: მძლოლმა დაარღვევა მოძრაობის უსაფრთხოების წესი (მაგ. მოძრაობდა დაუშვებელი სიჩქარით) და თავისი გაუფრთხილებლობით მძიმედ დააშავა მოქალაქე. შემდეგ მიატოვა იგი დახმარების გარეშე და წავიდა, რადგან შეეშინდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის. ამავე დროს იმედი დაამყარა შემთხვევის ადგილას მყოფ ხალხზე, რომ ისინი მიეშველებოდნენ მას.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა. კერძოდ, სსკ 276-ე მუხლის მესამე ნაწილი (მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) და განსაცდელში მიტოვება (სსკ 128-ე მ.), რადგან მძლოლმა თავისი წინარე ქმედებით (თავისი გაუფრთხილებლობით მძიმედ დააშავა პირი) შეიძინა სამართლებრივი გარანტის ფუნქცია.² ამ დროს მძლოლს გაცნობიერებული აქვს, რომ პირი იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, ასევე ის, რომ მას აკისრია გარანტის ფუნქცია და ისიც, რომ დახმარება მისი შესაძლებლობის ფარგლებშია – შეუძლია წაიყვანოს საავადმყოფოში.

ამ ქმედების კვალიფიკაციისას არა აქვს მნიშვნელობა იმის გარკვევას, სინამდვილეში (რეალ-

1 იხ. სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2016, გვ. 147-148.

2 სამართლებრივი გარანტის საკითხზე იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 303-328; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. გ.ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ. 2016 (მე-2 გამოც.), გვ. 137-148; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 276-282.

ურად) შესძლებდა თუ არა სამართლებრივი გარანტი დაშავებულის გადარჩენას. მთავარია, რომ შეეძლო დახმარებოდა მას თავისი შესაძლებლობის ფარგლებში.³

რაც შეეხება მოსალოდნელ მძიმე შედეგს – სიკვდილს, (რომელიც სსკ 128-ე მუხლის შემადგენლობის გარეთაა), მის მიმართ მძლოლს ამოძრავებდა გაუფრთხილებლობა. კერძოდ, თვითიმედოვნება, რადგან იმედს ამყარებდა იქ მყოფ ხალხზე. მოცემულ სიტუაციაში ქმედების სსკ 128-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, გადარჩა თუ არა დაშავებული. ამას მნიშვნელობა აქვს მხოლოს სსკ 276-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით (მესამე, თუ მეხუთე ნაწილი) ქმედების კვალიფიკაციისათვის. კერძოდ, თუ დაშავებული მიუხედავად მძლოლის დაუხმარებლობისა, მაინც გადაარჩინეს, მძლოლის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 276-ე მუხლის მე-3 ნაწილისა (რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) და სსკ 128-ე მუხლების (განსაცდელში მიტოვება) ერთობლიობით. ხოლო თუკი მიყენებული დაზიანების გამო დაშავებული გარდაიცვალა, მძლოლის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 276-ე მუხლის მე-5 ნაწილითა (რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა) და 128-ე მუხლების ერთობლიობით.

მეორე ვარიანტი: მძლოლმა თავისი გაუფრთხილებლობით მძიმედ დააშავა რა მოქალაქე, მიატოვა იგი დახმარების გარეშე, რადგან შეეშინდა პასუხისმგებლობის. ამავე დროს არაფერზე და არავისზე არ ამყარებდა იმედს, რადგან შემთხვევის ადგილზე არავინ იმყოფებოდა. ამდენად, იგი უშვებდა, მიყენებული დაზიანებისაგან (და არა თავისი უმოქმედობისგან) მძიმედ დაშავებულის გარდაცვალების შესაძლებლობას.

მოცემულ ვითარებაში ქმედების კვალიფიკაცია არ იცვლება (სსკ 276-ე მუხლის მესამე ნაწ. და 128-ე მუხლი), რადგან განსაცდელში მიტოვებისას სამართლებრივ გარანტის მოსალოდნელ შედეგთან – სიკვდილთან (რომელიც სსკ 128-ე მუხლის გარეთაა), შესაძლოა აკავშირებდეს არა მარტო გაუფრთხილებლობა, არამედ არაპირდაპირი განზრახვაც.⁴ ამ შემთხვევაშიც ქმედების სსკ 128-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის ასევე არა აქვს მნიშვნელობა იმას, გადარჩა თუ არა დაშავებული. აქაც ამას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ქმედების სსკ 276-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით (მესამე, თუ მეხუთე ნაწ.) კვალიფიკაციისათვის.

საკითხავია, მაინც რატომ არ დაკვალიფიცირდება სიკვდილის დადგომის შემთხვევაში ეს ქმედება (დაშავებულის მიტოვება) არაპირდაპირი განზრახვით, უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობით (108-ე მ.).? გასაგებია, რომ სანამ არ დამდგარა სასიკვდილო შედეგი, მანამ ამ ქმედებას მკვლელობის მცდელობით ვერ დავაკვალიფიცირებთ, რადგან ქართულ სინამდვილეში არაპირდაპირ განზრახვას არ ახასიათებს მცდელობა,⁵ მაგრამ შედეგის დადგომის შემთხვევაში რა უშლის ხელს ქმედების მკვლელობით კვალიფიკაციას?

საქმე ისაა, რომ ასეთი კვალიფიკაცია გაუმართლებელი იქნება რამდენიმე გარემოების გამო, საიდანაც ზოგიერთი არის მატერიალური, ხოლო ზოგიერთი – პროცესუალური გარემოება:

ა) სასიკვდილო შედეგი მოცემულ შემთხვევაში **უშუალოდ გამოიწვია** მძლოლის მიერ გაუფრთხილებლობით ჩადენილმა ქმედებამ – მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევამ, რასაც მოჰყვა დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, შედეგ კი — მისი სიკვდილი. ამდენად, სასიკვდილო შედეგი **უშუალოდ არ გამოუწვევია** მძლოლის მიერ ჩადენილ უმოქმედობას — დაზარალებულის მიტოვებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ მიზეზობრიობის ნარმართველი ძალა იყო ის თავდაპირველი დაზიანება, რაც მძლოლმა მიაყენა პირს თავისი გაუფრთხილებლობით (მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევით) და რომლის ბუნებრივად განვითარებამ გამოი-

3 იხ. გ. მამულაშვილი წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, რედ. გ. მამულაშვილი, თბ. 2016, გვ. 186 4 ამ საკითხზე იხ. გ. მამულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

5 არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში მცდელობის შეუძლებლობის საკითხზე იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, პირვ. ტომი, თბ. 2007, გვ. 486-493; მ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ. 2013, გვ. 244-246; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ. 2011, გვ. 70-83; გ. მამულაშვილი წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2016, გვ. 170-178; ხოლო ამგვარ დანაშაულში მცდელობის შესაძლებლობის საკითხზე იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2013, გვ. 310-311; ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დამაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, წიგნი II, გვ. 147-182.

წვია ეს შედეგი. შესაბამისად, მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა არ იყო მძღოლის შემდგომი უმოქმედობა (დაშავებულის განსაცდელის მიტოვება);⁶

ბ) შეუძლებელია მძღოლს დავუსაბუთოთ, რომ როცა იგი დახმარების გარეშე ტოვებდა დაზარალებულს, გაცნობიერებული ჰქონდა დაზარალებულის გადარჩენის შესაძლებლობა, თუკი მას შესაძლებლობის ფარგლებში გაუწევდა დახმარებას. სამაგიროდ, ადვილია იმის დასაბუთება, რომ მძღოლს გაცნობიერებული ჰქონდა მიყენებული დაზიანების შედეგად სიკვდილის დადგომის შესაძლებლობა (რაც მას არ სურდა), ასევე გაცნობიერებული ჰქონდა მისი მხრიდან დახმარების შესაძლებლობა.

ამდენად, შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ მძღოლს გაცნობიერებული ჰქონდა, დახმარების შემთხვევაში შეძლებდა დაშავებულის გადარჩენას, რადგან მოცემულ ვითარებაში ადვილად შესაძლებელი და უფრო სარწმუნოა, მძღოლს ეფიქრა, რომ სანამ სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდოდა, სანამ დაშავებულს მიიყვანდნენ საავადმყოფოში, ან სანამ მედიცინის მუშაკები შეეცდებოდნენ მის დახმარებას, დაშავებული გარდაიცვლებოდა (მით უმეტეს, რომ ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ);

გ) განსახილველ ვარიანტში მძღოლს არ ამოძრავებდა დაზარალებულის სიკვდილის მიმართ პირდაპირი განზრახვა (არც პირველი ხარისხის და არც ე.წ. მეორე ხარისხის). ამდენად, არც სურდა ეს შედეგი და არც გაცნობიერებული ჰქონდა მისი დადგომის გარდაუვალობა.

ჩამოთვლილ მიზეზთაგან ყველაზე მთავარია პირველი მიზეზი — სასიკვდილო შედეგთან უშუალო მიზეზობრივ კავშირშია მძღოლის გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება (მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა), რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და არა მისი შემდგომი უმოქმედობა (დაზარალებულის მიტოვების ფაქტი).

ამდენად, ეს შემთხვევა არსებითად განსხვავდება ისეთი შემთხვევისაგან, როცა პირი არა-პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედებით აფუძნებს საფრთხეს, რამაც იწვევს სასიკვდილო შედეგს.

მაგალითად, ხალხთმრავალ ქუჩაში გასართობად გამოსულმა პეტრემ ცეცხლსასრულო იარაღი-დან რამდენიმე ტყვია დაუშინა ყრუ კედელს, რა დროსაც ითვალისწინებდა, რომ ამ მართლ-საწინააღმდეგო ქმედებას, შეიძლებოდა მოჰყოლოდა მართლსაწინააღმდეგო შედეგი. მათ შორის სიკვდილიც, რაც მას არ სურდა, მაგრამ გულგრილი იყო ასეთი შედეგის მიმართ (არაპირდაპირი განზრახვა). მართლაც, კედლიდან ასხლეტილი ერთი ტყვია მოხვდა იქვე მდგარ პირს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. სახეზე მკვლელობა, ჩადენილი არაპირდაპირი განზრახვით. აქ პეტრეს ქმედებასა (ტყვიების სროლა ყრუ კედლის მიმართულებით) და დამდგარ შედეგს (სიკვდილს) შორის არის უშუალო მიზეზობრივი კავშირი, რაც იმას ნიშავს, რომ მიზეზობრიობის დამაფუძნებელია მის მიერ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედება (ტყვიების უმისამართო გასროლა).

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს შემდეგი: როცა მძღოლი დახმარების გარეშე ტოვებს მისი გაუფრთხილებელი ქმედებით მძიმედ დაშავებულს და არაფერზე ამყარებს იმედს, მას გაცნობიერებული ის კი არა აქვს, რომ მისი ეს უმოქმედობა გამოიწვევს სასიკვდილო შედეგს (ანუ მოქმედების შემთხვევაში შეძლებს ამ შედეგის აცილებას), არამედ ისა აქვს გაცნობიერებული, რომ მიყენებული ტრავმა გამოიწვევს ასეთ შედეგს.

მესამე ვარიანტი: მძღოლმა თავისი გაუფრთხილებლობით მძიმედ დაშავა რა მოქალაქე, მივიდა მასთან დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ მოულოდნელად მასში შეიცნო მისი მტერი, რომლის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. მას გაუხარდა, რომ იგი მძიმედ დაშავებული ნახა და შეგნებულად მიატოვა დახმარების გარეშე, თუმცა მისი საავადმყოფოში წაყვანა უპრობლემოდ შეეძლო.

როგორც ვხედავთ, ამ დროს მოსალოდნელი შედეგის (სიკვდილის) მიმართ მძღოლს ამოძრავებს პირდაპირი განზრახვა (კერძოდ, ე.წ. პირველი ხარისხის), რაც გამორიცხავს მისი ქმედების კვალიფიკაციას სსკ 128-ე მუხლით (განსაცდელში მიტოვება). საფრთხის ამ დელიქტის ჩვენს სს

6 საერთოდ, თუ რატომ არაა უმოქმედობა მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა, ამ საკითხზე ქვემოთ იქნება საუბარი.

კოდექსში არსებობის დანიშნულება ისაა, რომ სამართლებრივი შეფასების გარეშე არ დარჩეს ისეთი შემთხვევა, როცა პირს გაცნობიერებული აქვს სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა, მაგრამ მოსალოდნელი შედეგის (სიკვდილის) მიმართ არ ამოძრავებს პირდაპირი განზრახვა.⁷ შესაბამისად, ეს შემთხვევა სსკ 276-ე მუხლის მე-3 ნაწილთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 19, 108 მუხლით როგორც უმოქმედობით ჩადენილი მარტივი მკვლელობის მცდელობა (და არა ნინასნარ შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობის მცდელობა 19, 109 მ.).

რატომ მარტივი მკვლელობის მცდელობით? პასუხი ასეთია:

ა) რადგან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობა მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვლება იმდენად, რამდენადაც ამ დროს მკვლელი სარგებლობს პირის უმწეობით. კერძოდ იმით, რომ მსხვერპლს არ შეუძლია წინააღმდეგობის განევა ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლის გამო და მოკვლის განზრახვით, თავისი ქმედებით აფუნქციას საფრთხეს მის მიმართ, რაც იწვევს სიკვდილს; ანდა თავისი ქმედებით აჩქარებს მის სიკვდილს. **მაგალითად**, პეტრემ დანის გამოყენებით მოკლა ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი, რომელიც მართალია, მაინც მალე გარდაიცვლებოდა, მაგრამ არა ამჯერად. ანდა ზემოთხსენებულმა მძლოლმა დაშავებულში ამოიცნო რა მისი მტერი, ხრამში გადააგდო იგი, რამაც მისი სიკვდილი დააჩქარა. ანდა დამრღვევმა მძლოლმა შემთხვევის ადგილზევე იარაღის გამოყენებით მოკლა დაშავებული, რომელიც რამდენიმე საათში მაინც გარდაიცვლებოდა.

ამდენად, ამ დამამძიმებელი გარემოების გამოყენებისათვის აუცილებელია, მკვლელმა მსხვერპლის უმწეობა გამოიყენოს მკვლელობის გასაადვილებლად, რაც როგორც წესი, ხდება მოქმედებით ჩადენილი მკვლელობისას.⁸ ასეთ ვითარებას კი მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია;

ბ) სწორედ ამიტომ აღიარებულია, რომ სახეზე არა ეს დამამძიმებელი გარემოება მაშინ, როცა მკვლელი თავად ჩააგდებს მსხვერპლს უმწეო მდგომარეობაში (მაგალითად, შეუკვარს ხელფეხს), რათა ამით გაიადვილოს მისი მოკვლა;⁹

დ) როგორც ზემოთ აღინიშნა, ცნობილია, რომ უმოქმედობისას სამართლებრივი გარანტის ნება და მისი უმოქმედობა არა მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა.¹⁰ სწორედ ამიტომაა ეს საკითხი ლიტერატურაში სადაც. ამიტომაა, რომ ზოგიერთი ქვეყანა (მაგ, საფრანგეთი) არ ცნობს უმოქმედობის მიზეზობრიობას.

საკითხავია, საერთოდ რატომ არაა უმოქმედობა მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა?

საქმე შემდეგშია: ა) უმოქმედობისას მიზეზობრიობას სხვა ძალა აფუნქციას და სხვა ძალა წარმართავს. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხი მხოლოდ მაშინ დგება, როცა სახეზეა სპეციალური სუბიექტი – სამართლებრივი გარანტი. შესაბამისად, უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხი სისხლის სამართალში არ დგება, როცა სახეზეა საერთო სუბიექტი. უმოქმედობა მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა რომ იყოს, მაშინ მისი სუბიექტი იქნებოდა ნებისმიერი 14 წელს მიღწეული ბრალუნარიანი პირი, როგორც ამას ადგილი აქვს მოქმედების მიზეზობრიობის დროს; ბ) ამასთანავე უმოქმედობის მიზეზობრიობის არსებობისათვის აუცილებელია, სამართლებრივ გარანტს შეეძლოს თავისი მოვალეობის შესრულება. თუმცა არც ესაა საკმარისი მიზეზობრიობი კავშირის არსებობისათვის; გ) ასევე აუცილებელია დადგინდეს, რომ ამ სავალდებული და შესაძლო ქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული (სსკ მე-8 მ-ის მე-3 ნაწ.).

7 ბრალის საკითხზე საფრთხის დელიქტში იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-4 გვ. 216-220. მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტში, თბ. 1982, გვ. 12-41; გ. მამულმცილი წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, გვ. 171-182; თ. ცქიტიმცილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 142-158.

8 ამ საკითხზე იხ. მ. ლეველიმცილი, ნ. თოლია წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. 2016, გვ. 56-57.

9 იხ. იქვე.

10 ამ საკითხზე იხ. ქ. მჭედლიმცილი-ჰედრიხი წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, თბ. 2016, გვ. 125; ნ. თოლია წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ. 2016, მე-2 გამოც. გვ. 374-375.

სწორედ აქ ისმის კითხვა: რომელი შედეგი იქნებოდა აცილებული?

რა თქმა უნდა ის შედეგი, რისი დადგომაც უკვე იყო განპირობებული სხვა ფაქტორების ზეგა-ვლენით, რადგან გამორიცხულია, ერთი ქმედებით (ამ შემთხვევაში უმოქმედობით) შესაძლებელი იყოს როგორც რაიმე საფრთხის და აქედან გამოწვეული შედეგის დაფუძნება, ისე ამავე დროს მისი თავიდან აცილება.

მაგალითად, მედიცინის მუშაკს, როგორც სამართლებრივ გარანტს, ევალება, იზრუნოს საავადმყოფოში მიყვანილ მძიმედ დაშავებულზე. თუ იგი მას მიატოვებს აუცილებელი დახმარების გარეშე და ეს სიცოცხლის მოსპობით დამთავრდება, დადგება საკითხი მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირობის დამტკიცებისა (სავალდებულო და შესაძლო ქმედებით თუ იქნებოდა თავიდან აცილებული ეს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომლის დადგომის საფრთხე სხვა გარემოებით იყო დაფუძნებული)?

ამდენად, ეს მესამე პირობა აშკარად ხაზს უსვამს იმას, რომ დამდგარი შედეგის წარმმართველი სულ სხვა ძალა, რომლის განეიტრალება ევალება მხოლოდ სამართლებრივ გარანტს. რაც შეეხება სისხლის სამართლის საერთო სუბიექტს, მისთვის ამ ძალების განეიტრალება არაა სამართლებრივი მოვალეობა, არამედ მხოლოდ სოლიდარული (მოქალაქეობრივი) ვალია.

ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა იყო ავარიის შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების გამო ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებები და არა მძლოლის უმოქმედობა. ამდენად, მძლოლი სიკვდილის პირას მყოფის მიმართ უმოქმედობის გამოჩენის ფაქტით არ ცდილობდა (და ვერც შეეცდებოდა) თავისი უმოქმედობით დაეფუძნებინა ახალი საფრთხე და დაეჩქარებინა სასიკვდილო შედეგი – დაშავებული ისედაც იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში (ანუ სიკვდილის პირას) და აუცილებელი იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარება. შესაბამისად, მძლოლი ახალ საფრთხეს უმოქმედობით ვერც დააფუძნებდა და ვერც შექმნილ საფრთხეს აამაღლებდა. მისი კონფლიქტი სამართალთან მხოლოდ იმაში გამოვლინდა, რომ თავისი უმოქმედობით შეგნებულად არ შეუშალა ხელი საფრთხის ბუნებრივი გზით განვითარებას.

ამგვარ შემთხვევაში ახალი საფრთხის დაფუძნება ან შექმნილი საფრთხის ამაღლება შესაძლებელი იყო მხოლოდ მოქმედებით.

მაგალითად, თუ დავუშვებთ, რომ მძლოლმა დაშავებულს, რომელშიც შეიცნი მისი მტერი, დაახალა ტყვია და მოკლა (ან დაახრჩო იგი). ამ დროს სახეზეა მკვლელობა წინასწარ შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირისა, რადგან მძლოლმა დაშავებულის მიმართ ახალი საფრთხე დააფუძნა, რომელმაც დააჩქარა ავტო-ავარიით დაზიარებული პირის სიკვდილი, რომელიც შესაძლოა, მოგვიანებით მაინც დადგებოდა.

შესაბამისად, ამ დროს სიკვდილი დგება არა ავარიით მიყენებული დაზიანების ბუნებრივად განვითარების შედეგად, არამედ მძლოლის მიერ ახალი (და თანაც განზრახი) ქმედებით დაფუძნებული საფრთხის შედეგად, რომელმაც ამჟამად გამოიწვია სიკვდილი. აქ უკვე მნიშვნელობა არა აქვს იმას, ასეთი შედეგი მაღლევე მაინც დადგებოდა თუ არა.

ამდენად, ზემოთ ხსენებულ მაგალითში დაზიარებულის სიკვდილი ობიექტურადაც არ დაჩქარებულა. მძლოლს, როგორც სამართლებრივ გარანტს, მოცემულ ვითარებაში ევალებოდა, მიეღო ზომები სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში უკვე მყოფი პირის ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად, რაც მან მისი მოკვლის სურვილის გამო არ გააკეთა („არ გამოიხსნა“ იგი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობიდან) და მკვლელობის მცდელობაც ამაში გამოიხატება.

აქვე უნდა ითქვას შემდეგი: არაა გამორიცხული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობა, რაც ჩადენილი იყო უმოქმედობით, ზოგჯერ შეფასდეს, როგორც მკვლელობის ეს დამამძიმებელი გარემოება – 109 მ. ეს ის შემთხვევაა, როცა სამართლებრივი გარანტი თავისი უმოქმედობით აფუძნებს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობას, რომელიც არ წარმოიშობოდა, თუკი იგი შეასრულებდა მასზე სამართლებრივად დაკისრებულ, სავალდებულო და შესაძლო ქმედებას.

მაგალითი: ცოლს მოპეზრდა მისი ღრმად მოხუცებული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქმრის

მოვლა, რომელსაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო და გადაწყვიტა მისი თავიდან მოშორება. ამ მიზნის მისაღწევად იგი რამდენიმე კვირით წავიდა ნათესავებთან და მზრუნველობის გარეშე დატოვა მოხუცი ქმარი მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მარტო დარჩენილი მოხუცი თავის თავს ვერ მიხედავდა და საკუვებისა და წყლის გარეშე დარჩებოდა.

საკუვებისა და წყლის გარეშე დარჩენილი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცი ორ კვირაში გარდაიცვალა.

სახეზეა წინასწარ შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობა უმოქმედობით (109-ე მ.), რადგან ეს შემთხვევა აკმაყოფილებს უმოქმედობით ამ სახის მკვლელობის ყველა პირობას.

რატომ? ა) სახეზეა სამართლებრივი გარანტი, რომელსაც ევალებოდა უმწეო მდგომარეობა-ში მყოფი მეუღლის მოვლა; ბ) სამართლებრივ გარანტის შეეძლო უმწეო მდგომარეობაში მყოფი მეუღლის მიმართ სავალდებული ქმედების (მისი კვებისა და მოვლის) უზრუნველყოფა; გ) მას რომ შეესრულებინა ეს სავალდებული და შესაძლო ქმედება, მეუღლის სიკვდილი ამჯერად არ დადგებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახეზეა უმოქმედობის მიზეზობრიობის სამივე პირობა.

ამას ემატება ის, რომ სამართლებრივი გარანტის სურდა მისი მეუღლის მოვლა. ამდენად, სახეზეა პირდაპირი განზრახვა დამდგარი შედეგისადმი.

საკითხავია, რით განსხვავდება ეს შემთხვევა მძღოლის მიერ ჩადენილი უმოქმედობისაგან? იქაც ხომ თითქოს ანალოგიურ გარემოებაბთან გვაქვს საქმე? რით განსხვავდება ეს ორი მაგალითი ერთმანეთისაგან?

მათ შორის განსხვავება შემდეგშია:

ა) პირველ მაგალითში ავარიის შედეგად დაშავებული პირის უმწეობა გამოიხატება იმაში, რომ იგი იმყოფება **სიცოცხლისათვის საშიში** მდგომარეობაში, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება კვალიფიციური სამედიცინო დახმარება. **მეორე მაგალითში** კი პირი იმყოფება **სხვაგვარ უმწეო მდგომარეობაში**, რაც არაა დაკავშირებული **სიცოცხლისათვის საშიში** ვითარებასთან — მისი უმწეობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ არ შეუძლია, დამოუკიდებლად მოუაროს თავს. სხვა მხრივ, მას არ სჭირდება სამედიცინო დახმარება;

ბ) აქედან გამომდინარე, **პირველ მაგალითში** სამართლებრივ გარანტის ევალება, მიიღოს ზომები პირის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობიდან გამოსაყვანად, რაც მან არ გააკეთა. **მეორე მაგალითში** კი სამართლებრივ გარანტის ევალებოდა მეუღლისათვის მხოლოდ ელემენტარული ადამიანური პირობების შექმნა კვებითა და სათანადო მოვლით, რაც მან ან გააკეთა;

გ) შესაბამისად, პირველ მაგალითში სამართლებრივმა გარანტმა „**არ გამოიხსნა**“ **სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობიდან დაშავებული**, რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი მიყენებული დაზიანების ბუნებრივად განვითარების შედეგად; **ხოლო მეორე მაგალითში** ცოლმა თავისი უმოქმედობით (საკუვების მიუცემლობით) უმწეო მდგომარეობაში მყოფი მეუღლე (რომელიც არ იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, „**ჩააგდო**“ **სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში** და ამ გზით **ნელ-ნელა** (გარკვეული დროის განმავლობაში) მოკლა.

ეს ორი შემთხვევა შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ სათანადო ფორმულებით:

პირველ მაგალითში მკვლელობის ფორმულა:

სამართლებრივი გარანტის პირდაპირ განზრახვას + მისი უმოქმედობა + დაზარალებულის უმწეო მდგომარეობა (კერძოდ, უკვე არსებული სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა) = დაზარალებულის სიკვდილს (მარტივი მკვლელობა — 108-ე მ.);

მეორე მაგალითში მკვლელობის ფორმულა:

სამართლებრივი გარანტის პირდაპირ განზრახვას + მისი უმოქმედობა + დაზარალებულის უმწეო მდგომარეობა (რომელიც არა **სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა**) = სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობას (და არა სიკვდილს).

შემდეგ კი, უკვე შექმნილ საშიშ მდგომარეობას + სამართლებრივი გარანტის პირდაპირი განზრახვა + გარანტის უმოქმედობა (რომელიც გრძელდებოდა რამდენიმე კვირის განმავლობაში) = დაზარალებულის სიკვდილს (სსკ 109-ე მ.).

როგორც ვხედავთ, აქ **სიკვდილის მიზეზი არაა** პირის მოხუცებულობით გამოწვეული უმწეო მდგომარეობა, **არამედ მისი მიზეზია** შიმშილის გამო ორგანიზმის დასუსტება. მისთვის საკვების მიცემა რომ არ შეეწყიტათ, ამჯერად სიკვდილი არ დადგებოდა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიკვდილი არ დამდგარა მუხუცებულობის ბუნებრივი განვითარების შედეგად, არამედ **იგი დადგა იმ ახალი საფრთხის** (შიმშილის) ბუნებრივი განვითარების შედეგად, რომელი საფრთხეც დააფუძნა სამართლებრივმა გარანტმა (მეუღლემ) თავისი უმოქმედობით.

პირველ მაგალითში კი სასიკვდილო შედეგი დადგა ავარიით გამოწვეული ტრავმის ბუნებრივად განვითარების შედეგად (და არა მძლოლის მიერ დაფუძნებული რაიმე ახალი საფრთხის გამო).

ამდენად, მეორე მაგალითში სამართლებრივმა გარანტმა (**ცოლმა**) გამოიყენა ქმრის უმწეობა მისი მოკვდინებისათვის, რადგან თავისი უმოქმედობით ჯერ ჩააგდო ქმარი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, შემდეგ კი ნელ-ნელა მოკლა იგი.

შესაბამისად, **არ შეიძლება მიეცეს ერთნაირი სამართლებრივი შეფასება** ვითარებას, როცა სამართლებრივი გარანტი მოკვლის განზრახვით „არ გამოიხსნის“ პირს სხვა მიზეზით უკვე შექმნილი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობიდან და იმ ვითარებას, როცა გარანტი ასეთივე განზრახვით, უმოქმედობით „ჩააგდებას“ უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და ამ გზით თანდათან კლავს მას.

მართალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში სხვა სახის დამამძიმებელი გარემოებაცაა სახეზე (მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით), მაგრამ ეს საკითხის სხვა მხარეა.

მივუბრუნდეთ ზემოთ ხსენებულ შემთხვევას, როცა მძლოლმა სიკვდილის გამოწვევის მიზნით დატოვა დაშავებული დახმარების გარეშე.

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, თუკი ამ შემთხვევას მოჰყვა დაშავებულის სიკვდილი?

დასმულ კითხვას შეიძლება პასუხი გაეცეს ორ ვარიანტში:

პირველი ვარიანტი – შესაძლებელია (შესაძლებელია და არა აუცილებელი) მძლოლის ქმედება სსკ 276-ე მუხლის მესამე ნაწილისა (და არა მეხუთე ნაწ.). და უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობის (108 მ.) ერთობლიობით დაკვალიფიცირდეს, თუ სახეზეა უმოქმედობის მიზეზობრიობის სამიერ წინაპირობა:

1. პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა (სამართლებრივი გარანტი);

2. მას ჰქონდა ასეთი მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა;

3. შესაძლო და სავალდებულო ქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

მოცემულ მაგალითში სადაც არა პირველი და მეორე წინაპირობის არსებობა.

გასარკვევია მხოლოდ მესამე წინაპირობის არსებობა. ეს საკითხი სათანადო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. კერძოდ, თუ დადგინდა, რომ მძლოლის მიერ შესაძლო და სავალდებულო ქმედებით დაშავებული სიკვდილს გადაურჩებოდა, მას ეს შედეგი (სიკვდილი) შეერაცხება და საბოლოოდ მისი ქმედება სსკ 276-ე მუხლის მესამე ნაწილთან (და არა მე-5 ნაწილთან) ერთად მკვლელობის მუხლითაც დაკვალიფიცირდება (108-ე მ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტიზის დასკვნა უნდა იყოს კატეგორიული. თუკი დასკვნა სავარაუდოა („მისი გადარჩენის შანსი მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა“, ან „შესაძლოა, იგი გადარჩენილიყონა“, მაშინ მძლოლს ეს შედეგი (სიკვდილი) შეერაცხება სსკ 276-ე მუხლით (მისი მეხუთე ან მეექვსე ნაწ.), როგორც მიყენებული ტრავმისაგან გამოწვეული შედეგი. მას ეს შედეგი არ შეერაცხება მკვლელობის მუხლით, რადგან სახეზე არა უმოქმედობის მიზეზობრიობის მესამე წინაპირობა. შესაბამისად, ყოველგვარი ეჭვი (მათ შორის გონივრულიც) უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ.

ამდენად, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით და მკვლელობის მცდელობით (19, 108 მ.).

მეორე ვარიანტი: მძღოლის ქმედება, როცა მან მოკვლის მიზნით მიატოვა დაშავებული, რომელიც მიყენებული დაზიანებისაგან გარდაიცვალა, ყველა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს არა მკვლელობით, არამედ მკვლელობის მცდელობით (19, 108-ე მ.) და სსკ 276-ე მუხლის მე-5 (ან მე-6) ნაწილით (მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, თუ დადგენილია მიზეზობრივი კავშირი მძღოლის მიერ ჩადენილ დარღვევასა და დამდგარ სიკვდილ შორის).

რატომ მკვლელობის მცდელობით და არა მკვლელობით, თუკი შესაძლებელია იმის დადგენა, რომ შესაძლო და სავალდებულო ქმედებით მძღოლი თავიდან აიცილებდა სასიკვდილო შედეგს?

ამ კითხვას ასეთი პასუხი უნდა გაეცეს: საქმე ისაა, რომ დაშავებულისათვის დახმარების აღმოუჩენლობა არის უმოქმედობა. უმოქმედობა კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არასოდეს არაა მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა. იგი არც ამ შემთხვევები იყო ასეთი ძალა. მიზეზობრიობის წარმმართველი ამ მაგალითში იყო ის დაზიანება (მძიმე ხარისხის დაზიანება), რაც მსხვერპლმა მიიღო მძღოლის წინარე ქმედებით (მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევით). სწორედ ამ დაზიანების ბუნებრივად განვითარებას მოჰყვა დაშავებულის სიკვდილი.

ამდენად, უფრო სამართლიანი იქნება ეს შედეგი აისახოს იმ ნორმაში (სსკ 276-ე მ-ში), რომლის მოთხოვნის დარღვევით მძღოლმა დააფუძნა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება, რაც უშეუალო მიზეზობრივ კავშირში იყო დამდგარ სასიკვდილო შედეგთან. შესაბამისად, მძღოლის შემდგომი ქმედება (დახმარების აღმოუჩენლობა), ცალკე უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა დამრღვევ მძღოლს მოსალოდნელი სასიკვდილო შედეგის მიმართ.

კერძოდ, თუ იგი იმედოვნებდა, რომ სხვები აიცილებდნენ ამ შედეგს, ანდა სასიკვდილო შედეგთან აკავშირებდა არაპირდაპირი განზრახვა (არ სურდა დაშავებულის სიკვდილი, მაგრამ მიყენებული დაზიანების შედეგად არც გამორიცხავდა მის გარდაცვალებას), სახეზეა განსაცდელში მიტოვება (128-ე მ.).

ხოლო როცა მძღოლმა მოკვლის მიზნით მიატოვა დაშავებული დახმარების გარეშე, სსკ 276-ე მუხლის შესაბამის ნაწილთან ერთად ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლელობის მცდელობით — 19, 108-ე მ.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეში უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი მძღოლის წინარე ქმედებასა (მოძრაობის უსაფრთხოების ან ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესის დარღვევა) და დამდგარ სასიკვდილო შედეგს შორის. ამდენად, არაა საჭირო დაინიშნოს ექსპერტიზა იმის ჰიპოთეტურად დადგენისათვის, მძღოლის შესაძლო და სავალდებულო ქმედებით დაშავებულის სიკვდილი თუ იქნებოდა თავიდან აცილებული.

ისმის კითხვა: თუკი ეს ასეა, მაშ რა შემთხვევისათვის შემოილო კანონმდებელმა სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი (უმოქმედობის მიზეზობრიობა)? ხომ არ გამოდის, რომ ქმედების ზემოთ მითითებული ვარიანტისათვის მხარდაჭერის შემთხვევაში სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი ჩვენს კოდექსში ზედმეტი აღმოჩნდება?

ამ კითხვის პასუხად უნდა ითქვას შემდეგი: სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დანიშნულებაა, დაადგინოს უმოქმედობის მიზეზობრიობა იმ შემთხვევებში, როცა საფრთხე არ იყო დაფუძნებული ჰირის წინარე ქმედებით, არამედ სიცოცხლისათვის სახიფათო საფრთხე დაფუძნდა სხვა გარემოების გამო. **მაგალითად**, სხვა ბუნებრივი ფაქტორების მიზეზით (ვთქვათ, სტიქის გამო) მიღებული ტრავმით, რის გამოც მას სჭირდება აუცილებელი დახმარება, რაც ევალება გარანტს; სხვა ჰირთა გაუფრთხილებელი, თუ განზრახი ქმედებით (ვთქვათ, როცა ადამიანს თავსა დაესხნენ და მიაყენეს მძიმე დაზიანება); ორგანიზმი განვითარებული დაავადებით (ვთქვათ, ადამიანს დაეწყო გულის შეტევა), რის გამოც მას სჭირდება აუცილებელი დახმარება, რაც ევალება სამართლებრივ გარანტს; ანდა ჰირის უმწეობის გამო საკუთარი თავისადმი მოვლა-პატრონობის შეუძლებლობით (ვთქვათ, მცირენლოვანს არ შეუძლია გამოიკვებოს თავისი თავი) ამოტომ ეს ევალება მის სამართლებრივ გარანტს, რომელიც ამას არ ასრულებს და ა.შ.

შესაბამისად, სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის **დანიშნულება არაა მიზეზობრივი კავშირის დად-**

გენა იმ შემთხვევაში, როცა პირი თავისი წინარე ქმედებით (რაც შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს), აფუძნებს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობას, რისი ბუნებრივი განვითარების შედეგად დგება მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

როგორია ამ კუთხით სასამართლო პრაქტიკა?

პრაქტიკის შესწავლით დავრწმუნდით, რომ ზოგჯერ სერიოზულ შეცდომას აქვს ადგილი სატრანსპორტო დანაშაულებთან დაკავშირებით დაზარალებულთა დახმარების გარეშე მიტოვების შემთხვევის კვალიფიკაციისას.

მაგალითი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა სისხლის სამართლის საქმე სატრანსპორტო დანაშაულთან დაკავშირებით ბრალდებულ ბ. ყ-შვილის მიმართ.¹¹

საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში:

ბ. ყ-შვილს ახალციხის რაიონის სოფლის მაცხოვრებლებთან ერთად მისი კუთვნილი სატრანსპორტო-სამგზავრო ავტობუსით გადაპექონდა ტვირთი. ერთ -ერთი მგზავრი ნასვამ მდგომარეობაში იყო. ერთი სოფლის გადასახვევთან ნ. ყ-შვილმა შეაჩერა ავტობუსი ნასვამი მგზავრის ჩასვლის მიზნით. მგზავრი ჩავიდა ავტობუსიდან, რის შემდეგაც მძღოლმა ბ. ყ-შვილმა ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოების წესის დაცვა და დაძრა ავტობუსი, რა დროსაც მარჯვენა საბურავებით ფეხზე გადაუარა ჩასულ მგზავრს. მძღოლმა სარკეში დაინახა ძირს დავარდნილი მგზავრი, გააჩერა ავტობუსი და მივიდა მასთან. მან ნახა, რომ მისი გაუფრთხილებლობის გამო დაზარალებული იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და არ შეეძლო საკუთარი თავის დასახმარებლად ზომების მიღება, ვინაიდან დაზიანებული ჰქონდა ფეხი, სდიოდა სისხლი და ვერ გადაადგილდებოდა.

მძღოლმა დაშავებულს მხრებში მოკიდა ხელი და გადაიყვანა იგი შემთხვევის ადგილიდან 10 მეტრის მოშორებით საავტომობილო გზის მოსაცდელთან. მოაფარა იგი მოსაცდელის კუთხეს, თავად კი განაგძო გზა ისე, რომ მგზავრებს არაფერი შეუტყვიათ. დაშავებულის გადაადგილებაში მძღოლს მიეხმარა მისი ძმა.

დაახლ. 20-30 წუთის შემდეგ დაზარალებული ნახეს სოფლის მაცხოვრებლებმა, რომლებმაც სხვა თანასოფლებებს შეატყობინებს და დაახლ. ერთი საათის შემდეგ იგი წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც რამდენიმე წუთში გარდაიცვალა.

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლომ (ახალციხის რაიონულმა სასამართლომ და თბილისის საოლქო სასამართლომ) ეს ქმედება დააკვალიფიცირა დანაშაულთა ერთობლივიბით.¹² კერძოდ, სსკ 276-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და სსკ 128-ე მუხლით (მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და განსაცდელში მიტოვება). საქმის მასალებით დადგენილი იყო მიზეზობრივი კავშირი მძღოლის მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევასა და დამდგარ სასიკვდილო შედეგს შორის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ამ საქმეზე განიხილა საკასაციო საჩიგვარი და განაჩენში შეიტანა გარკვეული ცვლილება. კერძოდ, მძღოლის ქმედება სსკ 276-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის მე-3 ნაწილზე (რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება), ხოლო სსკ 128-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში განაჩენი გაუქმდა და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდა საქართველოს პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის შემდეგი მითითებით: გარკვეულიყო, მოცემულ შემთხვევაში არსებობს თუ არა უმოქმედობის მიზეზობრიობის სამი აუცილებელი პირობა.¹³

დამატებითი გამოძიების ჩატარების შემდეგ ბ. ყ-შვილს ბრალი დაედო განზრახ მკვლელობაში (სსკ 108-ე მ.). იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ მძღოლმა არ გაუწია დაშავებულს სათანადო

11 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმებზე, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 2007, №3, საქმე №987, გვ. 44 -51.

12 იხ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წ. 2 ივლისის განჩინება, საქმე №987.

13 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2003 წლის 16 ოქტომბრის განჩინება ამ საქმეზე.

დახმარება, რაც თავისუფლად შეეძლო; იგი მან გადაიყვანა მოსაცდეში და დატოვა დახმარების გარეშე, რა დროსაც ითვალისწინებდა, რომ დაუხმარებლობის შემთხვევაში იგი გარდაიცვლებოდა.¹⁴

რა უზუსტობაა ამ ბრალდებაში?

ა) მთავარი უზუსტობა ისაა, რომ როგორც ვხედავთ, მასში საერთოდ არაა აქცენტი გაკეთებული უმოქმედობის მიზეზობრიობის მესამე პირობაზე – შესაძლო და სავალდებულო ქმედებით სასიკვდილო შედეგი თუ იქნებოდა აცილებული.

ბ) ბრალდებაში ხაზგასმულია, რომ როცა მძღოლმა დაშავებული მიატოვა დახმარების გარეშე, იგი ითვალისწინებდა, რომ დაუხმარებლობის შემთხვევაში პირი გარდაიცვლებოდა.

დავუშვათ, დამტკიცებულია, რომ მძღოლი ამას ითვალისწინებდა (თუმცა ეს არაა დადასტურებული საქმის მასალებით).

ასეთი დათქმის შემთხვევაშიც საკითხავია: სურდა კი მძღოლს ამგვარი შედეგის დადგომა?

ეს საკითხი ბრალდებაში საერთოდ არაა დასმული. იგი ვერც დაისმებოდა, რადგან საქმის მასალებით ასეთი შედეგის დადგომის სურვილი არ ჩანს. პირიქით, ვერავინ დაინტერეს იმის მტკიცებას, რომ როცა მძღოლმა დაშავებული მანქანის სავალი ნაწილიდან ტროტუარის მოსაცდელში გადაიყვანა, მისი ეს ქმედება მიმართული (გამიზნული) იყო სასიკვდილო შედეგისკენ. საქმე ისაა, რომ ტროტუარზე დაშავებულის გადაიყვანით მისი გადარჩენის მეტი შანსი არსებობდა. ხოლო თუკი მძღოლი მას დატოვებდა მანქანის სავალ გზაზე, გამორიცხული არ იყო სხვა მანქანის მიერ ახალი დაზიანების მიყენება.

ასევე შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მძღოლს შეცნობილი ჰქონდა სასიკვდილო შედეგის დადგომის გარდუვალობა, რადგან საერთოდ ფეხიდან სისხლის დენა აუცილებლად არ იწვევს ასეთ შედეგს.

გამოდის, გამოძიებამ უმოქმედობით განზრახი მკვლელობის ბრალდება ისე წარუდგინა პირს, რომ არ დაუდგენია უმოქმედობის მიზეზობრიობის მესამე პირობა.

გ) ამ ბრალდების მესამე ნაკლი არის ის, რომ მასში ასევე არაა დადასტურებული, რამდენად ჰქონდა მძღოლს გაცნობიერებული მსხვერპლის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის არსებობა, შესაბამისად ის, რომ დაუხმარებლობის შემთხვევაში შესაძლებელი იყო მისი გარდაცვალება.

ის ფაქტი, რომ დაშავებული წაქცეული იყო, ამის უტყუარ მტკიცებულებად ვერ გამოდგება, რადგან დაზარალებულს დაზიანებული ჰქონდა ფეხი და ამავე დროს იყო ნასვამი (მან ავტობუსში ყოფნისას კიდევ დალია რამდენიმე ჭიქა ღვინო).

აქედან გამომდინარე, ადიგენის რაიონულმა სასამართლომ მძღოლი გაამართლა სსკ 108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და დამნაშავედ ცნო იგი სსკ 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით (რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა).¹⁵

დაზარალებულის უფლებამონაცვლებმ სააპელაციო წესით გაასაჩივდა ეს განაჩენი და ითხოვა ქმედების გადაკვალიფიცირება სსკ 109-ე მუხლით (მკვლელობა, წინასწარ შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირისა).

სააპელაციო სასამართლოზე დაცვის მხარემ მოითხოვა სსკ 276-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოხსნა, რადგან პ. ყ-შვილი ორჯერ იქნა გაასამართლებული (უზენაესმა სასამართლომ 2003 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მისი ქმედება დააკვალიფიცირა სსკ 276-ე მუხლის მე-3 ნაწილით). დაცვის მხარემ ასევე ითხოვა ქმედების კვალიფიკაცია სსკ 128-ე მუხლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დაკამაყოფილა დაზარალებულის უფლებამონაცვლის საჩივარი, გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და ქმედება დააკვალიფიცირა სსკ 108-ე მუხლით (განზრახი მკვლელობა).¹⁶

14 იხ. ახალციხის რაიონული სასამართლოს არქივი, საქმე №987.

15 იხ. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე.

16 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 აპრილის განაჩენი ამ საქმეზე.

მსჯავრდებულის დამცველმა გაასაჩივრა ეს განაჩენი საქართველოს უზენაეს სასამართლოში და მოითხოვა განაჩენის გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო სასამართლოს ხსენებულ განაჩენში შეიტანა ცვლილება და ქმედება მკვლელობიდან – სსკ 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირა მკვლელობის მცდელობაზე – სსკ 19, 108-ე მუხლზე.¹⁷

აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის ამ განჩინებაში სხვადასხვა არგუმენტებია გამოყენებული, რომელთა ნაწილი სწორია, ხოლო ნაწილი კი ვერ ჩაითვლება ასეთად:

ა) სწორია ის, რომ ამ გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა დაზარალებულის უფლებამონაცვლის მოთხოვდა ქმედების დამამდიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობით (სსკ 109-ე მ.) კვალიფიკირის შესახებ (ამ საკითხზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი);

ბ) მასში სწორადაა დასაბუთებული ის, თუ რატომ არ უნდა შეერაცხოს მძღოლს დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი (სიკვდილი) უმოქმედობისას. იმის დასაბუთებისათვის გამოყენებულია სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირობის არარსებობა მოცემულ საქმეში. კერძოდ, განჩინებაში ნათქვამია: ექიმისა და ექსპერტის ჩვენებით დგინდება, რომ დროული დახმარების შემთხვევაში დაზარალებულის სიცოცხლის გადარჩენა ალბათობის მაღალი ხარისხით შესაძლებელი იყო. ალბათობის თუნდაც მაღალი ხარისხი სამართლებრივად არასდროს არ არის საკმარისი საფუძველი საფუძველი ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად და სარწმუნოდ მიჩნევისათვის. ... ამდენად, უტყუარად ვერ დგინდება, რომ ყ-შვილის მიერ თავისი სამართლებრივი მოვალეობის დროულად შესრულების, ანუ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფის საავადმყოფოში გადაყვანის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი სიკვდილს აუცილებლად გადაურჩებოდა. საქართველოს სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი უმოქმედობისათვის პირი პასუხს აგებს, თუკი მისთვის სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.¹⁸

გ) ამასთანავე არ შეიძლება დავეთანხმოთ ამ გადაწყვეტილების იმ ნაწილს, სადაც ქმედება დაკვალიფიცირებულია მკვლელობის მცდელობით (19, 108-ე მ.), რაც დასაბუთებულია შემდეგნაირად:

მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ ბ. ყ-შვილისათვის სრულიად ცხადი იყო შემდეგი: დაზარალებული მძიმედ იყო დაშავებული და იმყოფებოდა სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობაში, გადამტვრეული ფეხიდან სდიოდა სისხლი, მას არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება, იგი რჩებოდა სრულიად მარტო, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი, ძალზე ცივ კლიმატურ პირობებში ისეთ ადგილზე, სადაც არ იყო ავტომანქანებისა და ადამიანების ინტენსიური მოძრაობა. ამასთან იყო ღამის საათები და ვინმესგან დახმარების გაწევის შესაძლებლობა წარმოადგენდა მხოლოდ შემთხვევითობას. ამის მიუხედავად, ყ-შვილმა არა შეესრულა თავისი მოვალეობა, რისი შესაძლებლობაც მას გააჩნდა და განსაცდელში მიატოვა დაზარალებული, რითაც დასტურდება, რომ იგი ითვალისწინებდა დაზარალებულის სიკვდილის შესაძლებლობას და გულგრილად ეკიდებოდა ასეთი შედეგის დადგომას... ამდენად, მისი ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც განზრახი მკვლელობის მცდელობა – სსკ 19, 108-ე მ.¹⁹

რა შეცდომაა დაშვებული ამ გადაწყვეტილებაში?

ყველაზე თვალშისაცემი შეცდომა ისაა, რომ როცა არგუმენტად მოხმობილია მსჯავრდებულის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგის (სიკვდილის) დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება, არაფერია ნათქვამი იმაზე, სურდა თუ არა ყ-შვილს ეს შედეგი. ეს საკითხი საერთოდ არაა ნახსენები და განხილული.

საქმე ისაა, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას პირი ითვალისწინებს ე.წ. პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროსაც, თუმცა განსხვავებით არაპირდა-

17 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 2007 წლის №3, გვ. 51.

18 იხ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებანი, გვ. 50-ე.

19 შეად. უზენაესი სასამართლოს დასახ. გადაწყვეტილებანი, გვ. 50-51.

პირი განზრახვისაგან, ამ დროს პირს სურს ეს შედეგი.

მართალია, განჩინებაში მითითებულია, რომ იგი გულგრილი იყო ამ შედეგისადმი, რაც ფაქტობრივად იმის აღიარებაა, რომ მსჯავრდებული მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით, მაგრამ თუკი განჩინებაში აღნიშნული იქნებოდა, რომ მას ეს შედეგი არ სურდა, საკასაციო პალატა ვერ დაასაბუთებდა მკვლელობის მცდელობას, როდესაც პირის ქმედება მიმართული (ანუ მიზან-მიმართული) უნდა იყოს ამ შედეგისაკენ, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

განსახილველი მაგალითის ეს მონაკვეთი, როცა მძლოლმა დახმარების გარეშე დატოვა დაშავებული, არის განსაცდელში მიტოვების (128-ე მ.) კლასიკური შემთხვევა, რადგან: პირმა თავისი წინა ქმედებით (მოძრაობის წესის დარღვევით გამოწვეული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით) შეიძინა სამართლებრივი გარანტის ფუნქცია; მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ დაზარალებული იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში (თუკი სადაციდ არ გავხდით ამას); გაცნობიერებული ჰქონდა, რომ დაზარალებულის მიმართ დაეკისრა გარანტის მოვალეობა; გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მისდამი დახმარების განევა მისი შესაძლებლობის ფარგლებში იყო (შეეძლო მისი წავყანა საავადმყოფოში); ამასთანავე როცა მძლოლმა დაშავებული გადაიყვანა მოსაცდელში, ეს ქმედება არანაირად არ იყო მიმართული მისი მოკვდინებისაკენ. პირიქით, ამ ქმედებით მან დაშავებული მოარიდა ტრასას, სადაც მანქანები მოძრაობდნენ.

როცა სამართლებრივ გარანტის მოსალოდნელი მართლსანინააღმდეგო შედეგისადმი აქვს არაპირდაპირი განზრახვა და ასეთი შედეგი არ დგება, ან ვერ მტკიცდება მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა მკვლელობის მცდელობით, არამედ საფრთხის დელიქტით. განსახილველ შემთხვევაში, ესაა სსკ 128-ე მუხლი (განსაცდელში მიტოვება).²⁰

დ) ყველაზე დიდი ხარვეზი, რაც სახეზეა ამ განჩინებაში, არის ის, რომ მომხდარი ავტო ავარიის შედეგად დამდგარ მართლსანინააღმდეგო შედეგს (სიკვდილს) არ მიეცა სამართლებრივი შეფასება იმის მიუხედავად, რომ დადგენილი იყო მიზეზობრივი კავშირი მძლოლის მიერ უსაფრთხოების წესის დარღვევასა და დამდგარ სასიკვდილო შედეგს შორის.²¹ საბოლოოდ, გამოვიდა, რომ ეს შედეგი არც სსკ 276-ე მუხლში აისახა, და არც სსკ 19, 108-ე მუხლში.

სწორია განჩინების ის მონაკვეთი, როცა დამდგარი შედეგი არ ჩათვალეს უმოქმედბით გამოწვეულად (ცალკე საკითხია, რომ დაუხმარებლობის ეს ეპიზოდი არასწორად შეფასდა), მაგრამ არავითარი გამართლება არა აქვს იმას, რომ იგი არ აისახა სსკ 276-ე მუხლში.

რატომ მოხდა ასე?

საქმე ისაა, რომ ამ საქმეზე პირველად გამოტანილ განჩინებაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ დააბრუნა ეს საქმე დამატებით გამოძიებაში. კერძოდ, 276-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში შეცვალა კვალიფიკაცია (სსკ 276-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან გადაკვალიფიცირა ამავე მუხლის მე-3 ნაწილზე), ხოლო მძლოლის მიერ დაზარალებულისადმი დაუხმარებლობის ეპიზოდში დააბრუნა საქმე დამატებითი გამოძიებისათვის. ამით ფაქტობრივად როგორც დამატებით გამოძიებას, ისე საქმის თავიდან განმხილველ სასამართლოს წაერთვა დამდგარი შედეგის სსკ 276-ე მუხლში გათვალისწინების შესაძლებლობა.

ამდენად, უფრო სწორი იქნებოდა, უზენაეს სასამართლოს პირველად გამოტანილი განჩინებით ეს საქმე მთლიანად დაეპრუნებინა დამატებითი გამოძიებისათვის.

20 იბ. გ. მამულაშვილი, წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტ. კოლ. თბ. 2016, გვ. 184-187.

21 საქრთოდ, დამდგარი შედეგი მატერიალურ დანაშაულად ქმედების კვალიფიკაციის დროს შეიძლება არ აისახოს კვალიფიკაციაში მხოლოდ მაშინ, როცა არა დადგენილი მიზეზობრივი კავშირი ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამ დროს კვალიფიკაცია დანაშაულის მცდელობით ხდება.

ფემიციდი – საკანონმდებლო რეგულირების გამოცდილება და გამოწვევები

მარინა მესხი

სამართლის დოქტორი,
თსუ მოწვეული ლექტორი
საქართველოს დავით აღმაშენებლის
სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შესავალი

ფემიციდის პრობლემა თანდათან უფრო აქტუალური ხდება მსოფლიოსათვის. გამონაკლისს არც ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს. გახშირებული ქალთა მკვლელობების ფონზე, დღის წესრიგში სრული სიმწვავით დაისვა ფემიციდის საკანონმდებლო რეგულირების საკითხი.

არარსებული საკანონდებლო ბაზა, ქალთა მკვლელობების სათანადო შეფასების ნაკლებობა, ქალის მიმართ ჩადენილ ზოგიერთ დანაშაულთან საზოგადოების შემწყნარებული და ლიპერ-ალური დამოკიდებულება, იმ არასრული ფაქტორების ჩამონათვალია, რაც ხელს უშლის ქალის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა, განსაკუთრებით, ქალის მიმართ ჩადენილ მკვლელობათა აღკვე-თას, სათანადო გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანახმად, ქალის მიმართ ძალადობა ქა-ლის დისკრიმინაციის ფორმად ითვლება.¹ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში სტამ-ბულის კონვენცია) მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობა ქალებსა და მამაკაცებს შორის ისტორი-ულად ჩამოყალიბებული არათანასწორი ძალაუფლებრივი ურთიერთობების გამოვლინებაა, რაც იწვევს ქალთა დისკრიმინაციას, ქალისათვის სრული რეალიზაციის ხელის შეშლას, ქალებზე ძალ-ადობის სტრუქტურული ფორმაა და ქალს მამაკაცის მიმართ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აყენებს.²

1. ფემიციდის დეფინიცია და ფემიციდთან დაკავშირებული რამდენიმე ტერმინი

ყველაზე გავრცელებული განმარტებით, ფემიციდად ითვლება მამაკაცის მიერ ქალის მკვლ-ელობა იმ მიზეზით რომ ის ქალია³. ფემიციდი ქალზე ძალადობის უკიდურესი ფორმაა და აღნიშ-

¹ ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), სტამბოლი, 11.05.2011, მუხლი 3(ა);

² იქვე

³ განმარტება დამკვიდრებულია დიანა რასელის და ჯილ რადფორდის მიერ: „Femicide: The Politics of woman killinb, disfinib as the muRdeR of women, committed by man, foR the simple Reason of theiR beinb women“, Diana E. H. Russel, and RobeRta A. HaRmes. Femicide in Global PeRspective („ფემიციდი გლობალურ კონტექსტში“). New YoRk: TeacheRs Collebe, 2001. PRint. gv. 77-78.

ნავს ქალების და გოგონების მკვლელობას.⁴ უფრო ზუსტად, ფემიციდი არის ქალის მკვლელობა, რომელიც განპირობებულია სექსიზმით და მოტივირებულია „ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, სიამოვნების მიღებით ან სადისტური სურვილებით, ან ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით“⁵

ფემიციდი შეიძლება „პომიციდის“ (მკვლელობის) ალტერნატიულ ფორმად ჩაითვალოს და ამ ტერმინის დამკვიდრების მთავარი პოლიტიკური ღირებულებაა ქალთა დისკრიმინაციის ჭრილში მათი მკვლელობების განხილვა.⁶

ფემიციდის გარდა ლიტერატურაში ასევე განიხილავენ ტერმინ „ფემინიციდს“, რომელიც ქალთა მკვლელობებთან მიმართებაში სახელმწიფოს უმოქმედობას აღნიშნავს, რითაც პრაქტიკულად სახელმწიფო არ ახდენს ამ დანაშაულთა გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას.⁷

მსოფლიოში ფემიციდის აღიარებული დეფინიცია თითქმის არ არსებობს. ბუნებრივია, ქალის მკვლელობის ყველა შემთხვევა ფემიციდად არ უნდა განვიხილოთ. ფემიციდის კვალიფიკირებისას აუცილებელია ქალის მკვლელობა გენდერს უკავშირდებოდეს, საჭიროა მკვლელობის მოტივის დადგენისას გამოიკვეთოს კავშირი გენდერულ ძალადობასთან ან გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასთან.⁸

ფემიციდის ყველაზე მისაღებ განმარტებას იძლევა ლათინურ ამერიკული სამოდელო ოქმი⁹, რომლის მიხედვითაც ფემიციდი არის ქალის მკვლელობა, რომელიც გამოწვეულია ქალის სქესით და მკვლელობის მოტივი ან მიზეზი გენდერული ხასიათი ან ქალის დისკრიმინაციაა.

რაც შეეხება ქალის დისკრიმინაციის განმარტებას, „დისკრიმინაცია ქალის მიმართ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში კაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ქალთა მიერ მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას“¹⁰.

ფემიციდის კანონმდებლობის შემუშავებისა და კრიმინალიზაციასთან დაკავშირებული შესაბამისი მიდგომის გადაწყვეტისათვის, მნიშვნელოვანია ფემიციდის გამოვლინებების და ფორმების ცოდნა.

2. ფემიციდის ფორმები

ფემიციდი არის გენდერული ნიშნით ქალის მკვლელობა. თავდაპირველად განვიხილოთ ფემიციდის ორი ძირითადი კატეგორია: პირდაპირი და არაპირდაპირი ფემიციდი,¹¹ თითეული ფორმა მოიცავს ფემიციდის სხვადასხვა სახით გამოვლინებას.

ა) პირდაპირი (აქტიური) ფემიციდის კატეგორიაში განიხილავენ შემდეგ დანაშაულებს¹²:

ქალის მკვლელობა ოჯახში ძალადობის შედეგად;

4 Femi – ქალი, cide – კვლა

5 Diana Russel and RobeRta HaRmes, *Femicide in Global Perspective*

6 ფემიციდის საქმეების განაჩენები (2014), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016, გვ.9.

7 იქვე, გვ.10

8 იქვე

9 Latin American Model PRotocol foR the Investigation of BendeR-Related Killinbs of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“ – შემდგომში: ლათინო- ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14.

10 ქალის მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, 1979წ. მუხლი 1.

11 ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომსახურებლის მიხედვით: აქტიური (პირდაპირი) და პასური (არაპირდაპირი) ფემიციდი. http://www.ohchr.org/Documents/Issues/Women/A.HRC.20.16_En.pdf 2

12 ჩამოთვლილ დანაშაულებს უფრო დეტალურად შევხეხით 2.1. და 2.4.ქვეთავებში

ქალის მკვლელობა ინტიმური პატრნიორის მიერ;

ქალის მკვლელობა მიზოგინიური მოტივით, რაც ქალთა და გოგონათა მიმართ სიძულვილს ნიშნავს¹³;

ქალის მკვლელობა „ლირსების“ აღდგენის სახელით;

ქალის მკვლელობა ჩადენილი შეიარაღებული კონფლიქტების დროს, როგორც ომის სტრატეგია;

ქალის მკვლელობა მზითევთან დაკავშირებით;

ქალის მკვლელობა მისი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერულ იდენტობის გამო (ლესბოფობიური და ტრანსფობიური ფემიციდი);

ფეტიციდი (ჩვილ გოგონათა მკვლელობა სქესის სელექციის მოტივით);

ქალის მკვლელობა ეთნიკური ნიშნით.

ბ) არაპირდაპირი (პასიური) ფემიციდის კატეგორიაში შემდეგი დანაშაულები მოიაზრება:

ქალის გარდაცვალება უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფით ჩატარებული აბორტის გამო;

გოგონათა გარდაცვალება სასქესო ორგანოების დასახიჩრების გამო;

ქალთა და გოგონათა გარდაცვალება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ნარკოტიკებით ვაჭრობის გამო და ორგანიზებული დანაშაულის შედეგად ჩადენილი მკვლელობების გამო;

ქალთა გარდაცვალება მათი უგულებელყოფის, შიმშილის ან არასათანადო მოპყრობის გამო;

ქალის გარდაცვალება სახელმწიფო მოხელეთა ქმედების შედეგად.

პირდაპირი და არაპირდაპირი ფემიციდის კატეგორიაში ჩამოთვლილი დანაშაულები შეიძლება ქვემოთ განხილული კლასიფიკაციით დალაგდეს, რაც ასევე აღიარებულია საერთაშორისო გამოცდილებით. ¹⁴

2.1. ფემიციდი ინტიმური პარტნიორის ან ოჯახის წევრის მიერ

ინტიმური ფემიციდის შემთხვევად განიხილება ქალის მკვლელობა ჩადენილი მამაკაცის მიერ, რომელთანაც ქალს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა. ამ ფორმით ჩადენილი ფემიციდის სუბიექტი შეიძლება იყოს მეუღლე, ყოფილი მეუღლე, სექსუალური პარტნიორი, ყოფილი შეყვარებული ან მამაკაცი, რომელთანაც ქალს შეიძლება შვილი ყავდეს.

აღნიშნული ფორმით ჩადენილი ფემიციდის სუბიექტი ასევე შეიძლება იყოს ისეთი მამაკაციც, რომელმაც ქალი მოკლა მისი უარის გამო მასთან დაემყარებინა ინტიმური ურთიერთობა.

ფემიციდის ამ ფორმაში ითვლება ოჯახის წევრის მიერ ჩადენილი ქალის მკვლელობა, რაც შესაძლოა სრულებითაც არ იყოს ინტიმური ფემიციდის შინაარსში განხილული. ამ ფორმით ჩადენილი ფემიციდი გარკვეულწილად დაკავშირებულია ფემიციდის ისეთ ფორმასთან, როგორიცაა ქალის მკვლელობა ე.წ. ლირსების აღდგენის სახელით.

2.2. ქალის მკვლელობა ე. წ. ლირსების აღდგენის სახელით („Honour“ Killing);

ლირსების აღდგენის სახელით ჩადენილი მკვლელობა, ფემიციდის ერთერთი ფორმაა, რომელ საც ჩადის ოჯახის წევრი მამაკაცი ოჯახის „ლირსების“ შენარჩუნების მოტივით.

მკვლელობის მიზეზი შეიძლება იყოს ქალის მიერ ქორწინების გარეშე დამყარებული სქესობრივი ურთიერთობა ან ქალის ქცევის გაბატონებული სტერეოტიპის დარღვევა, ცოლ-ქმრული

13 Code, LoRRaine, Encyclopedia of Feminist Theories, 1st ed. London: Routledge. 2000, გვ. 346. ISBN 0-415-13274-6.

14 ლათინო-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი, გვ. 15-16

ლალატი, ქორწინების გარეშე ორსულობა, ასევე ინცესტის მიჩქმალვის მიზნით ჩადენილი მკვლელობა.

ღირსების აღდგენის სახელით ქალის მოკვლის ტრადიცია ჯერ კიდევ ძველი რომიდან მოდის, როცა ოჯახის წევრი მამაკაცები კლავდენებ ქალებს მათ მიერ ქორწინების გარეშე სექსუალური კავშირებისათვის, ქორწინების გარეშე ბავშვების გაჩენისათვის, ღალატისათვის. ებრაულ სამყაროსა და შუა საუკუნეების ევროპაში ღირსების აღდგენის სახელით მოღალატე ცოლებს და მათ საყვარლებს უსწორდებოდნენ. დღევანდელ მსოფლიოში მსგავსი ტრადიცია ძირითადად აღმოსავლურ კულტურაში, სამხრეთ აფრიკასა და ზოგიერთ მკაცრად პატრიარქალურ ქვეყნებში გვხვდება, მათ შორის საქართველოშიც.

2.3. არაინტიმური ფემიციდი გენდერული ნიშნით ქალის მკვლელობა სხვა პირების მიერ

არაინტიმური ფემიციდი, ანუ ქალის მკვლელობა გენდერული ნიშნით სხვა პირების მიერ, ანუ იმ მამაკაცის მიერ რომელთანაც ქალს ურთიერთობა არ ქონია; ასევე, არაინტიმურ ფემიციდად განიხილავენ უცნობი მამაკაცის მიერ ქალის გაუპატიურებას და მის მოკვლას.

არაინტიმური ფემიციდი შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. მაგალითად:

ტრასფონბიური ფემიციდი¹⁵, რაც ნიშნავს ტრანსგენდერი ან ტრანსსექსუალი ქალის მკვლელობას მისი სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, სიძულვილის მოტივით;

ლესბოფონბიური ფემიციდი¹⁶, ლესბოსელი ქალის მკვლელობა მისი სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, სიძულვილის მოტივით;

სექსუალური ფემიციდი¹⁷, ქალის მკვლელობა მისი გაუპატიურების (მოტაცების, წამების) გზით, რომელიც ჩადენილია პირის ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

სტიგმასთან დაკავშირებული ფემიციდი¹⁸, როცა ქალის მოკვლის მიზეზია მისი სტიგმატიზირებული საქმიანობა: სექსმუშაკის, სტრიპტიზის მოცეკვავის ან ამგვარი საქმიანობის მქონე ქალის მოკვლა დამნაშავის მიერ იმ მიზეზით რომ ქალი სიკვდილს იმსახურებს სწორედ ამ საქმიანობის გამო;

ბავშვთა ფემიციდი¹⁹ ანუ 14 წლამდე ასაკის გოგონათა მკვლელობა იმ მამაკაცის მიერ, რომელიც კონტროლს ახორციელებს მასზე ნათესაური კავშირის ან სხვაგვარი მდგომარეობის გამოყენებით;

ასოციაციური ფემიციდი²⁰, რომლის დროსაც ხდება მამაკაცის მიერ ქალის მკვლელობისას მეორე ქალის მოკვლაც, როცა მსხვერპლი შეესწრო მკვლელობას.

არაინტიმური ფემიციდის ფორმაში შეიძლება ჩაითვალოს ასევე ქალის მოკვლა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამო, ასევე, ქალის მკვლელობა გენდერის ნიშანთან ერთად რასისტული სიძულვილის მოტივით.

2.4. მზითევის გამო ქალის მკვლელობა

მზითევის გამო ქალის მკვლელობა საბედნიეროდ მხოლოდ ძალზე ცოტა ქვეყანაშია შემორჩენილი და რომელიც ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლური აზიური კულტურისთვისაა დამახასიათებელი. ფემიციდის ამ ფორმის არსებობისას პატარძლის მზითევის უკმაყოფილების ნიადაგზე ხდება მისი მკვლელობა.

¹⁵ ფემიციდის საქმების განაჩენები (2014), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016, გვ.13.

¹⁶ იქვე

¹⁷ იქვე

¹⁸ იქვე

¹⁹ იქვე

²⁰ იქვე

3. ფემიციდის საკანონმდებლო რეგულირება

სტამბულის კონვენცია სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას შექმნას სათანადო მექანიზმები, მათ შორის ეფექტური კანონმდებლობა, ფემიციდის და ზოგადად, ქალთა მიმართ ძალადობის და დისკრიმინაციის თავიდან აცილების, დანაშაულის ეფექტურად გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის მიზნით.²¹

გარდა ამისა, ფემიციდის საქმეებზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას აკისრებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, რომელიც თვლის რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დგება მის მიერ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობისას, როცა მსხვერპლმა ითხოვა დახმარება, სახელმწიფომ არ მიიღო სათანადო ზომები მსხვერპლის დასაცავად და იგი სასიკვდილო საფრთხის წინაშე დაცვის გარეშე დატოვა.²² შესაბამისად, ფემიციდის საქმეების, ანუ გენდერული ნიშნით, ზემოაღნიშნული ფორმებით ჩადენილ ქალის მკვლელობათა გამოძიება სწორედ გენდერული ხედვით უნდა მოხდეს.

ფემიციდის საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით სხვადასხვა დამოკიდებულება არსებობს.

- ფემიციდი კრიმინალიზებულია როგორც უაღკე დანაშაული, უაღკე კანონით;
- ფემიციდი განიხილება როგორც ერთერთი დამამძიმებელი გარემოება განზრახ მკვლელობის მუხლში.

ამერიკის ქვეყნების პელემ დო პარას²³, კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ“, წარმოადგენს ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ ადრე არსებული დეკლარაციისა და სხვადასხვა რეგიონული და საერთაშორისი დოკუმენტების ერთობლიობას და მოიცავს ფემიციდის წინააღმდეგ განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობის ვალდებულებას.²⁴

გვატემალას დეკრეტის მიხედვით, პრობლემის სიმწვავის გამო ტერმინი „ფემიციდი“ გვატემალას კონსტიტუციაშიც კია შესული. გვატემალას დეკრეტი მოიცავს კანონებს „ოჯახური ძალადობის აღმოფხვრისა და სანქციების შესახებ“, „ქალთა ღირსების შესახებ“ და კანონს „ფემიციდის და ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმების წინააღმდეგ“. მისი მიღების მიზანია ყველა ქალისთვის სიცოცხლის, თავისუფლების, ღირსების, დაცვისა და თანასწორობის გარანტიების შექმნა. გვატემალას კანონით „ფემიციდის და ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმების წინააღმდეგ“,²⁵ ფემიციდი მიწნეულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად და ისჯება ოცდახუთიდან ორმოცდაათ წლამდე, ამ ვადის შემცირების შესაძლებლობის გამორიცხვით. ფემიციდის გარდა ასევე ისჯება ფიზიკური და სექსუალური ძალადობა, ნებისმიერი სახის ზიანი ან მტანჯველი ზემოქმედება ქალის სხეულზე, ქალისთვის ორსულობისგან და სექსუალური გზით გადამდები დაავადებებისგან თავის დაცვის აკრძალვა, დანაშაულის სიმძიმის მიხედვით აგრეთვე დასჯადია ფსიქოლოგიური ძალადობა, ქალის ან მისი ოჯახის წევრების დაშინება, ან ქალის გაკონტროლების მცდელობა, ან მისი თვითშეფასების დაკნინება/თავმოყვარების შეღახვა, დანაშაულის სიმძიმის მიხედვით.²⁶

ევროპული ქვეყნების გამოცდილებით, ფემიციდი დამამძიმებელ გარემოებად განიხილება.²⁷

21 ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), სტამბოლი, 11.05.2011, მუხლი 32;

22 Opuz v. TuRkey, საჩივარი N33401/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება.

23 ჩაღვა, არგენტინა, პერუ, ელ სალვადორი, გვატემალა, კოსტა რიკა, კოლუმბია, პონდურასი, ნიკარაგუა, ბოლივია, მექსიკა

24 Rosa-Linda FReboso, and Cynthia BejaRano, eds. TeRRoRizinb Women: Feminicide in the Americas. Duke UP, 2010. შესავალი

25 კანონი ოთხი სახის ძალადობას გამოყოფს: ფემიციდი; ფიზიკური/სექსუალური; ფსიქოლოგიური და ეკონომიკური (ხელის შეშლა ქალის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის/დამოუკიდებლობისათვის).

26 გვატემალას კანონი ფემიციდის შესახებ http://www.bhRc.usa.oRb/Publications/Femicide_Law_PRobRessAbainstImpunity.pdf

27 ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, UN Doc. A/HRC/14/22 (22 aprilis, 2010 w), para. 85.

მაგალითად, **საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი** დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ქალის მკვლელობას გენდერული ნიშნით და ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას მეუღლის მკვლელობის შემთხვევაში ან ოცი წლით თავისუფლების აღკვეთას ძალადობისთვის, რომელმაც გამოიწვია მსხვერპლის სიკვდილი, თუ მსხვერპლი იყო მუღლე ან მოძალადესთან მცხოვრები პირი.

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს ტერმინს „ფემიციდი“, თუმცა კოდექსი შეიცავს ნორმებს გენდერული ძალადობის შესახებ.

გარდა ამისა, ესპანეთმა მიიღო ორგანული კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მრავალმხრივი დაცვითი ღონისძიებების“ შესახებ.²⁸ რომლის მიხედვით შექმნილია სპეციალური სასამართლოები (The Courts for Violence Against Women), რომლებიც განიხილავენ შემდეგი სახის დანაშაულებს: მკვლელობა; იძულებითი/ძალადობრივი აბორტი (მაგ., ქალის თანხმობის გარეშე); Battery (შეურაცხმყოფელი ფიზიკური კონტაქტი); ემბრიონისთვის ზიანის მიყენება (მაგ., ორსული ქალის ცემის შემთხვევაში); დანაშაული თავისუფლების წინააღმდეგ; დანაშაული ღირსების წინააღმდეგ; სქესობრივი ხასიათის დანაშაულები ან ყველა სხვა სახის დანაშაული ჩადენილი მამაკაცის (ქმარი, პარტნიორი) მიერ ქალის მიმართ, რომელთანაც იმყოფება ან იმყოფებოდა რაიმე სახის კავშირში.

სხვა ევროპულ ქვეყნებშიც ძირითადად ეს ტენდენცია შეინიშნება.

რაც შეეხება საქართველოს, ქართული კანონობრივი ფემიციდი ცალკე დანაშაულად არ განიხილება. ქალის მკვლელობასთან დაკავშირებული დანაშაულების კვალიფიკაცია და გამოძიება ხდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლებით. ბუნებრივია არც ფემიციდის სტატისტიკის წარმოება არ ხდება და ფემიციდის საქმეების გამოძიება მიმდინარეობს სსკ შემდეგი მუხლებით:

- სსკ 108 მუხლი – განზრას მკვლელობა;
- სსკ 109 მუხლი – განზრას მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში;
- სსკ 111 მუხლი – განზრას მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში;
- სსკ 115 მუხლი – თვითმკვლელობამდე მიყვანა
- სსკ 117.2 მუხლი – ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია;

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებული ორგვარი საკანონმდებლო პრაქტიკის პირობებში – ფემიციდი კრიმინალიზებულია როგორც ცალკე დანაშაული, ცალკე კანონით და ფემიციდი განიხილება როგორც ერთერთი დამამძიმებელი გარემოება განზრას მკვლელობის მუხლში, ვფიქრობ ეს უკანასკნელი უფრო მისაღები პრაქტიკა ჩვენთვის.

ფემიციდის კრიმინალიზაციის ერთერთი პირველი მცდელობაა რესპუბლიკური პარტიის მიერ წარდგენილ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, სადაც ფემიციდის კრიმინალიზაცია გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ახალი, 108 პრიმა მუხლით და სსკ სხვა მუხლებში ცვლილებებით, ნორმატიული აქტების შესახებ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. მომზადებული კანონპროექტი არ მიმარინა სრულყოფილად, ვინაიდან კანონპროექტის მიხედვით ფემიციდის სუბიექტთა წრე ოჯახის წევრებით, პარტნიორით ან ყოფილი პარტნიორით არის განსაზღვრული. წინა თავებში განხილული ფემიციდის ფორმების მიხედვით, ფემიციდი არ არის ქალის მკვლელობა მხოლოდ მეუღლის, ყოფილი მეუღლის, პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის ან ოჯახის წევრის მიერ. ფემიციდის დანაშაულის ჩამდენ სუბიექტთა წრე გაცილებით ფართოა.

ფემიციდის საქმეების კვალიფიკაციისას გათვალისწინებული უნდა იქნას დანაშაულის სიმძიმე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში როცა ფემიციდი ჩადენილია ინტიმური პარტნიორის ან ოჯახის წევრების მიერ და მას წინ უძლოდა სისტემატიური ძალადობა. ამ გარემოებების არსებობისას, აუცილებელია მათი შეფასება დანაშაულის მოტივის განსაზღვრისას და ამ კატეგორიის საქმეებზეც მოტივს უნდა ჰქონდეს მაკვალიფირებელი მნიშვნელობა, ბუნებრივია, მოტივი გათვალისწინებული უნდა იქნას სასჯელის დანიშვნის დროსაც.

აქ აუცილებლად გასათვალისწინებელი იქნება ისეთი სირთულე, რაც „ინტიუმური პარტნიორის“ განსაზღვრას შეიძლება ახლდეს. ეს გარემოება თავისთავად შექმნის პრობლემებს პრაქტიკის თვალსაზრისით, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალის ინტიუმური პარტნიორად და ბრალდების მხარისათვის ამგვარი კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ბრალდებული ამას არ აღიარებს და არც სხვა გარემოება აღნიშნულზე არ მიუთითებს.

ამას გარდა, არსებობს პოზიციაც, რომ ახლად ამოქმედებული 53 სამი პრიმი მუხლით იფარება თუ არა ფემიციდი და წარმოქმნის თუ არა ფემიციდის დამამდიმებელ გარემოებებში დამატება პრობლემას, მით უმეტეს მოტივის გამოკვეთის პრობლემა პრაქტიკაში ისედაც დგას. აღნიშნული საკითხიც არანაკლებ პრობლემებს ქმნის პრაქტიკაში, ვინაიდან დისკრიმინაციული მოტივის ეჭვის არსებობის შემთხვევაში საგამოძიებო ორგანო ვალდებულია მიუთითოს სწორედ აღნიშნულ მუხლზე და სასამართლოს წარუდგინოს ყველა მტკიცებულება, რაც გენდერული ნიშნით დანაშაულის ჩადენის მოტივზე და დისკრიმინაციაზე მიუთითებს. თუ ამგვარი მტკიცებულებები სასამართლოში წარდგენილი იქნება, სასამართლოს შესაძლებლობა აქვს ბრალი დაუმდიმოს დამნაშავეს გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის გამო. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულებები სასამართლოს არ წარედგინა, სასამართლოს დანაშაულის მოტივის გამოკვლევისა და დისკრიმინაციული ნიშნების გამოკვეთის შესაძლებლობა არ აქვს, რაც პრაქტიკულად, მსხვერპლს აყენებს სახელმწიფოს მიერ გენდერული ნიშნით ჩადენილი დისკრიმინაციის პირისპირ დაცვის გარეშე დატოვების მდგომარეობაში, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჰალიმე კილიჩი თურქეთის²⁹ წინააღმდეგ საქმეში კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლების დარვევად ჩათვალა.

ამჟამად, ფემიციდის საკანონმდებლო რეგულირების უზრუნველყოფისთვის, სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფარგლებში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, სახალხო დამცველის ოფიციალური სახელმწიფო სამსახურის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში განხილული იქნა ფემიციდის საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებული პრაქტიკა, გამოცდილება და სირთულეები, ფემიციდის ფორმების განხილვის გზით და მიმდინარე საკანონმდებლო ტენდენციების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული მსჯელობების თანახმად, საჭიროა ფემიციდის კრიმინალიზაცია სიხლის სამართლის კოდექსში. ვფიქრობ, ფემიციდად უნდა იქნას მოაზრებული გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობა ინტიმური პარტნიორის, არაინტიმური პარტნიორის მიერ და ღირსების აღდგენის სახელით ჩადენილი მკვლელობა.³⁰ ამასთანავე, ფემიციდი უნდა განიხილებოდეს როგორც დამამდიმებელი გარემოება და ცალკე მუხლად სისხლის სამართლის კოდექსში მისი არსებობა გამართლებულად არ მიმაჩნია.

²⁹ Halime Cilic v. TuRkey, საჩივარი N63034/11;, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება

³⁰ ცვლილების მომზადებისას უნდა განვსაზღვროს ვის განვიხილავთ ინტიმურ პარტიორად, არაინტიმურ პარტნიორად და რა ჩაითვლება ღირსების აღდგენის სახელით ჩადენილ მკვლელობად.

არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები

თამარ მახარობლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების
დეპარტამენტის საჯარო და სისხლის სამართლის სამმართველოს მრჩეველი

„ერთ ბავშვს, ერთ მასწავლებელს, ერთ კალამს
და ერთ წიგნს, შეუძლიათ შეცვალონ სამყარო“.¹

შესავალი

არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ფორმას წარმოადგენს. დღევანდელ მსოფლიო თუ საქართველოს რეალობაში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე მტკიცნეული და გავრცელებული პრობლემაა. სენსიტიურობას ამ თემას ისიც სძინს, რომ ძალადობის მსხვერპლი ხშირად არასრულწლოვანია, რომელიც სრულწლოვანთან შედარებით დაუცველია, ძალადობის კვალი კი მასზე და მის მომავალზე ყველაზე მძაფრად აისახება. საქართველოში ბოლო პერიოდში გარკვეული რეფორმები გატარდა ძალადობასთან დაკავშირებით, თუმცა კანონმდებლის მხრიდან სათანადო ყურადღება არ დათმობია არასრულწლოვანზე ძალადობას, როგორც ამ საკითხის ერთ-ერთ სახეს. ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხვყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ.² ბავშვთა ძალადობა ხშირ შემთხვევაში ლატენტური ხასიათისაა. აღნიშნული ქმედების ფარულმა ბუნებამ შესაძლოა განაპირობა სწორედ ის, რომ დღეს ქვეყანაში სრულწლოვან ადამიანებზე ძალადობას უფრო ყეტი ყურადღება ეთმობა.

ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის საკითხი ასწლეულების მანძილზე საზოგადოების შეშფოთებას და წუხილს იწვევდა, მაგრამ ამ პრობლემას ფართო გამოხმაურება არ ჰქონია. მნიშვნელოვანი პოზიტიური გარდატეხა ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლაში მოახდინა ჰედიატრმა ჰენრი კემპე (Henry Kempe). მან, 1961 წელს, ამერიკის ჰედიატრიის აკადემიის ყოველწლიურ სხდომაზე წარმოადგინა ფუნდამენტური კვლევის შედეგები, რომელშიც პირველად იყო ნახსენები ტერმინი „The Battle-Raped-Child Syndrome“ (ნაცემი ბავშვის სინდრომი). ამ ტერმინით კემპე აღწერდა და განსაზღვრავდა ბავშვებში ე.ნ. აუხსენელი დაზიანებების ბუნებას. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ დროიდან, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, ბავშვებთან მომუშავე მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა აღიარეს ბავშვთა მიმართ ძალადობის ფენომენი (Child Abuse

¹ მალალა იუსაფზაი, უფლებადამცველი, მსოფლიოს ბავშვთა პრემიის მფლობელი.

² ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989წ., მუხლი 19(1).

and Neglect), როგორც სპეციალური პრობლემა, რომლის გადასაჭრელად საჭიროა სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების, მშობლებისა და მთელი საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანება.³ თუმცა, დასამალი არაა, რომ ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს სრულფასოვანი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ბავშვთა ეფექტურ დაცვას ძალადობის ყველა ფორმისგან. სამწუხაროდ, ამ ქვეყნებს შორის არის საქართველოც.

არაერთმა კვლევამ ცხადყო, რომ არასრულნლოვნებზე ძალადობას ადგილი აქვს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ყველა კულტურისა და ეთნიკურ ჯგუფში, მიუხედავად საზოგადოების განათლებისა თუ მატერიალური მდგომარეობისა. კვლევებმა ასევე ცხადყო, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტები ძირითადად ხდება სახლში, სკოლაში ან სხვა სასწავლო დაწესებულებებში, ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა ობოლთა თავშესაფარი და ბავშვთა სახლები, ციხეები და სხვა დაკავების ცენტრებში, სამუშაო ადგილზე და საზოგადოებაში.⁴ ბავშვთა მიმართ ძალადობასთან პრძოლა სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს მთელი მსოფლიოსა და, მათ შორის, საქართველოსთვისაც. 2016 წელს მიღიარდამდე ბავშვმა განიცადა ფიზიკური, სექსუალური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა. 2006 წლის მონაცემებით 120 მილიონი გოგონა და 73 მილიონი ბიჭი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია. 2013-2017 წლების განმავლობაში საქართველოში ჩატარებული კვლევებიც ადასტურებს, რომ მდგომარეობა საგანგაშოა. მოსახლეობის 45% ბავშვთა მიმართ ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს, მოსახლეობის 60% თვლის, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია. საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხშირია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, როგორც მოსწავლეებს შორის, ისე უფროსების მხრიდან.⁵ სტატიის კვლევის საგანს წარმოადგენს არასრულნლოვნთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობა, მისი ფორმები, საკანონმდებლო პრობლემები და ა.შ.

1. არასრულნლოვანზე ძალადობის ფორმები

ძალადობა ბავშვისთვის მატრავმირებელი ქცევაა. იგი შეიძლება გამოვლინდეს მუქარით, დამცირებით, დაშინებით, პირადი საკუთრების ხელყოფით, საჯარო შეურაცხყოფით ან სექსუალური ექსპლუატაციით. ძალადობა არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც აკნინებს ან დაზიანებით ემუქრება ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას და განვითარებას. არასრულნლოვნის მიმართ ძალადობის რამდენიმე ფორმა არსებობს. იგი მოიცავს როგორც ფიზიკურ ძალადობას, ასევე სიტყვიერ, მატერიალურ, სექსუალურს და ა.შ. ფიზიკური ძალადობა არის ყველაზე გავრცელებული სახე, თუმცა ძალადობის სხვა სახეებიც, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია. მოკლედ მიმოვიზოლავ თითოეულ მათგანს.

1.1. არასრულნლოვნის მიმართ ფიზიკური ძალადობა

ფიზიკური ძალადობა, როგორც უკვე აღნიშნე, ძალადობის ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებული, ასევე საშიში და ზიანის მომტანია. ასეთი ფორმის ძალადობაა ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და/ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას: დარტყმა, ხელის კვრა, სილის განვნა ან სხვ., თუნდაც „აღმზრდელობითი“ მიზნით. ფიზიკური ძალადობის გამოვლენა შედარებით იოლია, ვინაიდან იგი თვალსაჩინო კვალს ტოვებს მსხვერპლზე. შეშუპებები, კოპები, ნაკანრები, ჭრილობები, ჩალურჯებები და კანის სხვა

³ თავართქილაძე ე., „პროფესიონალებისთვის“, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, <http://phf.oRb.be/ka/ResouRces/dzaladoba-bavshvze-istoRiuli-ReiRospektiva/>

⁴ გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში (UNICEF BEORBIA), ჩვენ გვაქვს უფლება ვიყოთ დაცული ძალადობისგან, თბილისი, 2007წ., გვ. 15.

⁵ გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში (UNICEF BEORBIA), http://unicef.be/44/sakaRtvelo_dzaladobis_dadzlevis_globaluR_ksels_ueRtdeba/518

დაზიანებები, მოტეხილობები, ნაჭრილობები სხვადასხვა ხარისხის შეხორცებებით – ეს ის გამოვლინებებია, რომელიც ფიზიკურ ძალადობას ახასიათებს. ბავშვზე ძალადობის ყველაზე ხშირი და ადვილად ამოსაცნობი გამოვლინებაა კანის დაზიანება. ძალადობაგანცდილი ბავშვების 90%-ს მხოლოდ ზედაპირული დაზიანებები აღნიშნებათ: სისხლჩაქცევები, ნაკბენები, დამწვრობა, მოხრჩინის ნიშნები.⁶ ასეთი რისკის ქვეშ განსაკუთრებით იმყოფებიან მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, ვინაიდან, როგორც წესი, ეს უკანასკნელი ფიზიკური მონაცემებით ჩამოუვარდებიან საპირისპირ სქესის წარმომადგენლებს. ოჯახში ძალადობის ძირითადი სამიზნები, ყველაზე მეტად, არასრულწლოვანი გოგონები არიან. ოჯახში მისაღებია რომ მამაკაცი იყოს დომინანტი. ქალს კი ყველაფერი უნდა დააძალონ. გაეროს ანგარიშის მიხედვით საქართველოში 2-14 წლამდე ბავშვების 20%-ს ოჯახში სცემენ. ოჯახში ამას უმეტესად მამაკაცები აკეთებენ.⁷

ერთ-ერთი ადგილი, სადაც ბავშვზე ფიზიკური ძალადობა ყველაზე ხშირად ხდება არის სახლი. ბავშვზე ძალადობენ ძირითადად მშობლები, რომლებზეც ასევე ძალადობდნენ ბავშვობაში ან ქალები, რომლებზეც ქმრები ძალადობენ. სუსტი და დაჩაგრული ქვეცნობიერად ეძებს კიდევ უფრო სუსტს და სწორედ მას უსწორდება. მოძალადე მშობლის თვალში ბავშვის დაუმორჩილებლობა უცებ განუზომლად უფრო დიდად იქცევა, ვიდრე სინამდვილეში არის. ის, რომ ბავშვი პატარაა, ეტკინება, იტირებს და მალე დაავიწყდება და გაუვლის, მითია. ბავშვი საკმაოდ პატარა ასაკიდანვე იაზრებს, რომ მშობლის მიერ ძალადობას თავს ვერ დააღწევს, რომ შორს და დიდი ხნით ვერ გაიქცევა, რადგან მაინც იპოვიან და უარესად დაისჯება ან კიდევ იმიტომ, რომ მატერიალურად სწორედ მშობელზეა დამოკიდებული.

სახლის შემდეგ სკოლა ერთ-ერთი ადგილია, სადაც არასრულწლოვანი ყველაზე ხშირად ხდება ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. არის შემთხვევები, როდესაც არასათანადო ყოფაქცევის ან საშინაო დავალების არქონის გამო მასწავლებლები მოსწავლეებზე ფიზიკურად ძალადობენ. გარდა ამისა, სკოლაში გავრცელებულია დაყვირება ან დამამცირებელი სახელების წოდება. მსგავსი ძალადობა შეიძლება იყოს მოსწავლეებს შორისაც.⁸ ბოლო წლებში საქართველოში მასწავლებლის მიერ მოსწავლის ცემის ფაქტი მრავლად დაფიქსირდა. გავიხსენებ ბათუმის ერთ-ერთი სკოლაში მომხდარ შემთხვევას, როდესაც მასწავლებელმა დაწყებითი კლასის მოსწავლე სცემა. დისციპლინური კომიტეტი ხუთი დღის განმავლობაში სწავლობდა მომხდარ ფაქტს და მისი ხუთი წევრიდან ყველამ მხარი დაუჭირა მასწავლებლის გათავისუფლებას. ამ ფაქტის გამო ბავშვს მოუხდა კლასის დატოვება და პარალელურ კლასში სწავლის გაგრძელება.⁹ ვეთანხმები კომიტეტის გადაწყვეტილებას, თუმცა, აუცილებელია სკოლაში პრევენციული ღონისძიებები გატარდეს და აღნიშნული ფაქტების დასჯისთვის შეიქმნას მეტი სამართლებრივი მექანიზმი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთ დროს არათუ კლასს, სკოლასაც კი ტოვებენ, რაც მომავალში უარყოფითად აისახება მათ ცხოვრებაზე. გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით „სკოლაში ბავშვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი მოსმენა, რადგანაც განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად ეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. გადაწყვეტილებები უნდა ექვემდებარებოდეს აღმინისტრაციულ ან სასამართლო წესით განხილვას...“¹⁰

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მიუთითებს, რომ ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო უზრუნველყოფს სკოლებში ძალადობის აღმოფხვრას. ამ კანონით, დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სი-

6 თავართქილაძე ე., „პროფესიონალებისთვის“, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, <http://phf.oRb.be/ka/ResouRces/fizikuRi-dzaladoba/>

7 გაეროს ანგარიში ოჯახში ძალადობის შესახებ, 2006წ., <https://www.unicef.oRb/violencestudy/3.%20WoRld%20RepoRt%20on%20Violence%20abainst%20ChildRen.pdf>

8 გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში (UNICEF BEORIA), ჩვენ გვაქვს უფლება ვიყოთ დაცული ძალადობისგან, თბილისი, 2007წ., გვ. 19.

9 პედაგოგი, რომელმაც მე-4 კლასის მოსწავლეს სცემა სკოლიდან გათავისუფლეს, <https://edu.aRis.be/news/pedabobi-Romelmac-me-4-klasiss-moswavles-scema-skolidan-baatavisufles-detalebi-momxdaRze.html>

10 გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში (UNICEF BEORIA), უფლება განათლებაზე, თბილისი, 2015წ., გვ. 9.

ტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება კანონით დადგენილი წესით. „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი კრძალავს ბავშვის მიმართ ნებისმიერ ძალადობას და ავალდებულებს დაწესებულებას უზრუნველყოს აღმზრდელ-პედაგოგთა მომზადება არაძალადობრივი მოპყრობის და აღზრდის მეთოდების შესახებ, ასევე სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. რამდენად ქმედითია ეს კანონები? ეს ნორმები ზოგადად კი შეესაბამება ძალადობისგან ბავშვთა დაცვის პრინციპს, თუმცა, კანონები უნდა გადაიხედოს, რათა გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, პირდაპირი ჩანაწერი გაკეთდეს დისციპლინის ზომად ფიზიკური დასჯის ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელის ან მოპყრობის აკრძალვაზე. ამავე დროს, უნდა განიმარტოს ძალადობის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის, ბულინგი, რომელიც გულისხმობს ბავშვის მიერ სხვა ბავშვის აგრესიულ დევნას, რომელიც დაკავშირებულია რეალურ ან წარმოსახვით ძალების უთანასწორობასთან, სრულწლოვანის მიერ ბავშვის წაქეზებასთან და მისთვის ხელის შეწყობა აგრესიულ დევნასთან. ნორმები უნდა გადაიხედოს, რათა, ასევე, აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულება ძალადობის პრევენციის და სათანადო რეაგირების მექანიზმების დანერგვაზე, მათ შორის, როგორიცაა ბავშვის ხელმისაწვდომობა მასზე ძალადობის დროს შეტყობინების კონფიდენციალურ და ეფექტურ საშუალებაზე. დამატებით მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელთა და პედაგოგთა პროფესიული ეთიკის კოდექსები და შესაბამისი სახელმძღვანელო რეგულაციები უნდა ასახავდეს ფიზიკური დასჯის ან სხვა სახის სასტიკი და დამამცირებელი მოპყრობის დაუშვებლობას.¹¹

ძალადობა ბავშვთა და მოზარდთა მიმართ მაღალი პროცენტული სიხშირით გხვდება მთელი მსოფლიოს სკოლებში. 37 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, მოსწავლეთა საშუალოდ 28%-მა განაცხადა, რომ ძალადობის მსხვერპლია სკოლაში, ხოლო მოსწავლეთა საშუალოდ 48%-მა განაცხადა რომ მათი მეგობარია სკოლაში ძალადობის მსხვერპლი. აღნიშნული კვლევის თანახმად, სკოლებში ძალადობის პროცენტული მაჩვენებლები ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში – რუმინეთში და უნგრეთში.¹²

ფიზიკური სასჯელები არ არის ეფექტური ბავშვის აღზრდის პროცესში. როცა ბავშვი ფიზიკურად ისჯება, მას არ რჩება ჩადენილი საქციელის გამო სინაწულის გრძნობა. ამ გრძნობის ნაცვლად მას აქვს ცემით მიყენებული ტკივილი და მორალური ტრავმა, მოძალადეზე ბრაზი. შესაბამისად, მას არ რჩება სურვილი, აღარასდროს ჩაიდინოს ის საქციელი ან გამოასწოროს რის გამოც დაისაჯა. მან შეიძლება, ის გამოასწოროს უარესი სასჯელის შიშით, მაგრამ არა შინაგანად თავისი საქციელის მცდარობის გააზრების გამო.¹³ ძველი ბაბილონის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ძალიან მკაცრ სასჯელს „ურჩი შვილებისთვის“, „უკეთუ შვილმა მამას გაარტყა, ხელის მტევანი უნდა მოაჭროა“. ასევე, თუ შვილობილი ეტყოდა თავის მამას ან დედას, რომელებმაც ის გაზარდეს – „შენ არ ხარ ჩემი მამა“, „შენ არ ხარ ჩემი დედა“, – მას ენას მოაჭრიდნენ.¹⁴ მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდები გამოუსწორებელ უარყოფით კვალს ტოვებს და მოქმედებს არასრულწლოვნის შემდგომ განვითარებაზე. წარმატებული, ხალისიანი, ჯანმრთელი ბავშვების ნაცვლად ძალადობის შედეგად ყალიბდებიან განდგომილი, გულჩათხრობილი და ჯანმრთელობაშერყეული ახალგაზრდები, რომლებსაც უჭირთ ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავება და წარმატებასაც ძნელად აღწევენ.

11 გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №8, §35.

12 ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი, გვ. 5.

13 გუმბერიძე ე., ბავშვთა მიმართ ოჯახურ ძალადობაზე, <http://www.cso.be/publication.php?id=51#.WbE8lidhVDo>

14 თავართქილაძე ე., „პროფესიონალებისთვის“, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, <http://phf.oRb.be/ka/Resources/dzaladoba-bavshvze-istoriuli-RetiRospektiva/>

1.2. არასრულნლოვნის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა

სახლში, სკოლაში თუ სხვა ადგილას არასრულნლოვნის დასასჯელად ფიზიკურ ძალადობას-თან ერთად ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობა. ძალადობის ეს ფორმა ფიზიკური ძალადობის მსგავსად, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია. ვინაიდან ფსიქოლოგიური ძალადობა, როგორც წესი, ხილულ, ხელშესახებ კვალს არ ტოვებს, მისი გამოვლენა რთულია, თუმცა, მას ნაკლები ზიანი არ მოაქვს მსხვერპლისთვის. ბავშვის შეურაცხყოფა, დამამცირებელი სახელების წოდება, მუქარა, იზოლირება ან უყურადღებობა წარმოადგენს სწორედ ამგვარი ძალადობის ნიშნებს, რომლებსაც შესაბამისი რეაბილიტაცია სჭირდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ხშირად არასრულნლოვნის მთელი ცხოვრება გასდევს.

ფსიქოლოგიურ ძალადობას ხშირად ემოციური ძალადობის სახელითაც მოიხსენიებენ. ვინაიდან ძალადობის ეს ფორმა გულისხმობს აკონტროლოს არასრულნლოვნის მოქმედებები მისი დამორჩილების მიზნით, ვითარდება დაბალი თვითშეფასება, ძლიერდება თვითიზოლაცია, არასრულნლოვნი კარგავს დამოუკიდებლობის შეგრძნებას. ასეთ შემთხვევებში ხშირად ბავშვის მდგომარეობა გამოხატულია მეტყველების შეფერხებაში, თავის ტკივილებში, დეპრესიაში, დესტრუქციულ ან ნევროზულ ქცევაში, თვითდაზიანებაში. ასევე, არცთუ იშვიათად არასრულნლოვნებში თავს იჩენს ალკოჰოლიზმი, ნარკომანია.¹⁵ ემოციური ძალადობა სხეულზე ფიზიკურ კვალს არ ტოვებს, თუმცა მისი შედეგები ბავშვის ქცევასა და ემოციურ რეაქციებში ვლინდება.

ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები ბავშვისათვის არის დაყვირება, დამამცირებელი სახელების დაძახება, ბავშვის ლანდა-გინება და მიტოვების მუქარა. ეს ის ქმედებებია, რომელთა ჩადენასაც მსოფლიოში მრავალი მშობელი აღიარებს. არასრულნლოვნისთვის მიყენებული ზიანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიხშირით და რა კომბინაციებში აქვს ადგილი ამ ქმედებებს, ასევე თუ რამდენად დაბალანსირებულია ისინი მშობელთან პოზიტიური ურთიერთობით. დამამცირებელი სახელების დაძახებამ და ლანდლა-გინებამ, თუ ამას ხშირად აქვს ადგილი, შეიძლება ზიანი მიაყენოს ბავშვის წარმოდგენას საკუთარ თავზე და თავ-დაჯერებულობას. ეს შეიძლება ნეგატიური მოდელიც გახდეს, რომელსაც ბავშვი მიბაძავს სახლში და სკოლაში ქცევისას. მიტოვების მუქარა შეიძლება განსაკუთრებით სტრესის მომგვრელი იყოს მცირე ასაკის ბავშვისთვის, რომელმაც შეიძლება დაიჯეროს, რომ ეს მართლა მოხდება.¹⁶

აქვე შეგვიძლია განვიხილოთ იძულება, რომელიც გულისხმობს ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება შესასრულოს ან არ შესასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.¹⁷

1.3. არასრულნლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობა

არასრულნლოვნითა ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ფორმაა სექსუალური ძალადობა, რომელიც გულისხმობს ბავშვის გამოყენებას სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, კერძოდ, სექსუალური მეტყველებით თუ შენიშვნებით დევნას, სექსუალურ გარყვნას, ეროტიკულ ალერსს, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღებას, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული უურნალების დათვალიერების ნებართვას ან ხელშეწყო-

¹⁵ The National Child TRaumatic StRes Network, იხ. <http://www.nctsni.org/content/childRen-and-violence> იხ. მესხი მ., „არასრულნლოვნი მსხვერპლის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სამართლწარმოებისას (გაერთიანებული ერების სამოდელო კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით)“, ჟ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, თბილისი, 2017წ., გვ. 55.

¹⁶ საქართველოში ბავშვების მიმართ ეროვნული კვლევა, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი, თბილისი, 2007-2008წ.წ., გვ. 96.

¹⁷ კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი, ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები, თბილისი, 2005წ., გვ. 20.

ბას, გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას, სასქესო ორგანოების დემონსტრირებას, ღია საუბრებს სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევას, სხეულით ვაჭრობის იძულებას და სხვ.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს. სექსუალური ძალადობის შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბავშვის თანხმობით მოხდა ეს თუ არა. მოზრდილს იოლად შეუძლია არასრულწლოვანზე ზეგავლენის მოხდენა, ბავშვს კი არ შეუძლია ამ ქმედებათა მნიშვნელობის გაგება, მათი შეფასება. გარდა ამისა, მოძალადე თავისი მიზნის მისაღწევად ხშირად მიმართავს მუქარას ან შანტაჟს. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე. ბრალდებულს სოციალურ ქსელ Facebook-ის მეშვეობით, მიმოწერა ჰქონდა 14 წლის მოზარდთან, რომელიც დაითანხმა შიშვლად ფოტოების გადაღებასა და მისთვის გადაგზავნაზე. 25 წლის მამაკაცმა, ფოტოების გასაჯაროების მუქარით, აიძულა არასრულწლოვანი შეხვედროდა მას და ერთ-ერთი მშენებარე კორპუსის ტერიტორიაზე, დაამყარა მასთან სექსობრივი კავშირი. ბრალდების მეორე ეპიზოდში, იგი კვლავ დაემუქრა დაზარალებულს ფოტოების გასაჯაროებით და მის მშობლებს სოციალური ქსელის მეშვეობით, გაუგზავნა მეგობრობის თხოვნა ყალბი ანგარიშით, სადაც მოზარდის მამხილებელი ფოტოები ჰქონდა ატვირთული. სასამართლომ, მოწმეთა ჩვენებების, ამოცნობის ოქმისა და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, დადგენილად მიიჩნია ბრალდებულის მხრიდან, ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის ფაქტი. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, დანაშაულთა ერთობლიობით ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.¹⁸

სექსუალური ძალადობა შეიძლება მოხდეს ოჯახს გარეთ ან ოჯახში. ხშირ შემთხვევაში (შემთხვევათა 75-90%) ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას ახორციელებენ ადამიანები, რომლებსაც ბავშვები კარგად იცნობენ და ენდობიან. ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ასაკის ბავშვი, როგორც გოგონა, ასევე ბიჭი. ხშირ შემთხვევებში ოჯახს გარეთ სექსუალური ძალადობა გაუპატიურების სახით ხდება, ფიზიკური თავდასხმითა და მუქარით. ოჯახში სექსუალურ ძალადობას კი ძირითადად სისტემატიური ხასიათი აქვს, რომელიც ზოგჯერ წლების მანძილზე გრძელდება. ბავშვის ჩათრევა ამ ქმედებებში თანდათანობით ხდება. მსხვერპლი ამ შემთხვევაში უფრო მცირე ასაკისაა, ვიდრე ოჯახს გარეთ ძალადობის შემთხვევაში. ხშირად ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ხანგრძლივად მიმდინარე პროცესია, რომლის დროსაც მოძალადე სარგებლობს ბავშვთან დამყარებული ახლო ურთიერთობით, მისი ნდობით. ხშირად უშუალოდ სექსუალურ ქმედებებში ბავშვის ჩართვას წინ უსწრებს სექსუალური ელფერის ხანგრძლივი „მოსამზადებელი“ პერიოდი. ბავშვისთვის მატრავმირებელია სექსუალური ძალადობის ნებისმიერი ფორმა. სექსუალური ძალადობით მიყენებული ზიანი ემოციური ბუნებისაა და მომდინარეობს იმედგაცრუების, ღალატის, იზოლაციის, სირცხვილის, შფოთვის და ბავშვობის დაკარგვის განცდებიდან, რომლებსაც ბავშვი გრძნობს და შეიძლება მთელი ცხოვრება გაჰყვეს.

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევის შედეგების მიხედვით, ქალთა მხოლოდ 3,9% აღიარებს, რომ ისინი ოჯახში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ყოფილან, ხოლო ბავშვთა მხრიდან ამის აღიარება კიდევ უფრო ნაკლებია. არასრულწლოვნებს ეშინიათ მოძალადისა და აგრეთვე შიშობენ, რომ მათ ვერ გაუგებენ ან დაადანაშაულებენ. გაეროს ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში დაახლოებით ყოველი მეათე არასრულწლოვანი გოგო სექსუალური ძალადობის მსხვერპლია. გარდა ამისა, მთელს მსოფლიოში 82 მილიონი გოგონა ქორწინდება 18 წლის ასაკამდე. ბევრ მათგანს კი აძალებენ ქორწინებას უფროს მამაკაცებზე. ამ შემთხვევაში გოგონას ემუქრება ძალადობის, მათ შორის ყველაზე მეტად სექსუალური ძალადობის საფრთხე.¹⁹

18 თბილისის საქალაქო სასამართლო, <http://tcc.bov.be/index.php?m=443&newsid=1045>

19 გაეროს ანგარიში ოჯახში ძალადობის შესახებ, 2006წ., <https://www.unicef.orb/violencestudy/3.%20World%20Report%20on%20Violence%20against%20Children.pdf>

არსებობს კვლევა, რომლის მიხედვითაც ყველა შემთხვევაში, მანდატურებმა ძალადობის სხვა-დასხვა სახის ნიშნების იდენტიფიცირების უკეთესი უნარი გამოავლინეს, ვიდრე მასწავლებლებმა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლების წარმომადგენელთა უმეტესობისათვის აშკარად ცნობილია, თუ რა ქმედება უნდა ჩაითვალოს ძალადობად, რეფერირების პროცედურებით გათვალისწინებული პოტენციური შემთხვევების დროს უმეტესობას ან არ სურს ჩარევა, ან არ იცის, რა მოიმოქმედოს. საზოგადოების თვალში სკოლის რეპუტაციისათვის ზიანის მიყენების შიში, თანამშრომელთა პირადი პროფესიული დაუცველობის გრძნობა, სამუშაო ადგილებზე ტრენინგების ნაკლებობა და ბავშვთა დაცვის რეფერირების ინსტრუქციების არარსებობა ხელს უშლის სასკოლო სისტემას ქმედითი როლი ითამაშოს რეფერირების პროცესში.²⁰ ამის მიუხედავად, იმერეთის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მანდატურმა 15 წლის გოგონა გააუპატიურა. ამ ფაქტამდე მანდატური ამ სკოლაში რამდენიმე წელი მუშაობა, გოგონა კი ერთი წლის გადასული იყო. აღნიშნულმა ფაქტმა მოსწავლის ორსულობა გამოიწვია. მანდატური სამსახურიდან გათავისუფლებულ იქნა.²¹ მართალია ამ შემთხვევაში დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა მამაკაცის მიმართ, თუმცა ამ სავალალო შედეგებს ეს არ უშველის. პრევენციული ღონისძიებების გატარების საჭიროება ამ შემთხვევაში ძალიან კარგად ჩანს.

ბავშვის მიმართ სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: „შემთხვევითი“ ანუ სიტუაციური (situational) და „პრეფერენციული“ ანუ უპირატესობის მიმცემი (preferential). „შემთხვევით“ პირებს ბავშვების მიმართ ჩამოყალიბებული სექსუალური ინტერესი არ გააჩნიათ. ისინი ბავშვებთან სექსუალურ ურთიერთობებში იმიტომ შედიან, რომ ამის შესაძლებლობა ეძლევათ. ასეთი ადამიანები ბავშვებზე იმიტომ ძალადობენ, რომ ხვდებიან სიტუაციაში, როდესაც ბავშვი მათთვის ადვილად ხელმისაწვდომია. „პრეფერენციულ“ პირებს კი უკვე ჩამოყალიბებული დამოკიდებულება აქვთ სექსუალურ ურთიერთობებში ბავშვებისთვის უპირატესობის მინიჭების თვალსაზრისით. ისინი არც ისე მრავალრიცხოვანნი არიან, როგორც „შემთხვევითები“, მაგრამ პოტენციურად ბავშვების უფრო მეტი რაოდენობისთვის შეუძლიათ ზიანის მოტანა, რადგან ეს მათ სურვილს და განზრახვას წარმოადგენს. ასევე, „პრეფერენციულ“ პირთა შორის შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ქცევითი ჯგუფი: „მაცდუნებლები“ (Seducers), რომლებიც ბავშვის მისაზიდად იყენებენ მიჯაჭვულობის გამოხატვას, ყურადღებას ან საჩუქრებს. ძალადობისთვის სამზადისში, ხშირად ისინი ბევრ დროს ახარჯავენ თავიანთ მსხვერპლზე „ზრუნვას“. მათ შეიძლება გამოიყენონ მუქარა, შანტაჟი და ფიზიკური ძალადობა, რათა თავიდან აიცილონ გამუღავნება, მხილება. მეორე ჯგუფში არიან „ჩაკეტილი“ (Introverted) პირები, რომლებიც ასევე ბავშვებს ანიჭებენ უპირატესობას, მაგრამ ისინი მოკლებული არიან „მაცდუნებელთა“ უნარს, გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება ჩამოყალიბონ ბავშვებთან. მათ მინიმუმამდე დაჰყავთ მსხვერპლებთან ვერბალური კონტაქტი და სექსუალური ურთიერთობების დამყარებას უცნობ ან ძალიან პატარა ბავშვებთან ცდილობენ. მესამე, ყველაზე ნაკლებად გავრცელებული არის „მოძალადე-სადისტები“ (Sadistic offenders), რომლებსაც სექსუალურად აინტერესებთ ბავშვები, მაგრამ, ამავე დროს, სექსუალურ სიამოვნებას იღებენ მსხვერპლისთვის ტკივილის მიყენებით. მოძალადეთა სწორედ ამ ტიპისთვის არის დამახასიათებელი ძალის გამოყენება ბავშვის დაუფლების მიზნით, აგრეთვე მსხვერპლის გატაცება და მკვლელობაც კი.

მოძალადე ხშირად სხვებისგან არაფრით გამოირჩევა. ხშირად იგი ისეთი ადამიანია, რომელიც გარემომცველთა წრეში კარგი რეპუტაციით სარგებლობს და არავითარ ეჭვს არ იწვევს. მოძალადე შეიძლება იყოს ქალიც და მამაკაციც, ბავშვიც და მოზრდილიც. ზოგჯერ ბავშვი არ ეწინააღმდეგება მოძალადეს. ეს მომდინარეობს ე.წ. „კარგი აღზრდისგან“. ბავშვებს ასწავლიან, რომ უფროსებს, განსაკუთრებით პატივსაცემ, ავტორიტეტის მქონე ადამიანებს (მასწავლებელს,

²⁰ ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შეტყიშავებული რეკომენდაციები, თბილისი, 2013წ., გვ. 86.

²¹ იმერეთის რეგიონში მანდატურმა 15 წლის მოსწავლეთან სექსუალური კავშირი დამყარა, <http://www.ambebi.be/samaRtali/189526-imeRethis-Rebionshi-mandatuRma-15-tslis-mostsavlesihan-sqesobRivi-kavshiRi-daamyaRa.html>

ნათესავს თუ სხვ.) „ყველაფერი დაუჯერონ“. ბავშვი თავს იდანაშაულებს მომხდარის გამო და მკაცრი სასჯელის შიშით, იძულებულია დადუმდეს. არასრულწლოვანში დანაშაულის გრძნობის გამოწვევას ხშირად მოძალადე თავად ცდილობს. ის ჩაგონებს ბავშვს, რომ მან თვითონ „გამოიწვია“ მთელი ეს სიტუაცია, ხოლო მომხდარი „ჩვენი პატარა საიდუმლოა“ და ა. შ. სიტუაცია განსაკუთრებით დრამატულია, როცა მოძალადე არის მამა, რომელიც ბავშვს იმის წარმოდგენით აშინებს, თუ რა შეიძლება მოხდეს, „ეს რომ დედამ გაიგოს“.

დანაშაულის ძლიერი გრძნობა შეიძლება გამოიწვიოს კონტაქტის დროს განცდილმა სიამოვნებამაც. ბავშვი, რომელსაც არ აქვს ცოდნა ფიზიოლოგიის ძირითადი პრინციპების შესახებ, ვერ აცნობიერებს, რომ მგრძნობიარე ზონების გაღიზიანებაზე სხეულის რეაქცია ძირითადად ავტომატურია და ის თავს მომხდარის გამო მთავარ დამნაშავედ მიიჩნევს.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნები სინამდვილეში ვერ ხვდებიან, რა ხდება რეალურად, რცხვენიათ ამის შესახებ მოყოლა. თანდათან, როცა ბავშვი იზრდება, ის ნათლად აცნობიერებს, რომ რაც მის მიმართ ხორციელდებოდა დანაშაულია. ამასთან, ის ხვდება, რომ მოძალადის „მხილებამ“ შეიძლება მთელ ოჯახს შეუქმნას საფრთხე და სრულიად გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს. არის სხვა მიზეზებიც, რაც ბავშვს მორჩილებას და სიმართლის დამალვას აიძულებს, მაგალითად, შიში, რომ არ დაუჯერებენ და თვითონ მას დასჯიან. ზოგჯერ ბავშვი ფიქრობს, რომ გარემომცველებმა ისედაც ყველაფერი იციან. ხშირად ბავშვი იცავს მოძალადეს, ეშინია, რომ მას დააპატიმრებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოძალადე ბავშვის ახლობელი ადამიანია.²²

რაც შეეხება ბავშვთა პორნოგრაფიას, მისი მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი, თუმცა, არასრულწლოვნები, რომლებიც ცხოვრობენ ან დიდ დროს ატარებენ ქუჩაში, ისევე როგორც ბავშვები, რომლებიც იძულებით ენევიან პროსტიტუციას, ან ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი ბავშვები, პორნოგრაფიის წარმოებაში გამოყენების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. ამ ჯგუფში ასევე შედიან ბავშვები დისფუნქციური და ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან. თანამედროვე ტექნოლოგიები და ინტერნეტის განვითარება ბავშვების ექსპლუატატორთათვის და პორნოგრაფიის მოყვარულთათვის მეტ კომერციულ შესაძლებლობებს იძლევა, და აგრეთვე, ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების ქსელების განვითარებას უწყობს ხელს. დღეისათვის, ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოება და გავრცელება ხშირად ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის მეშვეობით ხდება. ბავშვთა პორნოგრაფიის გასაზიარებლად და გასავრცელებლად, ბავშვთა პორნოგრაფიის მოყვარულები იყენებენ ფაილების გაზიარების ქსელებს, სიახლეების გაზიარების ჯგუფებს, თანასწორთა სისტემებს (peer-2-peer systems) და სხვა ტექნოლოგიებს. ინფორმაციული ტექნოლოგიები ასევე უწყობებს ხელს კომერციულ მყიდველთა ჯგუფების, სექს-ტურისტების, პედოფილების და ბავშვებით მოვაჭრეთა მიერ ბავშვების ორგანიზებულ სექსუალურ ექსპლუატაციას და ბავშვებზე ძალადობას. ბავშვების სექს-ექსპლუატატორები იყენებენ მობილურ ტელეფონებს და ერთვებიან ჩათებას თუ ინტერნეტ-ურთიერთობის სხვა ადგილებში, იმისთვის, რომ შეიტყუონ და გადაიბირონ და ბავშვები, შემდეგ კი მათი ექსპლუატაცია მოახდინონ. ამდენად, ბავშვები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობენ, ასევე იმყოფებიან სექსუალური ექსპლუატაციის რისკის ქვეშ. პორნოგრაფიაში ჩათრეული ბავშვები შემდგომში ხშირად ცვლიან ამ საქმიანობას ნარკოტიკებით, პროსტიტუციით. მოწიფულ ასაკში მათ ხშირად აქვთ სექსუალური პრობლემები და რაც ყველაზე უარესია, ბავშვები, რომლებმაც სექსუალური ექსპლუატაცია განიცადეს, მოზრდილობაში ხშირად იგივეს აკეთებენ სხვა ბავშვებთან, ამიტომ ამ საკითხს სახელმწიფომ ძალიან დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს. საქართველოში ბავშვთა პორნოგრაფიასთან მიმართებაში ეფექტური კანონმდებლობა არ არსებობს. ამგვარი იურიდიული ვაკუუმი სახითათო ცარიელ ადგილს ქმნის, რაც

22 თავართქილაძე ე., „პროფესიონალებისთვის“, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, <http://phf.oRb.be/ka/ResouRces/dzaladoba-bavshvze-istoRiuli-RetRospeqtiva/>

დაუსჯელობის ფაქტორით ძლიერდება და ბავშვებს ძალადობის რისკის წინაშე აყენებს.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ არასრულნლოვანთან დაკავშირებით კიდევ ერთ სინდრომზე – სექსუალური ძალადობისადმი ბავშვის შეგუების სინდრომზე (CSAAS), რომელიც 1983 წელს, ამერიკელმა ფსიქიატრმა როლანდ სამიტმა დაადგინა და შეისწავლა. ამ სინდრომის მოდელის გათვალისწინება ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებს ეხმარება უკეთ გაიგონ, თუ რა სირთულეებს აწყდებიან ბავშვები ოჯახური სექსუალური ძალადობის გამხელისას. მოდელი შედგება ხუთი ელემენტისაგან: გასაიდუმლოება, უსუსურობა, შეგუება, არათანმიმდევრული გამხელა და უკან დახევა. ბავშვებს ხშირად ეშინიათ გადატანილი სექსუალური ძალადობის შესახებ მოყოლის და ამ შიშის გამო მომხდარს საიდუმლოდ ინახავენ. სამიტის დასკვნით, ამგვარ პირობებში მცხოვრები ბავშვები თავს საშინლად გრძნობენ. გარკვეული დროის შემდეგ შესაძლოა, მოკრიბონ სათანადო გამბედაობა და გაამხილონ მომხდარი, თუმცა მათი მონაყოლი ხშირად არადამაჯერებელი და არათანმიმდევრულია. უფროსების რეაქციის შემდეგ კი (რომელიც უმეტესწილად ბავშვისათვის არასასურველია) ბავშვი უკან იხევს. ამ ეტაპზე ბევრი სპეციალისტი უკვე ხელს იქნევს. ეს დასკვნები კიდევ გამყარდა 1991 წელს, სორენსონ სნოუს ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ, განსაკუთრებით არათანმიმდევრული გამხელის შესახებ. ბოლო წლების განმავლობაში, ეს ორი ნაშრომი განხილვის საგანი გახდა. სექსუალური ძალადობისადმი ბავშვის შეგუების სინდრომი არ შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც დიაგნოზი. ის მნიშვნელოვანი დამატებითი ფაქტორია, რომელიც ზოგჯერ (არა ყოველთვის) ასახავს ქრონიკული სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ქცევის დინამიკას.

მოგვიანებით, 2005 წელს, ჩატარებული კვლევებით ზოგიერთი სამიტისეული დასკვნა ეჭვქვეშდადგა. 1992 წელს თავად სამიტიც წერდა, რომ ბავშვის სექსუალური ძალადობისადმი შეგუების სინდრომი არის სტატისტიკაზე დაფუძნებული მოსაზრება და არა მეცნიერული ხელსაწყო. ერთ-ერთი, რაც მრავალი წლის განმავლობაში ეჭვის ქვეშ არ დაყენებულა, არის ის, რომ ბავშვები ხშირად ამჯობინებენ სექსუალური ძალადობის საიდუმლოდ შენახვას. არაერთი კვლევა ჩატარებულა ზრდასრულებზე, რომლებზეც ბავშვობაში სექსუალურად ძალადობდნენ, საერთო სტატისტიკა ამგვარია: 60-70% ამჯობინებს საიდუმლოდ დატოვოს გადატანილი სექსუალური ძალადობა, ხოლო სამუალოვანი ვადა ძალადობიდან გამხელამდე 15 წელია. ამას გარდა, მომხდარის მხოლოდ 10-18% იყო შეტყობინებული სამართალდამცავებისათვის.²³

1.4. არასრულნლოვნის მიმართ ეკონომიკური ძალადობა.

რაც შეეხება ეკონომიკურ ძალადობას, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ალკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განიმარტა როგორც ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებების შეზღუდვას. არასაკმარისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის მიერ მითითებულია იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც საქართველოში, სავარაუდოდ, ზრდის პარტნიორთა მხრიდან ძალადობის რისკს ქალთა მიმართ.²⁴ ეკონომიკური ძალადობა, ბუნებრივია, ქალებზე მეტად არასრულნლოვნების შემთხვევაში გვხდება, რადგან მათ არ აქვთ შემოსავალი და დამოკიდებული არიან მშობლებზე.

23 იქვე.

24 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზებისა და შედეგების სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, თბილისი, 2016წ., გვ. 10.

1.5. არასრულწლოვნის უგულვებელყოფა

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნტით უგულვებელყოფა არის მშობლის/გმბლების, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ ბავშვის ფიზიკური (მათ შორის, კვება, ჰიგიენა, საცხოვრისი), ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისათვის, აგრეთვე სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვთ (აქვთ) სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე. ძალადობის ეს ფორმა უფრო სპეციფიკური ფორმაა და ძირითადად გავრცელებულია ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს.

2. არასრულწლოვანთა ძალადობისგან დაცვა

2.1. არასრულწლოვანთა ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები

არასრულწლოვანთა ძალადობასთან დაკავშირებით აუცილებელია კანონმდებლობის სრულყოფა, რაც როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების, ასევე ქვეყანაში ბავშვის ნორმალური აღზრდისა და ცხოვრების აუცილებელი პირობაა. საქართველოს კანონმდებლობაში მართალია, არასაკმარისად, თუმცა, მაინც ცალკე არის გამოყოფილი არასრულწლოვანთა ძალადობა, უფრო კონკრეტულად ოჯახში ძალადობის დროს. სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლში, რომელიც ეხება ოჯახში ძალადობას, მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა დამამდიმებელი გარემოებაა. არასრულწლოვნების მხრიდან დუმილი არის მართლმსაჯულების დიდი პრობლემა. არასრულწლოვანი შეშინებულია, შერცხვენილია და არ სურს რაიმის თქმა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში გვაქს მუხლები, რომელიც ოჯახში ძალადობის დროს არასრულწლოვანთა სპეციალურ მიდგომას ეხება, კერძოდ, 50-ე მუხლის მე-2 ნაწილით „დაუშვებელია ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართალნარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში, აგრეთვე მისთვის/მათთვის არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობა და გადაცემა“. კოდექსის 52-ე მუხლის მე-11 ნაწილით „ოჯახურ დანაშაულთან, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას და არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში სოციალური მუშავის მიერ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) მოძალადე მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით“.

გარდა ამისა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172⁶ მუხლის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თა-

ნამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს შესაბამისი ფიზიკური პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 50 ლარიდან 100 ლარამდე ოდენობით, შესაბამისი დაწესებულების (იურიდიული პირის) დაჯარიმებას 100 ლარიდან 200 ლარამდე ოდენობით“. აღნიშნული სახდელი არ არის შესაბამისი ქმედების საშიშროებასთან. აუცილებელია ამ კუთხით გამკაცრდეს კანონმდებლობა. ლიბერალური ტენდენციები ამ საკითხთან მიმართებით არ იქნება შედეგის მომტანი. ასევე, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბერი 437 დადგენილებით საქართველოს პროკურატურის, საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროთა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული/მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, პოლიციის, სააგენტოს, საბავშვო ბალების, მანდატურის სამსახურის, საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებების, თავშესაფრების, სამედიცინო სერვისის მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები) და მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის)/მათი უფლებამოსილი დაწესებულებების, სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენლები ვალდებული არიან, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გადაამოწმონ ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული გადაუდებელი შემთხვევა, ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და ანარმონ შემთხვევის მართვა, რეფერირების პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებსა და შესაბამისი შიდა ინსტრუქციების მიხედვით. ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის/გამოძახების ადგილზე.

მიმდინარე წლის 19 ივნისს ვენეციის კომისიამ საქართველოს კონსტიტუციის ცვლილების შესახებ დასკვნა გამოაქვეყნა. დასკვნის 73-ე პარაგრაფში „ბავშვთა უფლებები“, -ს ქვეშ აღნიშნულია, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოს კონსტიტუციაში დამოუკიდებელ მუხლად ჩამოყალიბდეს.

კონსტიტუციამ ყველასთვის თანაბრად უნდა შექმნას ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მყარი გარანტიები. სწორედ მომავალი თაობების, ე.ი. ბავშვების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გათვალისწინება უნდა გახდეს კანონმდებლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ჯერ კიდევ 2015 წლს გამოხატავდა შეშფოთებას ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ ბავშვთა დაცვისა და განვითარების გარანტიების გაუთვალისწინებლობის გამო წევრი ქვეყნების კონსტიტუციებში, სამართლებრივ თუ ადმინისტრაციულ აქტებში. ასამბლეის მოსაზრებით, ბავშვთა უფლებების ეროვნულ კონსტიტუციებში ასახვა უნდა მივიჩნიოთ ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკის აუცილებელ ღონისძიებად. საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შეფასებისას, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორმა და 2000-2010 წლებში ვენეციის კომისიის წევრმა, სერ ჯეფრი ჯოულმაც აღნიშნა, რომ პროექტი საქმარისად არ ითვალისწინებს ბავშვთა უფლებებს, მათ შორის იმ საკითხებს, რომელიც გათვალისწინებულია სხვა ქვეყნების კონსტიტუციებში.²⁵ საქართველოს კონსტიტუციის პროექტი ისე იქნა მიღებული, რომ არსებული ტექსტი არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ ბავშვთა უფლებების ისეთ ფუნდამენტურ ასპექტებს, როგორიცაა ბავშვთა დაცვა ძალადობისგან, შრომითი ექსპლუატაციისგან, ბავშვებზე სახელმწიფოს ზრუნვის ვალდებულებებს, ბავშვთა განვითარების, ბავშვთა ჭეშმარიტი ინტერესისა და მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფას და სხვ. კონსტიტუციის ჩანაწერში ხაზი უნდა გაესვას ბავშვს, როგორც უფლებათა სუბიექტს და, არა მხოლოდ, მზრუნვ-

²⁵ სერ ჯეფრი ჯოულმაც ასპექტებში, კონსტიტუციის გადასინჯვების კანონპროექტის ადამიანის უფლებებთან და სასამართლო უფლებებისთვის შეფასება, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი, 2017წ.

ელობის ობიექტს. აღნიშნული მიდგომა განმტკიცებულია გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მიერ და ხაზს უსვამს ბავშვების უფლებას, შესაბამისად, სახელმწიფოს შემხვედრ ვალდებულებებს ამ უფლებების რეალიზაციისათვის. აგრეთვე, ბავშვის უფლებას ჰქონდეს აქტიური როლი საკუთარი საქიროებების განსაზღვრასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დაცული იყოს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი.²⁶ რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია – კონსტიტუციაში უნდა იყოს ჩანაწერი ბავშვის უფლებაზე იყოს დაცული ძალადობისგან. ეს უკანასკნელი აკონკრეტებს არასრულწლოვნის უფლებას მოითხოვოს სახელმწიფო უწყებებისგან მისი დაცვა ძალადობის, სისასტიკის და ექსპლუატაციისგან.

გარდა ამისა, საქართველოში მიზანშეწონილია შეიქმნას ე.წ. „Children’s Ombudsman“-ის ინსტიტუტი, რომელიც ბევრ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს, რომლებსაც აქვთ პრეტენზია ბავშვთა უფლებათა დაცვაზე. აღნიშნული ინსტიტუტის მოვალეობაა ქვეყანაში ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულება, ბავშვთა მხარდაჭერის განმახორციელებელი სუბიექტების საქმიანობის კანონიერებაზე კონტროლის განხორციელება, კონსულტაციების განვევა ბავშვთა უფლებებზე და ა.შ. ბავშვთა დამცველი არის დამოუკიდებელი. იგი ასევე ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, სემინარებისა და შეხვედრების, სასწავლო ვიზიტების, ექსპერტების მოწვევის, საჯარო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით. აღნიშნული ინსტიტუტი ასევე ჩართულია საკანონმდებლო პროცესში და სახელმწიფოში არის იმის გარანტი, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინსტერესები დაცული იყოს, მათ შორის ისიც, რომ აღკვეთილ იქნას ბავშვთა ძალადობა. ეს მეტად საჭირო და აუცილებელი ინსტიტუტია ყველა სახელმწიფოსთვის და იმედს ვიტოვეთ, ახლო მომავალში იქნება პოლიტიკური წება და საჭირო სახსრები, რათა „Children’s Ombudsman“-ის ინსტიტუტი საქართველოშიც შეიქმნას.

2.2. არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის პრევენციული მექანიზმები

რა განაპირობებს ძალადობას, მოძალადეს პიროვნული თვისებები, თუ გარემო პირობები, არ არსებობს ერთიანი აზრი. ძალადობის მიზეზად უფრო ხშირად სახელდება გარემო პირობებით გამოწვეული მოძალადის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მთლიანად აღმოფხვრის ბავშვთა მიმართ ძალადობას, ვინაიდან ეს პრობლემა ყველაზე განვითარებულ ქვეყნებსაც კი ანუხებთ. ბავშვების ძალადობისაგან დაცვის საკითხებზე ბევრ ქვეყანაში მუშაობენ, მაგრამ ამ მოვლენას მაინც აქეს ადგილი და ბევრჯერ არც არსებობს ინფორმაცია ამაზე. არსებობს მრავალი მიზეზი იმისა, თუ რატომ რჩება დამალული ძალადობის ფაქტები. ერთ-ერთი მიზეზად შეგვიძლია განვითაროთ შიში – ბევრ ბავშვს ეშინია განაცხადოს ძალადობის ფაქტის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოძალადე მასზე გაცილებით ძლიერია. სირცესვილი – ბავშვს შეიძლება ეშინოდეს, რომ სხვები გაიგებენ რომ მასზე ძალადობის შესახებ მასვე დაადანაშაულებენ და გარიყყავენ. წარმოდგენა ძალადობაზე – ზოგჯერ ურთიერთობაში ძალადობა „ნორმალურ“ მოვლენად აღიქმება. არ ხდება განაცხადის გაკეთება – ბავშვები და სრულწლოვნებიც არ ენდობიან პასუხისმგებელ ორგანოებს.

დიდი ხნის განმავლობაში, ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები ძირითადად ძალადობის უკვე მომხდარ შემთხვევებზე რეაგირებით შემოიფარგლებოდა. დღეს, მეცნიერული კვლევებზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბავშვზე ძალადობის წებისმიერი ფორმის აღკვეთა შესაძლებელია მანამ, სანამ ის მოხდება. ვინაიდან ბავშვზე ძალადო-

²⁶ კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, 2017წ., <http://ccy.be/koalicia-bavshvebisa-da-akhalbazRdebistvis-mimaRtva-konstituciashi-bavshvta-ufflebebis-asakhvis-taobaze/>

ბის გამომწვევი მიზეზი მრავალგვარია, შესაბამისად, ძალადობის პრევენციული სტრატეგიებიც განსხვავდება. არსებობს ბავშვზე ძალადობის პრევენციის და ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე ზრუნვის უნივერსალური სტრატეგიები, რომელთა ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო სხვადასხვა ქვეყანაში წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და მრავალი მეცნიერული შრომა. ეს სტრატეგიები მოიცავს როგორც პირდაპირი ზეგავლენის მქონე ღონისძიებებს, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვის მოვლისა და აღზრდის საკითხებზე მშობელთა განათლება, საზოგადოების ინფორმირება ბავშვზე ძალადობის საკითხებზე, ასევე არაპირდაპირი ზემოქმედების მომხდენ სტრატეგიებსაც, მაგალითად, ნაკლებად ხელმისაწვდომი ალკოჰოლი, და სხვ. პრევენციის მრავალი არსებული სტრატეგია ბავშვზე ძალადობის შემთხვევების ადრეულ იდენტიფიცირებას და ინტერვენციას გულისხმობს, რაც მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლოვა ცალკეული ბავშვისა და ოჯახისათვის. თუმცა, მხოლოდ ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად ვერ შეამცირებს ბავშვზე ძალადობის შემთხვევათა რიცხვს. ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ დასახულ ღონისძიებათა მაქსიმალური ეფექტურობისთვის აუცილებელია, რომ ნებისმიერი სტრატეგია, განსაკუთრებით – პრევენციული სტრატეგიები, აუცილებლად ითვალისწინებდეს ბავშვზე ძალადობის გამომწვევ რისკ-ფაქტორებს და ძალადობის ხელისშემლელ, დამცავ ფაქტორებს. პრევენციული სტრატეგიები მიმართული უნდა იყოს ძალადობის გამომწვევი რისკ-ფაქტორების შემცირებისა და დამცავი ფაქტორების გაძლიერებისკენ.

არასრულნლოვანზე ძალადობა განსაკუთრებით ცუდად აისახება. მან შეიძლება აღიქვას ძალადობა, როგორც ბუნებრივი მოვლენა და მომავალში თვითონაც გაიმეოროს იგივე ქცევა. ის, რომ არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ადამიანი ძალადობს ბავშვზე და არა სხვაზე ეს აიხსნება ძალაუფლებრივი პირამიდით, როდესაც დისკრიმინირებული ძალადობს თავისზე სუსტზე და ეს კიბე გრძელდება იერარქიულად დაბალი საფეხურის მიმართულებით – კაცი ძალადობს ქალზე, ქალი ბავშვზე და ა.შ. ასევე, სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული ფსიქოლოგიური პრობლემები, მნიშვნელოვანი ტენდენციაა ძალადობის დასახელებულ მიზეზებში. გარკვეული გარემოებები განაპირობებს ძალადობას. ერთ-ერთი ასეთი გარემო პირობა არის ძალადობრივ ოჯახში აღზრდა. ეს არის სოციალური დასწავლის და სოციალურ კოგნიტური თეორია, რაც გულისხმობს იმას, რომ ძალადობრივ ოჯახში გაზრდილი მეტად მოსალოდნელია, რომ თავად გახდეს მოძალადე მოზრდილ ასაკში, მოძალადის ოჯახში იზრდება მოძალადე. ძალადობა შობს ძალადობას.²⁷ ზოგიერთი ბავშვი საკუთარ სახლში ხდება ოჯახური ძალადობის მოწმე, მირითადად მშობლებს შორის ამგვარმა ძალადობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვის ფსიქიკაზე, მის განვითარებაზე და აისახოს მის მომავალ ქცევაზე სხვების მიმართ. იმ ოჯახში, სადაც აქვს ძალადობას ქალის მიმართ, ხშირია ბავშვის მიმართ ძალადობაც.²⁸

დასკვნა

ყველანაირი ფორმის ძალადობისაგან დაცვა არასრულნლოვნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა. საზოგადოების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბავშვის აღზრდა ძალადობრივი მეთოდებით უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდებით. გავრცელებული მოსაზრებით არასრულნლოვნის მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობა, ოჯახის შიდა საქმეა და ამ საქმეში არავინ უნდა ჩაერიოს. იმ შემთხვევებში კი თუ ვინმე ჩარევას გადაწყვეტს ხშირად არც კი იცის ვის ან როგორ უნდა მიმართოს.²⁹ არასრულნლოვანი დაცული უნდა იყოს

27 McBILLIVRAY A., „BoveRnib Childhood“, DaRtmouth, USA, 1997, P. 18-19.

28 გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში (UNICEF BEORBIA), ჩვენ გვაქვს უფლება ვიყოთ დაცული ძალადობისგან, თბილისი, 2007 წ., გვ. 19.

29 გრაუმანი შ., ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, 2013წ., გვ. 3.

ძალადობის ყველა ფორმისგან როგორც მშობლების, ასევე სხვა ნებისმიერი პირებისგან. CRC-ის მიხედვით, სახელმწიფოებმა არასრულწლოვნის დასაცავად უნდა შექმნან ეფექტური პროცედურები სოციალური პროგრამების შემუშავების მიზნით, რათა უზრუნველყონ აუცილებელი დახმარება ბავშვების მიმართ. ბავშვის უფლებების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფომ ასევე ყველა ზომა უნდა გაატაროს ბავშვის მიმართ სასტიკი დამოკიდებულების თავიდან აცილების მიზნით, ნებისმიერი ფორმით ძალადობის გამომჟღავნების, შეტყუბინების, გამოძიების, დაცვისა დახმარების პროცედურების ჩათვლით.³⁰ საკანონმდებლო აქტებში მეტად უნდა იყოს მოხსენიებული და გამკაცრებული არასრულწლოვანზე ძალადობა.

მასწავლებლების, აღმზრდელების, ფსიქოლოგების, პოლიციელებისა თუ სოციალური მუშაქების მოვალეობაა დროულად ამოიცნონ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევები და იმოქმედონ კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, რათა დაიცვან ბავშვის ინტერესები. მხოლოდ სწორი მეთოდებით აღზრდა მისცემს ბავშვს საშუალებას, სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი და გახდეს საქართველოს აქტიური მოქალაქე და მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის განვითარებაში. კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ძალადობისგან ბავშვების დაცვის სისტემა გამართვასა და სრულყოფას საჭიროებს.

ძალადობამ არასრულწლოვნებზე შეიძლება გამოიწვიოს როგორც ჯანმრთელობის ხანგრძლივი პრობლემები, ისე სიკედილიც კი. ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვებზე ძალადობის შემთხვევაში ეკისრება სახელმწიფოს. სრულწლოვნები ვალდებული არიან მხარი დაუჭირონ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას. ქვეყანაში უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება, რათა მომზადებულ და მიღებულ იქნეს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღკვეთასთან დაკავშირებული კანონმდებლობა. საქართველოს კანონმდებლობა ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად ეხლა იკრებს ძალებს და ამ მიზნის მიღწევისთვის, აუცილებელია, ეროვნული და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობათა ანალიზის საფუძველზე ნორმატიულს აქტებში შევიდეს ცვლილებები და დამატებები. ბავშვთა უფლებები აუცილებელია აისახოს როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ასევე სხვა ნორმატიულ აქტებში. უნდა შეიქმნას კონსტიტუციური გარანტიები ბავშვთა უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის კუთხით, რომელიც დაეფუძნება ბავშვების აღიარებას დამოუკიდებელ სამართალსუბიექტებად. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, შეიქმნას ე.წ. „ChildRen’s Ombudsman“-ის ინსტიტუტი, რომელიც იქნება ბავშვთა უფლებათა დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტი საქართველოში.

თანამშრომლობა პასუხისმგებლობის გაზიარებაა. უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინფორმაციის გაცვლასა და ურთიერთგაებაზე, როგორც ცალკეული სპეციალისტების, ისე უწყებების დონეზე. სპეციალისტებმა და სხვადასხვა სამსახურებმა ერთობლივად უნდა დაგეგმონ და მოახდინონ ბავშვისთვის სასარგებლო ღონისძიებების კოორდინირება. სასიხარულო სიახლეა, რომ საქართველო გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით უერთდება ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევის გლობალური პარტნიორობის პლატფორმას, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას და ქვეყნების დახმარებას კონკრეტული მექანიზმების შემუშავებისათვის. პარტნიორობა აერთიანებს სახელმწიფოების, გაეროს სააგენტოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, რელიგიურ ორგანიზაციების, კერძო სექტორის, აკადემიური, კვლევითი ორგანიზაციებისა და ბავშვების ძალისხმევას იმისათვის რომ შეიქმნას და შენარჩუნდეს პოლიტიკური ნება ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისათვის, გაძლიერდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებები და თანამშრომლობა ქვეყნის შიგნით, ისევე როგორც ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება.

³⁰ მესხი მ., „არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სამართალწარმოებისას (გაერთიანებული ერების სამოდელო კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით)“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №1, თბილისი, 2017წ., გვ. 58.

და ბოლოს, უთხარით ბავშვს, რომ ის მარტო არ არის და თქვენ ყველაფერს გააკეთებთ იმი-სათვის, რომ ძალადობა აღარ განმეორდეს. სიმბოლურია, რომ სამეცნიერო სტატია მომზადდა ნოემბერში, ბავშვთა და ახალგაზრდობის ძალადობისგან დაცვის თვეში. 18 ნოემბერს, მსოფლიო მასშტაბით, აღინიშნება სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბავშვთა დაცვის ევროპული დღე, 19 ნოემბერს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის საერთაშორისო დღე, ხოლო 20 ნოემბერს გაერთიანებული ერები ბავშვთა მსოფლიო დღეს აღნიშნავს.

ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით

სალომე შენგელია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი,
საქართველოს მთავარი პროცურატურის
ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსი

„როცა ნაცისტები კომუნისტებს მიადგნენ, ხმა არ ამომილია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. ებრაელებს მიადგნენ და ხმა არ ამომილია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფესიონელებს მიადგნენ და ხმა არ ამომილია, რადგან პროფესიონის წევრი არ ვყოფილვარ. კათოლიკებზე გადავიდნენ და ხმა არ ამომილია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შემდეგ მე მომადგნენ... და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოელო....“

მარტინ ნიმიოლერი

შესავალი

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მთავარ გამოწვევად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. საზოგადოების დიდ ნაწილზე უარყოფით გავლენას ახდენს გენდერული სტერეოტიპები, რომლის ზეგავლენითაც ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობა სხვადასხვა ასპექტებით გამართლებულ ქმედებას წარმოადგენს. საქართველოში არსებული პატრიარქალური დამოკიდებულებები და გენდერული სტერეოტიპები გენდერული ძალადობის მიმართ ტოლერანტულ გარემოს ქმნის.

საქართველოს მთავრობის და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ბოლო წლებში გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით. შეიქმნა და დაიხვეწა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა კომპლექსურ მიდგომას და უწყებათაშორის აქტიურ კოორდინაციას საჭიროებს.

2016 წელს, საქართველოს მთავრობის მოწვევით საქართველოში იმყოფებოდა გაეროს სპეციალური მომხსენებელი დუბრავკა სიმონოვიჩი, რომელმაც ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური ანგარიში მოამზადა.¹ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიუხედავად მთავრობის, გაეროს სააგენტოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევისა, განსაკუთრებით ცნობიერების ამაღლების კუთხით, გენდერული სტერეოტიპები და პატრიარქალური დამოკიდებულებები კვლავ ღრმად ფესვგადგმული და გავრცელებულია

¹ ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 2016 წლის 9 ივნისი, 25

საზოგადოებაში, რაც არღვევს თანასწორობის იდეას და ხელს უწყობს ქალთა მიმართ ძალადობის შენარჩულებას. ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო გენდერული როლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და პატრიარქალური შეხედულებების შესაცვლელად.

ბოლო წლების მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე ეფექტიანი და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება.

1. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის CEDAW კომიტეტი იყო საერთაშორისო დონეზე პირველი ორგანო, რომელმაც ქალთა მიმართ ძალადობა დისკრიმინაციის ფორმად აღიარა. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია CEDAW მიღებულია 1978 წლის 18 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ. კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 1994 წლის 22 სექტემბერს მოახდინა.

CEDAW ქალთა მიმართ დისკრიმინაციას შემდეგნაირად განმარტავს: „ქალთა დისკრიმინაცია“ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისსა და შეზღუდვას სქესობრივი ნიშნით, რომელიც გამიზნულია შეასუსტოს და გამორიცხოს ქალთა მიერ, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა დარგში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარება, სარგებლობა ან განხორციელება..²

2015 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „X. და Y. საქართველოს ნინაალმდეგ“³. მომჩივანი და მისი შვილი განიცდიდნენ ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას რამდენიმე წლის განმავლობაში. პოლიციაში არაერთი საჩივრის წარდგენის მიუხედავად, აღნიშნულ ფაქტებზე გამოძიება არ დაწყებულა. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფო ჯეროვნად ვერ შეასრულა საკუთარი მოვალეობა – გამოეძიებინა ადამიანის უფლებების დარღვევა და დაესაჯა დამნაშავე. ეს არის პირველი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ნინაალმდეგ გამოვიდა ოჯახში ძალადობის ფაქტზე არაეფექტიანი რეაგირების გამო.

1993 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ DEVAW⁴, რომლის თანახმადაც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაგმონ ქალთა მიმართ ძალადობა და მიზეზად არ მოიყვანონ ჩვეულება, ტრადიცია ან რელიგიური მოსაზრებები, რათა თავიდან აიცილონ მისი აღმოფხვრის ვალდებულება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2000 წელს მიიღო რეზოლუცია 13/25, რომლითაც საზი გაუსვა ქალებისა და გოგონების საჭიროებას კონფლიქტურ და პოსტ კონფლიქტურ სიტუაციებში და მოუწოდა სახელმწიფოებს დანერგონ გენდერულად მგრძნობიარე მიდგომები თავიანთ პოლიტიკასა და პროგრამებში, უზრუნველყონ ქალებისა და გოგონების უსაფრთხოების დაცვა სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობისაგან და ყველა ღონე იხმარონ, რათა ქალების ხმა მოსმენილი იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.⁵

საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ განსაკუთრებით აქტუალური გახდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის რეალიზაციისთვის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღების აუცილებლობა. ბოლო წლებია აქტიურად მიმდინარეობს სამოქმედო გეგმით

² Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, 18 December 1979, Article 1

³ „X“ და „Y“ საქართველოს ნინაალმდეგ, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, 2015 წლის 13 ივნისი, N24/2009

⁴ Declaration on the Elimination of Violence against Women (DEVAW), 20 December 1993, A/RES/48/104, Article 4

⁵ Resolution 1325 (2000) United Nations, Adopted by the Security Council 4213th meeting, 31 October 2000

ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და მათი მონიტორინგი.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია – „სტამბოლის კონვენცია“,⁶ პირველი ევროპული სამართლებრივი ინსტრუმენტია ქალთა დასაცავად ძალადობის ყველა ფორმისგან.⁷

სტამბოლის კონვენციაში „გენდერი“ განმარტებულია, როგორც სოციალურად შემუშავებული როლების, ქცევების, ღონისძიებებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებსაც მოცემული საზოგადოება მიიჩნევს სათანადოდ ქალებისა და მამაკაცებისათვის. „ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით“ გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე;

სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებით საქართველომ აიღო ვალდებულება განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გენდერულ სტერეოტიპებს და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ქალის როლის შესახებ საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებების შეცვლისკენ.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი ქალთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და მათი გამოყენება კიდევ უფრო აძლიერებს სახელმწიფოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკას.

1.1 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმოხილვა

სახელმწიფო ვალდებულია გამოიძიოს ქალთა მიმართ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილი ოჯახში ძალადობის ფაქტები, ეფექტიანი გამოძიება გულისხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის⁸ მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა), მე-4 (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-14 მუხლების (დისკრიმინაციის აკრძალვა) ფარგლებში გამოძიების წარმოებას.⁹

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გამოძიება იყოს დროული და ეფექტური. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით გამოძიებამ ეფექტურობის შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ადეკვატურობა, დროულობა, დაზარალებულის საკმარისი ჩართულობა და საზოგადოების მხრიდან კონტროლი.¹⁰

„ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“ („Opuz v. Turkey“)¹¹ არის პირველი გადაწყვეტილება, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ქალთა მიმართ გენდერულად მოტივირებული ძალადობა განიხილა გენდერული თანასწორობის ჭრილში. სტრასბურგის სასამართლომ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით განმარტა, რომ სახელმწიფოს უუნარობა დაიცვას ქალები ოჯახში ძალადობისაგან, არღვევს კანონის წინაშე ქალთა თანასწორუფლებიანობას. აგრეთვე, არღვევს მათ უფლებას ისარგებლონ კანონის დაცვის თანაბარი მექანიზმებით.

საქმეზე „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“ სახელისუფლებო ორგანოები ინფორმირებული

6 Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Council of Europe, 11/05/2011

7 სტამბულის კონვენციას საქართველო 2014 წლის 19 ივნისს მიუქრთდა, რატიფიცირება მოხდა 2017 წლის 19 მაისს.

8 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი.

9 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები:

KONTROVÁ v. SLOVAKIA, ECtHR, 31 May 2007, no. 7510/04

M.C. v. BULBARIA, ECtHR, 4 DecembeR 2003, no. 39272/98

BRANKO TOMAŠIĆ AND OTHERS v. CROATIA, ECtHR, 15 JanuaRy 2009, no. 46598/06

ERemia v. Moldova, ECtHR, 28 May 2013, no. 3564/11

E.M. v. Romania, ECtHR, 30 OctobeR 2012, no.43994/05

10 მერდოვი ჯ., ადამიანის უფლებების საკითხებზე ტრენინგ მოდული, ევროპის საბჭო, 2016, 62

11 OPUZ v. TURKEY, ECtHR, 9 June 2009, no. 33401/02

იყვნენ მომჩივნის მეუღლის მიერ მისი და დედამისის წინააღმდეგ მიმართული სერიოზული ძალადობისა და მუქარის ინციდენტების თაობაზე, მაგრამ ეფექტიანი რეაგირება არ მოუხდებიათ. საბოლოოდ განმცხადებლის მეუღლემ მოკლა განმცხადებლის დედა. განმცხადებელმა რამდენჯერმე მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს დახმარებისთვის, თუმცა რეაგირება კვლავ არ მოჰყოლია.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეში ადგილი ჰქონდა მომჩივნის მიმართ ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას, რადგანაც სასიკვდილო თავდასხმა განჭვრეტადი იყო მოძალადის მიერ მანამდე ჩადენილი ქმედებების გათვალისწინებით. ხელისუფლების რეაგირება განმცხადებლის საჩივრებზე აშკარად არაადეკვატური იყო. ხელისუფლებამ არ გაატარა ქმედითი ზომები და არ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება დაეცვა მომჩივნის დედის სიცოცხლის უფლება. საქმის გარემოებებზე დაყრდნობით დადგინდა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

2. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

ბოლო წლებში საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო ვალდებულებებთან ჰარმონიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა.

ქალისა და კაცის თანასწორობა დეკლარირებულია საქართველოს კონსტიტუციაში, მათ შორის კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს კანონის წინაშე თანასწორობას განურჩევლად სქესისა; კონსტიტუციის 36-ე მუხლი აღიარებს თანასწორობას ქორწინებაში, ხოლო 38-ე მუხლი ადგენს თანასწორობას სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

2006 წელს მიღებულ იქნა ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი, რომელშიც 2017 წელს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათ შორის შეიცვალა კანონის სათაური, რომელიც ჩამოყალიბდა „ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონად.

აღნიშნული კანონის მე-3¹ მუხლში განისაზღვრა ქალთა მიმართ ძალადობის დეფინიცია, კერძოდ ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, სადაც განიმარტა „გენდერის“ ცნება, აგრეთვე პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია სქესის ნიშნით.

გენდერი – სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე.

პირდაპირი დისკრიმინაცია – ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, სქესის ნიშნით არახელ-საყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ მეორე სქესის პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს;

ირიბი დისკრიმინაცია – ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით წეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკი პირს სქესის ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ მეორე სქესის პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.¹²

12 საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, 2010 წლის 26 მარტი, მუხლი 3.

2012 წელს განხორციელდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მე-11¹მუხლი – პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაული-სათვის და 126¹ მუხლი – ოჯახში ძალადობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11¹ მუხლი განსაზღვრავს ოჯახური დანაშაულის ცნებას, სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის ოჯახის წევრთა წრეს და დანაშაულთა ჩამონათვალს, რომელთა ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ კვალიფიცირდება ოჯახურ დანაშაულად.

სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლი ოჯახში ძალადობის სპეციალური მუხლია. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ჩადენილი ძალადობის აქტი, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ჯანმრთელობის რაიმე ხარისხით დაზიანება, კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლით.

აგრეთვე, სსკ-ის 126¹ მუხლით კვალიფიცირდება ოჯახის ერთი წევრის მხრიდან მეორის მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობა: სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რაც ინვევს დაზარალებულის ტანჯვას ანუ მორალურ ზიანს.

2017 წლის 4 მაისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლი განსხვავებულად ჩამოყალიბდა, კერძოდ პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა სქესის, გენდერის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამდიმებელი გარემოება კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ აგრეთვე პასუხისმგებლობის დამამდიმებელი გარემოება გახდა.

ასევე, აღსანიშნავია 2014 წლის საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც მოიცავს სქესის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვას;

3. გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთა გამოძიების პროცესში

2017 წლის 25 ოქტომბერს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ოჯახური დანაშაულის თემაზე ყოველწლიური კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე პროკურატურის მიერ წარმოდგენილ იქნა ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ჩადენილი მკვლელობების ანალიზი.¹³

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა 2017 წლის 6 თვეში ჩადენილი ოჯახური დანაშაულის 895 საქმე. საქმეთა შესწავლა განხორციელდა ორი ძირითადი მიმართულებით: კრიმინოლოგიური ნაწილი, რომლის ფარგლებშიც დადგინდა დანაშაულის შესახებ შეტყობინების ავტორები, დანაშაულის ჩადენის ადგილი, გარემოებები, დამოკიდებულება დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის, აგრეთვე, დაზარალებულთა და ბრალდებულთა პერსონალური მახასიათებლები; გამოძიების ეფექტურობა, რომლის ფარგლებშიც დადგინდა, რამდენად დროულია ფაქტებზე რეაგირება, რამდენად ადეკვატური და ეფექტურია ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები, როგორია დაზარალებულ პირთა პოზიცია დევნის დაწყების/გამოძიების შეწყვეტის თაობაზე, სწორად ხდება თუ არა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღება საქმეზე.

სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთას. რამდენიმე ათეულ სისხლის სამართლის საქმეში, გამოძიების პროცესში შეგროვებული მტკიცებულებების, მათ შორის დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე გამოიკვეთა გენდერული დისკრიმინაციის მოტივი.

2017 წელს პროკურორებისთვის შემუშავდა ახალი რეკომენდაცია ოჯახში ძალადობაზე

13 იბ. მითითებული ანალიზები საქართველოს მთავარი პროკურატურის ვებ-გვერდზე: http://pob.bov.be/beo/news?info_id=1392 [nanaxia 02.12.2017]

და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ, სადაც სპეციალური თავი დაეთმო გენდერული დისკრიმინაციის მოტივს.

ძალადობის ფაქტების მოტივების გაანალიზების შედეგად გამოკვეთა, რომ ძალადობის ყველაზე მეტი ფაქტი ჩადენილია ურთიერთშელაპარაკების დროს; საყოფაცხოვრებო ნიადაგზე კონფლიქტის დროს; აგრეთვე, მაღალია ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობების რიცხვი; გამოძიების მიმდინარეობისას ნაკლებად ხდება გენდერული ნიშნით ძალადობის გამოკვეთა. გენდერული მოტივის გამოკვეთა სირთულეს წარმოადგენს როგორც გამოძიების მიმდინარეობისას, ასევე სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას.

გენდერი არის სოციალური სქესი, განსხვავება ქალსა და კაცს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით, ამა თუ იმ საზოგადოებაში კაცისა და ქალის როლის თავისებურებებით. გენდერი ნიშნავს სოციალურად შემუშავებული როლების, ქცევებისა და მახასიათებლების ერთობლიობას, რომლებსაც მოცემული საზოგადოება მიიჩნევს სათანადოდ ქალისთვის და მამაკაცისთვის. იმისათვის, რათა გაირკვეს ხომ არ იყო დანაშაული ჩადენილი გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, უნდა დადგინდეს მოძალადის დანაშაულებრივი ქმედება ხომ არ იყო განპირობებული გენდერული სტერეოტიპების გავლენით. გენდერული სტერეოტიპია ქალისა და მამაკაცის მსგავსი ქცევის რადიკალურად განსხვავებული შეფასება და არათანაზომიერად გაკიცხვა.

სტერეოტიპული შეხედულებები გამოიხატება ძირითადად ამგვარ შეფასებებში: მაგალითად, გენდერული სტერეოტიპების გავლენით, მამაკაცი მეუღლეს მიიჩნევს საკუთრებად, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქალს უფლება არ აქვს მეუღლის ნებართვის ან თანხმობის გარეშე გავიდეს სახლიდან, კონტაქტი დაამყაროს ნათესავებთან, ისარგებლოს ტელეფონით თუ სოციალური ქსელით, აირჩიოს მეგობრები, მიიღოს განათლება, დაუფლოს გარკვეულ პროფესიას, დაინყოს მუშაობა და ა.შ. ანუ, როდესაც ქალს წართმეული აქვს უფლება თავად მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც მის პირად ცხოვრებას ეხება. ასევე, განქორწინების შემდეგ, ყოფილი მეუღლის მიერ ხშირად ხორციელდება ქალის ქცევის კონტროლი; განქორწინებულ ცოლს მოეთხოვება დაკავდეს მხოლოდ ბავშვების მოვლით და აღზრდით და არ აქვს პირადი ცხოვრების თავისუფლად წარმართვის უფლება მისი ყოფილი ქმრის სახელის არშერცხვენის გამო, მის მიერ სექსუალური პარტნიორის ყოლა ითვლება „გზიდან აცდენად“, „აღვირასნილ ცხოვრებად“. სწორედ ამგვარი გენდერული სტერეოტიპებით განპირობებული ძალადობრივი ქცევა უნდა იქნეს მიჩნეული გენდერული ნიშნით შეუწყნარებლური მოტივით ჩადენილ დანაშაულად.

ამდენად, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფაქტიურებული როლის ან ტრადიციების საწინააღმდეგო ქცევისადმი მოძალადის აგრესიული დამოკიდებულება ან ქალის გავლენისა და შიშის ქვეშ მოქცევის, ოჯახში მამაკაცის უპირატესი მდგომარეობის დემონსტრირების სურვილი. აღნიშნული მოტივის გამოკვეთის მიზნით ყურადღება უნდა გამახვილდეს დამნაშავის მიერ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებზე, რომელიც დაზარალებულის სქესს იხსენიებს აუგად, მის რეპუტაციის აყენებს ეჭვებეშ, ყურადღებას ამახვილებს მის ფუნქციებზე და სტერეოტიპულ როლზე საზოგადოებასა და ოჯახში.¹⁴

პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისათვის გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულების გამოკვლევა და შეფასება მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველოს ახალგაზრდა და იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ რიგ შემთხვევებში, იკვეთებოდა ნიშნები, რომელთა საფუძველზეც უნდა გამოკვლეულიყო, დანაშაულის ჩადენა მოტივირებული იყო თუ არა გენდერული უთანასწორობით, ქალის გენდერულ როლზე არსებული შეხედულებითა და სტერეოტიპული დამოკიდებულებით. თუმცა, ასეთ ფაქტებზე ბრალდების

14 ბაქრაძე მ., კვირიკაშვილი მ., მერქაშვილი ნ., პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროცესურორებისათვის მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ევროპის საბჭო, 2017, 41-42

მხარესა და სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებიათ.

ზემოხსენებულ ნიშნებზე მიუთითებს, მაგალითად, ბრალდებულის განმარტება, რომ მსხვერპლს (ყოფილ მეუღლეს) არ უნდა ჩაედინა ისეთი ქმედება, როგორიც ცოლს არ შეეფერებოდა. ერთ შემთხვევაში, ბრალდებულმა იეჭვიანა თავის მეუღლეზე, რაც, სავარაუდოდ, გახდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მიზეზი (მეუღლეს სცემა და წაქცეულ მსხვერპლს მოკვლით ემუქრებოდა). შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მოძალადემ ყოფილი მეუღლის სოციალურ გვერდზე ნახა სურათები, რაზეც გალიზინდა და ძალადობა განახორციელა. აგრეთვე, გამოიკვეთა პარტნიორი ქალის მიმართ მამაკაცის მესაკუთრული დამოკიდებულება და მისი ქცევის გაკონტროლების სურვილი („შეიძლება შემდეგ უარესი დაგემართოს, თუ ჭკვიანად არ იქნები“. თუმცა, მიუხედავად გენდერული დისკრიმინაციული მოტივის მიმანიშნებელი გარემოებებისა, ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების განმარტებები ამ კუთხით მსჯელობას არ მოიცავს.¹⁵

ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე მნიშვნელოვანია, რომ პროკურორობა დანაშაულის კვალიფიკაციისას გამოიკვლიოს, ხომ არ მოხდა დანაშაულის ჩადენა გენდერული ან სხვა შეუწყნარებლობის მოტივით და დისკრიმინაციის შემთხვევაში ბრალის შესახებ დადგენილებაში, ასევე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე შესავალ და დასკვნით სიტყვებში, მოწმეთა დაკითხვის პროცესში, სასამართლოს მიუთითოს, რათა გამოყენებულ იქნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლით გათვალისწინებული სასჯელის დამამძიმებელი გარემოება და დანაშაულის ჩამდენ პირს გაესაზღვროს მისი ქმედების სიმძიმის შესაბამისი სასჯელი;

4. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

რამდენიმე ათეულ სისხლის სამართლის საქმეში, გამოძიების პროცესში შეგროვებული მტკიცებულებების და დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე გამოიკვეთა გენდერული დისკრიმინაციის მოტივი, რომელზეც პროკურორმა იმსჯელა ბრალის დადგენილებაში. ნაწილ საქმეებზე სასამართლომ პროკურორის მითითება გაითვალისწინა, ხოლო საქმეთა ნაწილზე მიუხედავად საქმეში არსებული მტკიცებულებებისა, გენდერული დისკრიმინაციის მოტივი არ მიუთითა.

1. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განაჩენით¹⁶ ბრალდებული პ.ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. პ.ს.-მ მეუღლეს- ვ.პ.-ს გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით (კერძოდ თუ რატომ გადაწყვიტა დამოუკიდებლად დაზარალებულმა, რომ ესაუბრა და რჩევა მიეცა მეზობლისთვის), ხელებით და ფეხებით სახის არეში მიაყენა ფიზიკური შეურაცხვოფა.

განაჩენში მითითებულია, რომ ბრალდებულმა პ.ს.-მ ჩაიდინა მეუღლის მიმართ ოჯახში ძალადობა გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ნარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ასევე, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

15 ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მონიტორინგის ანგარიში N10, 2017, 33

16 თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განაჩენი. საქმე N1/48-17

2. ლ.გ. მეუღლეს ვ.გ.-ს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, სისტემატურად ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მშობლების თანდასწრებით მათივე მისამართით აგინებდა, ასევე გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით ამცირებდა, უბნებოდა, რომ რადგან ის მისი მეუღლე იყო ეს ვალდებულს ხდიდა მისი ყველა სურვილი ნებისმიერ დროს შეესრულებინა. ლ.გ. მეუღლეს ექცეოდა როგორც მოსამსახურეს, რომელსაც მის საწინააღმდეგოდ არაფერი არ უნდა ეთქვა. ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ლ.გ.-მ იმის გამო, რომ გვიან ღამით სახლში არ ჰქონდა სიგარტი, მეუღლეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც გამოიხატა გინებაში. ყოველივე აღნიშნულით ვ.გ.-მ თავი იგრძნო დამცირებულად და განიცადა ტანჯვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენით¹⁷, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის გათვალისწინებით, ლ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ წარდგენილ პრალდებაში.

3. როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითი, აღსანიშნავია თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, სადაც სასამართლომ განაჩენში იმსჯელა, რომ ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად მიღებული კანონების შესრულებას აბრკოლებს საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულება და ღრმად ფესვგადგმული პატრიარქალური მიდგომები და გენდერული სტერეოტიპები, რაც გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას განაპირობებს, ხოლო ოჯახში ძალადობა ქვეყნის უმეტეს ნაწილში ძალზე პირადულ და არა საჯარო საკითხად მიიჩნევა.¹⁸

აგრეთვე, სასამართლო მსჯელობს თუ რა უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ნათესავები და ოჯახის წევრები დაზარალებულის თავისუფალ ნებაზე. ხშირად მსხვერპლის თავისუფალი ნება პარალიზებულია მრავალი ფაქტორით, კერძოდ, სიყვარულით განპირობებული მიმტევებლობის, ნათესავების ზენოლის, საზოგადოების რეაგირებისა თუ მოძალადის მატერიალურად დამოკიდებულების გამო ვერ ახერხებენ საკუთარი პოზიციის ბოლომდე დაფიქსირებას, რასაც მოგვიანებით ნანობენ და შედეგებსაც საკუთარ ჯანმრთელობაზე იღებენ, ზოგ შემთხვევაში კი მიდიან ლეტალურ შედეგებამდე. მსხვერპლის და მისი შვილების უსაფრთხოებას ექმნება განმეორებითი და შესაძლოა ინტენსივობით უფრო მაღალი ხარისხის საფრთხე, როდესაც მათ რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობების, შიშის თუ პრობლემის სერიოზულობის არასათანადო აღქმის გამო უხდებათ კონფლიქტურ სიტუაციაში დაბრუნება და თითქოსდა საკუთარი ნებით უარს ამბობენ გაერიდონ ძალადობრივ გარემოს.

4. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი.¹⁹ აღნიშნული განაჩენი შეიძლება მივიჩნიოთ კარგი პრაქტიკის დამკვიდრების მაგალითად. სასამართლომ განაჩენის სამოტივაციო ნანილში იმსჯელა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მნიშვნელობაზე, აგრეთვე, ქალის მიმართ ძალადობის და/ან „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმზე და მიუთითა, რომ ბრალდებულ მ.ე.-ს მიერ მეუღლის ლ.მ.-ს მიმართ ჩადენილი ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევა და გენდერული დისკრიმინაციის ფორმაა და წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას.

5. აღსანიშნავია და ყურადსაღებია ერთი სისხლის სამართლის საქმე, სადაც მართალია პროკურორმა მიუთითა გენდერული დისკრიმინაციის მოტივზე, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება იყო მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გულწრფელი აღიარება და მონანიება, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ არსებობდა.²⁰

აღნიშნულ საქმეში დაზარალებული ს.ნ. მიუთითებდა, რომ მეუღლე ვ.ა. საშინელი ეჭვიანობის გამო ხშირად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, რითაც მუდმივად განიცდიდა სულიერ და მორალურ ტანჯვას. ვ.ა იმდენად ეჭვიანი იყო, რომ მეზობლის მიერ ნათქვამი გამარ-

17 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის განაჩენი. საქმე N1/413-17

18 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 5 ივლისის განაჩენი, საქმე N1/2533-17

19 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 სექტემბრის განაჩენი, საქმე N1/3889-16

20 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 6 იანვრის განაჩენი, საქმე N1/5161-16

ჯობის გამო, დაზარალებული ს.ნ. სასტიკად სცემა და სახე დაულურჯა. ვ.ა კატეგორიულად მოითხოვდა დაზარალებულს საშვილოსნო ამოეჭრა, რათა მისთვის არ ეღალატა. ასევე, კატეგორიულად სთხოვდა დამორჩილეობოდა მის ნება-სურვილს, მისი დავალებები შეესრულებინა უსიტყვოდ. მასზე კონტროლისა და ზეგავლენის მოხდენის მიზნით უკრძალავდა და უზღუდავდა საყოფაცხოვრებო ნივთებით- ტელევიზორით და ტელეფონით სარგებლობას. სამწუხაროა, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მიუხედავად, სასამართლომ დამამდიმებელი გარემოება ვერ აღმოაჩინა და ყურადღების მიღმა დატოვა გენდერული დისკრიმინაციის მოტივი.

4.1. სქესის ნიშნით დისკრიმინაცია

განსაკუთრებით აღსანიშნავია გორის რაიონული სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლის ოთხი განაჩენი, სადაც მოსამართლემ იმსჯელა სქესის ნიშნით დისკრიმინაციაზე.

1. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ქ. ა.-მ განახორციელა ოჯახში ძალადობა შვილის თ.ა-ს მიმართ, კერძოდ სახის არეში რამდენჯერმე დაარტყა ხელი, რის შედეგადაც თ.ა.-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად. ქ.ა.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით.

გორის რაიონული სასამართლოს განაჩენით²¹ ქ.ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. განაჩენში შემდეგი მსჯელობაა მოცემული: „პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად სასამართლო მიიჩნევს სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ქ.ა.-ს მიერ ძალადობის ჩადენას მისი შვილის თ.ა.-ს მიმართ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი).“ განაჩენში აგრეთვე მიმოხილულია საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპები და ნორმები და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ქალთა მიმართ ჩადენილ ძალადობაზე განახორციელოს დროული და ეფექტური რეაგირება.

2. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ქ. გორში, ჯ.მ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მისი არასრულნლოვანი ვაჟის თანდასწრებით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა არასრულნლოვან ქალიშვილს მ.მ.-ს, კერძოდ სამჯერ მოქაჩა თმები, ორჯერ დაარტყა ხელი მარჯვენა ლოყაში. დარტყმის შედეგად მ.მ. გადავარდა უკან, თავი დაარტყა კედელს, რა დროსაც ჯ.მ.-მ მარჯვენა ფეხში ამოარტყა წიხლი. დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მოუშლელად. ჯ.მ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

გორის რაიონული სასამართლოს განაჩენით²² ჯ.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. სასამართლომ დამამდიმებელ გარემოებად მიუთითა, რომ ძალადობა ჩადენილი იყო სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი).

3. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ქ. გორში, დ.ლ.-მ მისი არასრულნლოვანი ვაჟის თანდასწრებით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს თ.ლ.-ს, რა დროსაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. დ.ლ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

გორის რაიონული სასამართლოს განაჩენით²³ დ.ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ წარდგენილ

21 გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 იანვრის განაჩენი, საქმე N 1/456-16

22 გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 მაისის განაჩენი, საქმე N1/176-17

23 გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 მარტის განაჩენი, საქმე N1/68-17

ბრალდებაში. სასამართლომ აღნიშნულ შემთხვევაშიც დამამძიმებელ გარემოებად მიუთითა, რომ ძალადობა ჩადენილი იყო სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი).

4. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ მ.მ. მეუღლეს სისტემატიურად აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, რადგან იყო ქალი და მას, როგორც ქალს არანაირი უფლება არ ჰქონდა. მეუღლეს მოიხსენიებდა, როგორც მსუბუქი ყოფაქცევის ქალს და უკრძალავდა მეზობლებთან, ნათესავებთან და შვილებთან სტურობას. ცდილობდა მის გაკონტროლებას. წლების განმავლობაში დაზარალებული განიცდიდა მორალურ ტანჯვას. მ.მ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილითა და 11¹ 151 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.

გორის რაიონული სასამართლოს განაჩენით მ.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში.²⁴ სასამართლომ განაჩენში მიუთითა, რომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად სასამართლო მიიჩნევს სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, მ.მ.-ს მიერ ძალადობის ჩადენას მეუღლის მიმართ სსკ-ის 53¹ მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფომ ქალის მიმართ შეუწყნარებლობის მოტივით განხორციელებული ძალადობის ფაქტზე დროული რეაგირება მოახდინა, რითაც შეასრულა პოზიტიური ვალდებულება ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად ადეკვატური სისხლის-სასამართლებრივი მექანიზმების მყისიერად ამოქმედების თვალსაზრისით. სასამართლო შეფასების გარეშე ვერ დატოვებს ბრალდებულის ქმედებაში გამოვლენილ მართლსაზნააღმდეგი ნებას. მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილია, რომ დაზარალებული წლების განმავლობაში განიცდიდა ფსიქოლოგიურ ძალადობას მეუღლის მხრიდან მხოლოდ იმ მიზეზით, რომ არის ქალი. მ.მ. მეუღლეს სისტემატურად უზღუდავდა შვილებთან და ნათესავებთან ურთიერთობას, არ აძლევდა უფლებას კონტაქტი ჰქონდა მეზობლებთან და დაუკითხავად გასულყო სახლიდან, რის გამოც დაზარალებული მუდმივად განიცდიდა მორალურ ტანჯვას. მ.მ. ქალს, რომელთანაც 8 შვილი ჰყავს, საბოლოოდ სასტიკად გაუსწორდა და შეუწყნარებლობის მოტივით, დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი ძალადობრივი ქმედებით სცადა მისი დამორჩილება.

ოთხივე განაჩენი მართლაც უპრეცედენტოა და მისასალმებელია, როდესაც სასამართლო განაჩენში მსჯელობს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე დროულად და ეფექტურად გამოიძიოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეები, აგრეთვე მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, ქალთა ძალადობის წინააღმდეგ არსებულ საერთაშორისო წორმებს, თუმცა აღბათ უმჯობესი იქნებოდა, სასამართლოს უფრო მეტად გაემახვილებინა ყურადღება, რას ნიშნავს „სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით“ ჩადენილი დანაშაულები. რატომ მიიჩნია სასამართლომ, რომ ზემოთმოყვანილ კონკრეტულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აგრეთვე, სანტერესო იქნებოდა სასამართლოს განმარტება „სქესის“ და „გენდერის“ შესახებ. ხომ არ იყო ეს დანაშაულები ჩადენილი გენდერული დისკრიმინაციის მოტივით. თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებში მსჯელობის დაწყება „სქესის ნიშნით“ ან/და „გენდერულ დისკრიმინაციის მოტივით“ ჩადენილ დანაშაულებზე, ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია.

დასკვნა

ოჯახში ძალადობის შემთხვევების სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხი კვლავ რჩება მთავარ გამოწვევად სამართალდამცავი ორგანოებისთვის და სასამართლოსთვის. მიუხედავად საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ დონეზე გატარებული რეფორმებისა, აგრეთვე სამოქალაქო

²⁴ გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 სექტემბრის განაჩენი. საქმე N1/263-17

საზოგადოების ძალისხმევისა, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. საზოგადოების დიდი ნაწილი მკაცრად განსჯის თითოეულ ქალს, რომელიც თავის დაცვას ცდილობს მოძალადისგან და ზოგჯერ მათ მკვლელობასაც ამართლებს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის აქტიური ჩართულობა ცნობიერების ამაღლების კამპანიებში, რათა საზოგადოებას მიეწოდოს სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული სანქციების და მსხვერპლთა დამცავი მექანიზმებისა და სერვისების შესახებ. აგრეთვე, მნიშვნელოვანია გაიზარდოს ქალთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ და ზოგადად გაიზარდოს სამართალდამაცავი ორგანოების მიმართ ნდობა.

ამასთან, აუცილებელია გამომძიებლების, პროკურორების და მოსამართლეების კვალიფიკაციის ამაღლება გენდერული დისკრიმინაციის, გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების შესახებ.

ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში

**ბადრი კოჭლამაზაშვილი
სამართლის დოქტორი,
თბილისის საქალაქო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე**

ყოველი საქმის განხილვას სასამართლოში გარკვეული თავისებურება ახასიათებს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ოჯახში ძალადობის საქმეებია, რომლებიც სპეციფიკურობის გარდა, ერთგვარი სირთულითაც გამოირჩევა. სირთულე დაკავშირებულია იმასთან, რომ საქმე ეხება ისეთ ურთულეს და უმნიშვნელოვანეს ერთეულს, როგორიცაა ოჯახი, რომლის ერთიანობისა და სიმყარის შენარჩუნებისათვის ზრუნვა არამარტო სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების თითოეული წევრის მოვალეობაა, თუმცა, ამავდროულად სახელმწიფოს მოვალეობაა ასევე ძალადობის მსხვერპლის დაცვა, მოძალადის გამოვლენა და მის მიმართ ეფექტური ღონისძიებების გატარება.

ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად მიღებული კანონების შესრულებას აბრკოლებს საზოგადოების ერთ ნაწილში არსებული დამოკიდებულება და მათი მცდარი პოზიციები და გენდერული სტერეოტიპები, რაც გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას განაპირობებს, ხოლო ოჯახში ძალადობა ქვეყნის უმეტეს ნაწილში ძალზე პირადულ და არა საჯარო საკითხად მიიჩნევა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი პროგრესი მაინც მიღწეულია. ინფორმირებულობის ასამაღლებლად განხორციელებული აქტივობები თანდათან იწვევს ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულების ცვლილებას, თუმცა ოჯახში ძალადობა ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ გამოწვევად მაინც რჩება.

პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობის პრევენციასა და ადეკვატური რეაგირების განხორციელებაზე გონივრულობის ფარგლებში ეკისრება სახელმწიფოს.

აღსანიშნავია, გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე X და Y საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №24/2009), რომელიც საერთაშორისო ორგანოს მიერ საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ მიღებული პირების გადაწყვეტილებაა და შეეხება სახელმწიფოს მიერ ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ადეკვატური რეაგირების განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობას. ხსენებული გადაწყვეტილებით კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის (ბ)-(ვ) პუნქტები, პირველ და მე-5(ა) მუხლებთან და კომიტეტის „ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ №19“ რეკომენდაციასთან ერთობლიობაში და გარდა მომჩივანთა დარღვეული უფლებების აღსადგენი კონკრეტული ნაბიჯების მითითებისა, საქართველოს მთავრობას მიმართა რეკომენდაციით, სხვა ქალებისა და ბავშვების დასაცავად გააძლიეროს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები.

ევროსასამართლოს პრაქტიკის შესაბამისადაც, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება ერთის მხრივ, თავად არ ხელყოს ადამიანის უფლებები და, მეორეს მხრივ, დაიცვას ადამიანი მესამე პირების მხრიდან განხორციელებული ძალადობისაგან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში OPUZ V. TURKEY – ოჯახში ძალადობის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მოძალადის მიერ მსხვერპლის მკვლელობით დასრულდა, დადგინდა

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევა და მასში ხაზი გაესვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას იმ პირობებში, როდესაც ინფორმირებულია ძალადობის არსებობის შესახებ. ხსენებულ გადაწყვეტილებაში, სადაც ოჯახური ძალადობისაგან პრევენციული ოპერატიული ზომების გატარების თაობაზე პოზიტიური ვალდებულების ხელისუფლებისათვის დაკისრებაზეა საუბარი, ევროსასამართლომ დაადგინა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-3 მუხლის დარღვევა ხელისუფლების ორგანოების უუნარობის გამო, დაეცვათ მომჩივანი მისი ყოფილი ქმრის მიერ ოჯახური ძალადობისაგან. დარღვევის დადგენის საფუძვლად კი მიჩნეულ იქნა ხელისუფლების მხრიდან პოზიტიური ვალდებულების დარღვევა და ხელისუფლების ორგანოების არაჯეროვანი მოქმედება მომჩივანისა და მისი დედის მიმართ ძალადობის აღსაკვეთად, სისხლისსამართლებრივი ან სხვა შესაბამისი პრევენციული ზომების განხორციელებლობა მიუხედავად მსხვერპლთა მიერ საჩივრების უკან გამოხმობისა, აგრეთვე ის გარემოება, რომ ხელისუფლების ორგანოებმა სათანადოდ არ გააანალიზეს საჩივრების გამოტანის მიღმა არსებული მოტივები.

იმისათვის, რომ მოძალადის მიმართ გატარდეს ეფექტური ღონისძიებები, პირველ რიგში საჭიროა დადგინდეს მოძალადე და დადასტურდეს მის მიერ ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რაც საქმის სასამართლო განხილვის გარეშე წარმოუდგენელია. ჩვენ არ შევეხებით ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენის სირთულეს ან გამოძიების სპეციფიკურობას, ჩვენ მხოლოდ სასამართლო განხილვის პროცესში წამოჭრილ სიძნელეებს შევეხებით, რომლებიც ართულებს ძალადობის ფაქტის დადასტურებულად მიჩნევას და შესაბამისად, მოძალადის მსჯავრდებას. ეს სიძნელეები დაკავშირებულია რამდენიმე გარემოებასთან, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

1. ძალადობის ფაქტს ხშირად არ ჰყავს შემსწრე პირი და ბრალდება ეფუძნება მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებას;
2. დაზარალებული მოძალადის ოჯახის წევრია და ხშირად სარგებლობს უფლებით არ მისცეს თავისი ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენება;
3. ძალადობის ფაქტს ჰყავს შემსწრე პირები, თუმცა ისინიც დაზარალებულის მსგავსად მოძალადის ოჯახის წევრები არიან და სარგებლობენ უფლებით არ მისცენ თავიანთი ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენება;
4. ძალადობის ფაქტს ჰყავს შემსწრე მცირენლოვანი პირები, თუმცა ისინი იმდენად მცირენლოვნები არიან, რომ მათი დაკითხვა შეუძლებელია;
5. დაზარალებულისათვის დაზიანების არსებობის ფაქტი არ დასტურდება სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, თუმცა დაზარალებული აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა ძალადობა;
6. დაზარალებულისათვის დაზიანების არსებობის ფაქტი დასტურდება სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მაგრამ დაზარალებული აცხადებს, რომ დაზიანება ბრალდებულს არ მიუყენებია;
7. დაზარალებული ადასტურებს მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტს, თუმცა აღნიშნავს, რომ ფიზიკური ტკივილი არ განუცდია;
8. ძალადობის სისტემატურობაზე საუბრობს მხოლოდ დაზარალებული.

განვიხილოთ თითოეული შემთხვევა:

1. უმეტესად ოჯახში ძალადობა სხვათაგან შეუმჩნევლად ხდება. ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც ამ დანაშაულს ხშირად ოჯახური და პირადი მიზიზები აქვს, რომელთა შესახებ ოჯახის წევრებს ოჯახურ პირობებში უხდებათ საუბარი და მას საჯაროდ არ განხილავენ, მაგალითად, თუ ქმარი ეჭვიანობის ნიადაგზე ეჩხუბება ცოლს, როგორც წესი, ამ საკითხზე საუბარს

მეუღლები სხვათა თანდასწრებით არ განიხილავენ. იგი მხოლოდ ორ პირს შორის განიხილება და ამის ნიადაგზე წამოჭრილი კონფლიქტიც, რომელიც გადაიზრდება ფიზიკურ ძალადობაში, სხვათათვის შეუმჩნეველი რჩება. ასეთ დროს სახეზეა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება, რომელიც დეტალურად აღწერს მომხდარი ძალადობის ფაქტს და აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა ძალადობა. ამას უპირისპირდება ბრალდებული და აცხადებს, რომ დაზარალებული ცრუობს და არავითარ ძალადობას არ ჰქონია ადგილი. მათგან რომელი ამბობს სიმართლეს, ბუნებრივია უნდა შეფასდეს იმისდა მიხედვით, თუ ვის ნათქვამს ადასტურებს ამ საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებები. საქმეც ისაა, რომ ზოგჯერ ხელის ერთხელ მსუბუქად დარტყმამ შესაძლოა არც დატოვოს დაზიანების იმგვარი კვალი, რაც ექსპერტიზის შედეგად დადასტურდება, ხოლო სხვა რამე მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა ძალადობის ფაქტზე (მაგალითად, მოწმეები), შესაძლოა მოპოვებული ვერ იქნეს ობიექტურად მათი არარსებობის გამო, ასეთ დროს მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური ძალადობის ფაქტს შესაძლოა მართლაც ჰქონდა ადგილი, სასამართლოს გაუჭირდება მხოლოდ დაზარალებულის ვერსიის საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და ბრალდებული ნარდგენილ ბრალდებაში უნდა გამართლდეს.

2. საგულისხმოა, რომ ძალადობის მსხვერპლი ბრალდებულის ოჯახის წევრია (მეუღლე, შვილი, მშობელი და ა.შ.) და თუ იგი ზოგიერთ შემთხვევაში არის მზად სრული სიმართლე განუცხადოს სასამართლოს, უმეტესად, როგორც წესი, „მაინც ვერ იმეტებს“ თავისი ოჯახის წევრს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის და ცდილობს „შეარბილოს“ მომხდარი ძალადობრივი ფაქტის სიმძაფრე და არ დაანახოს სასამართლოს ბრალდებულის რეალური სახე. ზოგიერთ შემთხვევაში კი იგი იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას და უარს აცხადებს სასამართლოს მისცეს ახლო ნათესავის (ბრალდებულის) მამხილებელი ჩვენება, რაც სასამართლოს მხრიდან დაცული უნდა იყოს და ასეთ დროს დაზარალებული თავისუფლდება ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან.

სასამართლო პრაქტიკა იცნობს უამრავ შემთხვევას, როცა ძალადობის მსხვერპლი უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე ბრალდებული მეუღლის, მამის, შვილის და სხვ. წინააღმდეგ და სასამართლოს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უცხადებს მხოლოდ იმას, რომ არ სურს თავისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, რა დროსაც სასამართლო არკვევს მხოლოდ იმას, ხომ არა აქვს დაზარალებულის მიმართ ვინმეს მხრიდან რამე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედებას ადგილი და ჩვენების მიცემაზე უარს ხომ წებაყოფლობით აცხადებს.

თუკი საქმის განხილვის დასრულებამდე გაირკვევა, რომ მსხვერპლზე (ან თვითმხილველზე) განხორციელდა ზეწოლა და მან იძულების გამო განაცხადა უარი ჩვენების მიცემაზე და ამჯერად იგი გამოთქვამს მზადყოფნას, რომ სასამართლოს მისცეს ობიექტური ჩვენება, ასეთ დროს ვფიქრობთ, სასამართლომ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ხელახლა უნდა მოუსმინოს ერთხელ უკვე დაკითხულ პირს.

ხშირია შემთხვევა, როცა დაზარალებული თავის პოზიციას სასამართლოს აცნობს პირადად ან სანოტარო წესით დამოწმებული წერილობითი ფორმით და აცხადებს, რომ ბრალდებულის მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, შეურიგდა მას და პატიობს ჩადენილს, რის გამოც ითხოვს ბრალდებულის მიმართ გაფრცელდეს კანონით გათვალისწინებული შეღავათები.

ეს უკანასკნელი შემთხვევა (დაზარალებულის შერიგება) ხელს არ უშლის თავად ძალადობრივი ფაქტის დადგენას, რადგან დაზარალებული ძალადობის ფაქტს კი არ უარყოფს, არამედ ადასტურებს კიდეც, ოღონდ პატიობს მის ჩადენის ბრალდებულს და ურიგდება მას. ამ პოზიციამ შესაძლოა გავლენა იქონიოს დასანიშნ სასჯელზე, თუმცა იგი სრულიად განსხვავებულია იმ შემთხვევისაგან, როცა დაზარალებული უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, რამაც შესაძლოა გადამწყვეტი გავლენა იქონიოს ძალადობის ფაქტის დაუდგენლობის საკითხზე, მით უფრო ისეთ შემთხვევაში, როცა ძალადობა დაზარალებულის მიმართ განხორციელდა სხვათა (მოწმეთა) შეუმჩნევლად. ასეთ დროს ძალადობის ფაქტის დამდგენი ძირითადი მტკიცებულებებია დაზარალე-

ბულის ჩვენება და მის მიმართ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო, როცა დაზარალებული დუმს, მტკიცებულებად რჩება მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდება დაზარალებულის სხეულზე დაზიანების არსებობის ფაქტი, თუმცა იგი ვერაფერს იტყვის დაზიანების მიმყენებლის ვინაობის შესახებ. ამდენად, დაზიანების არსებობის ფაქტი დადასტურებული იქნება, მაგრამ მისი მიმყენებლის ვინაობის შესახებ სასამართლოსთვის უცნობი დარჩება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობას. მაგალითად, სწორედ ასე მოხდა ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მოსამართლემ განაჩენში აღნიშნა: „სამედიცინო ექსპერტის დასკვნით ზოგადად შესაძლებელია დადგინდეს დაზიანებების არსებობა, მათი სიმძიმე, რაოდენობა, თუმცა ობიექტურად შეუძლებელია ექსპერტის დასკვნით განისაზღვროს დაზიანებების მიმყენებელი პირის ვინაობა, შესაბამისად, ექსპერტის დასკვნით იმის მტკიცება, რომ მსხვერპლს დაზიანება მიაყენა კონკრეტულმა პირმა, შეუძლებელია და წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო აღნიშნავს, რომ სადაცო არ არის და ექსპერტის დასკვნით დგინდება, რომ დაზარალებულს კისრის მიდამოში აღნიშნებოდა ორი სისხლნაულენთი (ზომა: 1,0X1,2სმ., 2,2X0,7სმ.), თუმცა აღნიშნული ექსპერტის დასკვნით იმ ფაქტის დადგენა თუ ვინ, როდის და რა ვითარებაში მიაყენა მას აღნიშნული დაზიანებები, შეუძლებელია. ბრალდების მხარის მითითება იმ გარემოებაზე, რომ ეს დაზიანება მიაყენა ბრალდებულმა, უშუალოდ ამ მტკიცებულების შინაარსიდან არ გამომდინარეობს და წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს“¹.

შესაძლოა დაზარალებული უარს აცხადებდეს სასამართლოში ოჯახის წევრის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემაზე, მაგრამ არსებობდნენ ფაქტის თვითმხილველი პირები ან გარეშე პირები, რომლებიც შეესწრენ არა ძალადობის ფაქტს, არამედ ძალადობის დასრულებისთანავე შექმნილ სიტუაციას, რა დროსაც ძალადობის კვალი ჯერ კიდევ თვალნათლივ შესამჩნევი იყო. ასეთ დროს სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე ამ პირთა ჩვენება პირდაპირ მტკიცებულებად შეაფასა და განმარტა: „სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწმის სახით დაკითხული პატრულ-ინსპექტორები, რომელთაც დანაშაულებრივ ფაქტთან ჰქონდათ მყისიერი შემხებლობა (112-ის გამოძახებაზე) იმდენად მყისიერად მოხდა მათი მხრიდან რეაგირება და შემთხვევის ადგილზე მისვლა, რომ ადგილზე დახვდათ ბრალდებული და დაზარალებულს ჯერ კიდევ ეტყობოდა დროის მცირე მონაკვეთით ადრე განხორციელებული ძალადობის კვალი ყელზე სიწითლეების სახით), დეტალურად გადმოსცემენ დაზარალებულის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რის გამოც მათი ჩვენებები განხილული უნდა იქნეს როგორც პირდაპირი მტკიცებულება². ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასთან ერთად განაჩენში საუბარია დაზარალებულის ფიზიკურ მდგომარეობაზეც, რომელსაც ჯერ კიდევ მკვეთრად აღნიშნებოდა სიწითლეები, ნაჭდევები და ის დაზიანებები, რომელიც მოგვიანებით დაადასტურა სამედიცინო ექსპერტმა, რაზეც დაზარალებული, როგორც პატრულ-ინსპექტორებთან, ისე ექსპერტთან საუბარში მიუთითებდა, რომ მიყენებული ჰქონდა ბრალდებულის მიერ. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძალადობის ფაქტის დამდგენი ძირითადი მტკიცებულებებია დაზარალებულის ჩვენება და მის მიმართ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო როცა დაზარალებული დუმს და ექსპერტიზის დასკვნით კი არ დასტურდება დაზარალებულის სხეულზე დაზიანების არსებობის ფაქტი, ცხადია, ასეთ დროს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა შეუძლებელი ხდება.^{3,4,5}

1 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 5 იანვრის №1/4177-16 განაჩენი.

2 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის №1/194-17 განაჩენი.

3 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის №1/2594-16 განაჩენი.

4 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის №1/4873-16 განაჩენი.

5 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 აგვისტოს №1/799-17 განაჩენი.

3. ზოგჯერ ძალადობის ფაქტს ჰყავს შემსწრე პირები (მოწმეები), თუმცა ისინი მოძალადის ოჯახის წევრები არიან და დაზარალებულის მსგავსად სარგებლობენ უფლებით არ მისცენ სა-სამართლოს თავიანთი ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენება. აღნიშნული საპროცესო გარანტია, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაზარალებულის მსგავსად მოწმისთვისაც უნდა იყოს სასამართლოსაგან დაცული და მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა რეალურად შეიძლება განხორცილებული იყოს ოჯახის წევრების თვალინი, ბრალდებულის მამხილებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო სასამართლო ვერ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა: „სასამართლოს მიაჩნია, რომ მიუხედავად დაზარალებულთა სხეულზე არსებული დაზიანებებისა, იმ პირობებში, როდესაც დაზარალებულებმა უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე, სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს არცერთი უტყუარი პირდაპირი ხას-იათის მტკიცებულება, რომლის შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნებოდა ბრალდებუ-ლის მხრიდან მეუღლეზე და მცირებლოვან შვილებზე სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტების დადგენა (სხეულის დაზიანებების მიმყენებელი პირის დადგენა)“⁶ და ამ პირის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

4. ზოგჯერ ძალადობის ფაქტს ჰყავს შემსწრე პირები, თუმცა ისინი იმდენად მცირებლოვნები არიან, რომ მათი დაკითხვა შეუძლებელი ხდება. ეს საკითხი განსაკუთრებულ სირთულეს იძენს იმ დროს, როცა ბრალდებულს წარდგენილი აქვს ბრალდება ოჯახში ძალადობისთვის, რომელიც ჩადენილია არასრულნლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ. მაგალითად, ქმარ-მა სცემა ცოლი და ამ ფაქტს შეესწრო მათი ერთი წლის შვილი. ქმარი ადასტურებს ცოლის ცემის ფაქტს, თუმცა უარყოფს ბავშვის თანდასწრებით განხორციელებულ ძალადობას და აღნიშნავს, რომ ბავშვს მეორე ოთახში ეძინა. ოთახში კი, სადაც ძალადობა მოხდა ცოლ-ქმრის გარდა სხვა არავინ იმყოფებოდა. ცოლი საპირისპიროს აცხადებს და აღნიშნავს, რომ ქმარმა მასზე განახორ-ციელა ძალადობა მათი მცირებლოვანი შვილის თვალინი. ასეთ დროს სასამართლომ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობა (სსკის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) დადასტურებულად არ მიიჩნია და ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი მხოლოდ სსკის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით და განმარტა, რომ ვინაიდან ცოლ-ქმრის მიერ განვითარებული ურთ-იერთსაწინააღმდეგო ვერსია დამატებითი მტკიცებულებებით არ იძლევა რომელიმე მათგანის უტყუარად მიჩნევის საფუძველს, ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ძალადო-ბის ფაქტს არ ჰყავდა სხვა შემსწრე პირი, რომელიც დაადასტურებდა ძალადობის ჩადენას არას-რულნლოვნის თანდასწრებით, ხოლო თავად ბავშვი ვერ დაიკითხებოდა ასაკიდან გამომდინარე.⁷

5. ზოგჯერ დაზარალებულისათვის დაზიანების არსებობის ფაქტი არ დასტურდება სამედ-იცინო ექსპერტიზის დასკვნით, თუმცა დაზარალებული აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა ძალადობა, რის გამოც მან განიცადა ფიზიკური ტკივილი. ეს ნათესამი შესაძლოა შეესაბამე-ბოდეს კიდეც სინამდვილეს, რამდენადაც არის შემთხვევები, როცა ძალადობის კვალი დაზარ-ალებულის სხეულზე არ რჩება. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ძალადობის მსუბუქი ხასიათით, დროის გარკვეული პერიოდის გასვლით და ა.შ. ამდენად, დაზარალებულის სხეულზე დაზიანების კვალის არარსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მასზე ძალადობა არ განხორციელებულა და დაზარალებული ცრუობს. თუმცა ასეთ დროს დღის წესრიგში დგება დაზარალებულის ჩვენების გარდა სხვა მტკიცებულებების არსებობის აუცილებლობა, რადგანაც მხოლოდ დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენი ვერ იქნება მიღებული.

6. დაზარალებულები სასამართლოში დაკითხვისას ზოგჯერ არ ერიდებიან ჩვენების შეცვლას და აცხადებენ, რომ დაზიანება მაგალითად, დაცემის შედეგად მიადგათ, რითაც სურთ ერთის მხ-

6 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 თებერვლის №1/3288-16 განაჩენი.

7 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 3 ოქტომბრის №1/3487-17 განაჩენი.

რივ ახსნან ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული დაზიანების არსებობის ფაქტი, ხოლო მეორეს მხრივ, გამორიცხონ ბრალდებულის „წვლილი“ ამ დაზიანების მიყენებაში. ამდენად, ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული დაზიანების არსებობას დაზარალებული მართალია ადასტურებს (ფაქტია და ვერსად წაუვა), მაგრამ აღნიშნავს, რომ ეს დაზიანება ბრალდებულს არ მიუყენებია და სხვაგვარად მიადგა (წაიქცა, კარადას მიეჯახა, კიბეზე დაეცა და სხვა), რაც იწვევს ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობას, თუ ბრალდებულის მხრიდან ძალადობის განხორციელების ფაქტი სხვა სამხილით არ დასტურდება.

სასამართლოსთვის უმეტესწილად უცნობი რჩება, რამ გადააწყვეტინა დაზარალებულს ჩვენების შეცვლა და ამგვარი ვერსიის შემოთავაზება, მაგრამ ამის გამოცნობა არ არის რთული. როგორც პრაქტიკა მოწმობს, დაზარალებულებს დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ უნელდებათ ბრაზი დანაშაულის ჩამდენის მიმართ, უჩნდებათ პატივების გრძნობა, ეპრალებათ საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი ოჯახის წევრი ან ვერ იმეტებენ მას პატიმრობისათვის, ენატრებათ ოჯახის მცირენლოვან წევრებს, ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში უკეთესად მიაჩნიათ, რომ ასე მოიქცნენ, თუკი მაგალითად, ქმარი ოჯახის ერთადერთი მარჩენალია და მის გარეშე დედას გაუჭირდება ორი-სამი მცირენლოვანი შვილის რჩენა, ან არსებობს მოლოდინი იმისა, რომ მამხილებელი ჩვენების მიცემით ბრალდებული უფრო მეტად გაღიზიანდება და უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდება დაზარალებული მომავალში მოძალადის მხრიდან ან მოუწევს ბრალდებულის საცხოვრებელი ადგილის დატოვება და ქუჩაში აღმოჩნდება და სხვა. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე 7 წლის ბავშვის დედამ (რომელიც თავის მხრივ დაზარალებულად იყო ცნობილი ამ საქმეზე) სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მისი ბრალდებული მეუღლის მიმართ სასამართლო ნუ გამოიყენებდა საპატიმრო სასჯელს, რადგან მარტო დარჩენილს გაუჭირდებოდა შვილების რჩენა (აღსანიშნავია, რომ ბრალდებული იყო უმუშევარი და შემოსავლის არმქონე). თავად ბავშვზე კი განხორციელებული იყო მამის მხრიდან დაუნდობელი ხასიათის ძალადობა ხელების, ფეხებისა და ქამრის გამოყენებით. ბუნებრივია, ამგვარი პოზიციებით სასამართლო შეზღუდული არ არის და ამ შემთხვევაშიც გამოიყენებულ იქნა საპატიმრო სასჯელი. სასამართლომ დედის ამგვარ პოზიციას შემაშფოთებელი უწოდა და განაჩენში განმარტა: „მცირენლოვანი ბავშვის დედისთვის ასეთი უჩვეულო და უპასუხისმგებლო პოზიციის მიუხედავად, სახელმწიფოს ვალდებულებაა იმოქმედოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და განხორციელებული ძალადობის დაუნდობელი და სისტემატური ხასიათის გათვალისწინებით, ასევე ძალადობის იმ მასშტაბურობის_გათვალისწინებით, რომელიც აღწერილია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში და ბრალდებულის მხრიდან მომდინარე რისკებისა და საფრთხეების მხედველობაში მიღებით, მის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენება სრულიად მიზანშეუწონელია“.⁸

7. ოჯახში ძალადობის დანაშაულის კონსტრუქცია იმგვარია, რომ იგი სავალდებულოდ ითხოვს დაზარალებულის მხრიდან იმის გარკვევას, განიცადა თუ არა მან ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, რაც ზოგჯერ არასწორად არის გაგებული და მიიჩნევა, რომ ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა დაზარალებულის მხრიდან გაკეთებული შეფასების მიხედვით უნდა დადგინდეს და ემყარებოდეს ე.წ. სუბიექტურ ტესტს, ანუ დაზარალებულის სუბიექტურ შეფასებას იმის თაობაზე, რომ მან განიცადა ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მართებულად არ უნდა ჩაითვალოს და შეფასება უნდა მოხდეს ასევე ე.წ. ობიექტური ტესტითაც, ანუ იმის დადგენით, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში პირი ობიექტურად განიცდიდა თუ არა ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. მაგალითად, თუ საკმარისი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ დაზარალებულს გამეტებით ურტყეს ხელები და ფეხები სახის არეში, მაგრამ დაზარალებული სასამართლო სხდომაზე მაინც განაცხადებს, რომ არ განუცდია ფიზიკური ტკივილი, სასამართლო არ უნდა შეიზღუდოს დაზარალებულის განმარტებით და თავად უნდა შეაფასოს, მოცემულ შემთხვევაში განხორციელებული ძალადობა თავისი ხასიათითა და მასშტაბურობით

8 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 სექტემბრის №1/3455-17 განაჩენი.

ობიექტურად გამოიწვევდა თუ არა ფიზიკურ ტკივილს.

ამ მხრივ სრულიად მართებულია მოსამართლის მსჯელობა ერთ-ერთ საქმეზე, სადაც ბრალ-დებულის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი იმის მიუხედავად, რომ დაზარალებულმა უარი განაცხადა ბრალდებული მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. სასამართლომ აღნიშნა: „მართალია, სასამართლო სხდომაზე დაზარალებულს განცდილ ფიზიკურ ტკივილთან დაკავშირებით არ უსაუბრია (ვინაიდან ისარგებლა უფლებით არ მიეცა მეუღლის საწინააღმდეგო ჩვენება, შენიშვნა: პ.კ.), მაგრამ სასამართლოს მიაჩნია, რომ მხოლოდ მისი სუბიექტური აღქმა არ შეიძლება იყოს დანაშაულებრივი ქმედების განმსაზღვრელი მაგალითად: 10-12 თვის ბავშვის მიმართ (ან იმ ბავშვის მიმართ, რომელსაც ასაკიდან გამომდინარე ჯერ არ შეუძლია საუბარი) განხორციელებული ფიზიკური ძალადობა არის თუ არა ფიზიკური ტკივილის გამომწვევი, სასამართლოს აზრით, უნდა შეფასდეს არამარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებითაც, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ ფიზიკური ტკივილის მიყენების ფაქტის დადგენა ნებისმიერ შემთხვევაში ობიექტურად შეუძლებელია რამეთუ ამ ასაკის ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა ვერბალურად ვერ გამოთქვამს ემოციებსა და გრძნობებს“.

ამდენად, მხოლოდ დაზარალებულის სუბიექტურ აღქმაზე დაყრდნობით იარსებებს რეალური საშიშროება არასწორი და მცდარი სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებისა და საქმის შედეგის გაუმართლებელი დამოკიდებულებისა დაზარალებულის სუბიექტურ პოზიციებზე. მაგალითად, თუ ძალადობას თავისი ხასიათითა და ინტენსივობით არ შეუძლია ფიზიკური ტკივილის გამოწვევა (მაგ. საყელოში ხელის ჩავლება და მოქაჩვა), მაგრამ დაზარალებული განაცხადებს, რომ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ეს არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ მივიჩნიოთ ძალადობა ჩადენილად, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი.

ობიექტური შეფასების აუცილებლობა ყოველთვის არ გამორიცხავს სუბიექტური შეფასების საჭიროებას და უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებულის სუბიექტური შეფასების გარეშე ვითარების სწორად შეფასება წარმოუდგენელიც იქნება. მაგალითად, იმგვარი ძალადობის დროს, რომელიც თავისი ხასიათით რიგ შემთხვევაში გამოიწვევდა ფიზიკურ ტკივილს, ხოლო რიგ შემთხვევაში – არა, დაზარალებულის პოზიციის გარკვევა შეიძენდა გადამწყვეტ მნიშვნელობას, მაგალითად, ხელების გადაგრეხვა, მკლავზე ხელის მოჭრა და სხვა დაზარალებულის პოზიციის გარკვევის გარეშე შეუძლებელს გახდიდა ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

8. როგორც პრაქტიკა მოწმობს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები დახმარებისთვის არავის მიმართავენ მანამდე, სანამ მდგომარეობა უკიდურესად არ გართულდება და სამართალდამცავების ჩარევა მათთვის სიცოცხლის გადარჩენისა და ჯანმრთელობის დაზიანებისაგან დაცვის ერთადერთი გზა არ აღმოჩნდება. ამ კონდიციამდე მისვლას კი ხშირად ხელს უწყობს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის ზოგჯერ მეგობრებისა და ოჯახის წევრების „რჩევები“, რომლებიც ზეწოლას ახდენენ მსხვერპლის თავისუფალ ნებაზე, თუმცა შესაძლოა უმოქმედობა მსხვერპლის საკუთარი არჩევანიც იყოს. მათ პრობლემის სერიოზულობის არასათანადო აღქმის გამო უხდებათ კონფლიქტურ სიტუაციაში ცხოვრება და თითქოსდა საკუთარი ნებით უარს ამბობენ გაერიდონ ძალადობრივ გარემოს, რასაც მოგვიანებით ნანობენ და აღნიშნავენ, რომ „მოთმინებამ შედეგი ვერ გამოიღო“, და როცა მათ უსაფრთხოებას ექმნება განმეორებითი და ინტენსივობით უფრო მაღალი ხარისხის საფრთხე, იძულებული ხდებიან უკვე ღიად განაცხადონ ამის თაობაზე და წლების მანძილზე დაგროვილი სათქმელი ერთჯერადად გადმოსცენ.

ასეთ დროს ხშირია შემთხვევები, როცა ძალადობის სისტემატურობის დადგენა (როცა ბრალ-დებულს წარდგენილი აქვს ბრალდება სისტემატური შეურაცხყოფისთვის, დამცირებისთვის ან შანტაჟისთვის) ემყარება მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებას, რომელიც აღნიშნავს, რომ თანაცხოვრების პერიოდში ხშირად ჰქონია ადგილი ფიზიკურ ან ფიზიკურ ძალადობას, თუმცა ამის შესახებ არსად განუცხადებია, რადგან ფიქრობდა, რომ იგი მომავალში აღარ განმეორდებოდა,

9 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №1/2317-16 განაჩენი.

ან მოძალადე დებდა პირობას, რომ მსგავს საქციელს აღარ ჩაიდენდა, ან მსხვერპლს არ უნდოდა ოჯახის დანგრევა და ა.შ. მხოლოდ ამგვარი ჩვენების საფუძველზე ძალადობის სისტემატურობის დადგენა სწორი არ იქნება, თუ ამის პარალელურად არ მოიპოვება სხვა მტკიცებულება, რომელიც დაზარალებულის ნათქვამს დაადასტურებდა, მაგალითად, ოჯახის სხვა წევრის მხრიდან ან მეგობრებისგან, მეზობლებისგან, ნათესავებისგან ამ ფაქტების დადასტურება ან თუნდაც შემაკვებელი ან დამცავი ორდერების ან განაჩენის არსებობა, სადაც მითითებული იქნება წინა ძალადობრივი ფაქტების შესახებ.

ამდენად, ერთის მხრივ, თავად დანაშაულის ხასიათი, რომ იგი უმეტესწილად სხვათაგან შეუმჩნევლად ჩაიდინება, ხოლო მეორეს მხრივ, დაზარალებულთა და მოწმეთა საპროცესო შესაძლობლობა, არ მისცენ თავიანთი ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენება, განაპირობებს ამ დანაშაულის სპეციფიკურობას და სასამართლოში მისი განხილვის სირთულეს, რაც რიგ შემთხვევაში იწვევს ძალადობის, როგორც უკიდურესად მიუღებული, ანტისოციალური ქცევის დაუდასტურებლობას და მისი ჩამდენი პირის მსჯავრდების შეუძლობლობას.

ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასპექტები

ლელა მეტრეველი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე, საქართველოს დავით ალმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი

ოჯახში ძალადობის თემა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მრავალ ქვეყანაში ტაბუირებული იყო, რადგან მსგავსი საკითხების სააშკარაოზე გამოტანა ადამიანების პირად ცხოვრებაში ჩარევად განიხილებოდა. თუმცა, საზოგადოებაში თანდათან მკვიდრდებოდა აზრი, რომ გაუმართლებელია ოჯახში ძალადობის პრობლემის იგნორირება, მასზე თვალის დახუჭვა, რადგან ძალადობა საშიშროებას უქმნის ადამიანების უსაფრთხოებას, მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ის ისეთივე დანაშაული და საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი საფრთხეა, როგორიც ძალადობა ოჯახის გარეთ. ამასთან, ოჯახში ძალადობა მხოლოდ კონკრეტული ოჯახის ცალკეული წევრების პრობლემა არ არის, ასეთი კონფლიქტები წეგატიურად მოქმედებს ოჯახის სხვა წევრებზე, განსაკუთრებით არასრულწლოვან პირებზე, ინვევს მათი ფსიქიკისა და ცნობიერების დამახინჯებას. რაც ზოგადად საზოგადოებაში არაჯანსაღი სიტუაციის ჩამოყალიბებას განაპირობებს. ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის გასაანალიზებლად და პრევენციული მიმართულებების დასაგეგმად აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების გამოვლენა. ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზების დასადგენად საჭიროა კვლევა განხორციელდეს ორი მიმართულებით: ა) იმ მახასიათებლების შესწავლა, რომელიც გავლენას ახდენს დამაშავის ქცევაზე და ბ) ამ დანაშაულის მიმართ ქალთა მოწყვლადობა. უმეტესწილად, მამაკაცები გვევლინებიან აგრესორის როლში, მაშინ როდესაც დაზარალებული ქალები ძალადობას დუმილით პასუხობებენ.¹

ოჯახში ძალადობა – ძალადობის ყველა სხვა სახისგან იმით განსახვავდება, რომ ის ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს შორის ხორციელდება. მართალია, ძალადობის ნებისმიერ შემთხვევაში მსხვერპლი ტრამვირებულია, მაგრამ ოჯახში განხორციელებული ძალადობისას ტრამვირებულობის ხარისხი მეტია, რადგან ამ შემთხვევაში მოძალადისთვის მსხვერპლი მუდმივად მისაწვდომია და მას შეუძლია ნებისმიერ დროს განახორციელოს განმეორებით თავდასხმა.

ქალების მიმართ განხორციელებულ ძალადობის შესწავლისას და ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამებზე მუშაობისას 1970 წლიდან არაერთხელ განხილულა მამაკაცთა მიმართ სასტიკი მოპყრობის საკითხებიც. ამ საუბრებს სათავე დაუდო კვლევებმა, რომლებიდანაც ცალსახად ჩანს, რომ ქალები არა თუ ნაკლებად, არამედ უფრო მეტადაც კი ძალადობენ მამაკაცებზე.² ამ კვლევათა შედეგებზე დაყრდნობით, ცდილობდნენ გაებათილებინათ წარმოდგენა, რომ წყვილთა შორის ურთიერთობებში მსხვერპლის პოზიციაში მხოლოდ ქალები იმყოფებიან. ამგვარმა დასკვნამ დიდი კრიტიკა გამოიწვია. განსაკუთრებით იმიტომ, რომ მასში ქალებისა და მამაკაცების მხრიდან ძალადობა ერთ სიბრტყეში იყო განხილული. ძალადობის განხორციელებისას ქალთა მოტივები მნიშვნელოვნად განსხვავდება კაცთა მოტივებისგან. ასევე, განსხვავებულია ძალადო-

1 CRowell N. A., BuRbess A. W., UndeRstandinb Violence Abainst Women, National ReseaRch Council, Division of BehavioRal and Social Sciences and Education, Commission on BehavioRal and Social Sciences and Education, Committee on Law and Justice, Panel on ReseaRch on Violence Abainst Women, NATIONAL ACADEMY PRESS, Washinbton, D.C. 1996, P. 49.

2 Steinmetz 1978, referireba _ Mann 1996; Belles, Steinmetz 1980, რეფერირება – Mann 1996; Belles 1997

ბის შედეგებიც. ქალთა უმეტესობა იმიტომ ძალადობს, რომ დიდი ხნის განმავლობაში თავად იყო ქმრისა და პარტნიორის მხრიდან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი. ხშირად ქალები თავდაცვის მიზნით ძალადობენ.³ ქმარზე ძალაუფლების მოსაპოვებლად ძალმომრეობას სისტემატურად მხოლოდ ქალთა მცირე ნაწილი მიმართავს – ამისათვის საჭირო ფიზიკური ძალა ცოტა ქალს თუ აქვს. თანაც, მამაკაცთა ძალადობისგან განსახვავებით, ქალების მხრიდან ძალადობა არც ერთ კულტურაში არ არის მოწონებული და ქალებს არც ძალის გამოყენების გამოცდილება აქვთ.⁴

ძალადობა არ ცნობს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს, არც სოციალურ წარმომავლობას. ეს პრობლემა ყველა ქვეყანაში არსებობს. საგულისხმოა, რომ ოჯახში ძალადობის საკითხები ჩვენთვისაც აქტუალური გახდა, ვინაიდან იმატა რაოდენობრივამა მაჩვენებლებმა. ზოგადად, ითვლება, რომ წარკოტიკების მომხმარებელთა, ასოციალური ქცევის, დარღვეული და ან კონფლიქტური ოჯახები, მარტოხელა მშობლის ოჯახები, სიღატაკის ზღვარზე მყოფი, მრავალშვილიანი, ცხოვრების კრიმინალური წესის მქონე მშობელთა ოჯახები გაცილებით მეტ რისკს წარმოადგენენ ძალადობის გამოვლენის კუთხით.

ძალადობრივი ქმედებების განმეორებითობის ალბათობა იმაზეა დამოკიდებული რამდენად ადეკვატური რეაგირება მოყვება მოძალადის საქციელს. თუკი მამაკაცმა ჩადენილის გამო პასუხისმგებლობა ვერ იგრძნო, ან თუ მის ქმედებას სერიოზული შედეგები არ მოყვა და მან მომხდარიდან სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა და ალბათობა იმისა, რომ მან კვალვ ჩაიდინოს დანაშაული შანსი დიდია.

ოჯახში ძალადობის განმეორებადობა დაკავშირებულია საზოგადოების სტიგმატიზაციის შიშთან. ეს ფსიქოლოგიური ფაქტორიცაა, მაგრამ მხოლოდ ფსიქოლოგებსაც არ ეხება ეს საკითხი, რადგან ოჯახების უმრავლესობას ქალები დიდი ძალისხმევის შედეგად ინარჩუნებენ. ეშინიათ ოჯახის დანგრევის, მარტო ყოფნის, ამასთან ეშინიათ საკუთარ პრობლემებზე ხმამაღლა საუბრის.

მოგეხსენებათ, რომ ძალადობის პროცესს ახასიათებს გარკვეული ციკლური ფაზები: არის „დაძაბვის პერიოდი“, რომელსაც შემდგომ აფეთქება მოჰყვება, არის ე.წ. „თაფლობის პერიოდი“, როდესაც მოძალადე ყველანაირად ცდილობს მსხვერპლის შემორიგებას და აღწევს კიდეც მიზანს. შემდეგ ისევ იწყება დაძაბულობა, ისევ აფეთქება ა.შ. რაც შეეხება როლების ცვლას, ეს მეტად ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მსხვერპლის შესაძლებლობებზე, მის პიროვნულ მახასიათებლებზე. ადამიანი რომელიც წლების განმავლობაში განიცდის ძალადობას, მისი ფსიქიკა ზიანდება. მას დაბალი თვითშეფასება უყალიბდება და მუდმივად თავს იდანაშაულებს. ქალებს, რომელთაც დაბალი თვითშეფასება აქვთ ისინი ძალიან დიდხანს იტანენ ძალადობას და შეურაცხყოფას, რადგან მიაჩნიათ, რომ ყველაფერი რაც ხდება მათ ოჯახში, ასე უნდა ხდებოდეს. ამას თან ერთვის ის ფაქტორიც, რომ არავის უმხელენ საკუთარ გასაჭიროს და დახმარებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ითხოვენ, როცა ფაქტობრივად, ფსიქიკა შერყეული აქვთ.

მოგეხსენებათ, რომ ხანგრძლივი ოჯახური ძალადობა ფსიქიკურ დავადებებს იწვევს, ამას ადასტურებს ყველა ექსპერტი, ამიტომ პროგრამებში უნდა გავითვალისწინოთ საგანგებო დახმარება. პირველად ოჯახში ძალადობის შესახებ კანონი მიღებულ იქნა ამერიკაში კერძოდ, მინესოტას შტატში.

ძალადობა აღიარებულია მიზანმიმართულ ქმედებად, როდესაც მოძალადე თავისი მოთხოვნილებების რეალიზებას ახდენს თავისი უმაღლესი ძალაუფლების დემონსტრირებაში მსხვერპლის მიმართ. მოძალადე ისწრაფვის, დაამყაროს და შეინარჩუნოს ძალაუფლება მსხვერპლზე და ჰყავდეს იგი კონტროლის ქვეშ ფიზიკური ძალის, მუქარისა და ფსიქოლოგიური ზენოლის დახმარებით.⁵

³ ოლუსი ნ. „რა არის ძალადობა სქესობრივი ნიშნის მიხედვით“, ხმა მდუმარეთა, გამომცემლობა „პეტიტი“ 2011 წ. გვ. 334;

⁴ იქვე, გვ. 334.

⁵ Adams, D.1998. 'Treatment Models of men Who Batter: A Profeminist Analysis' In K.YIlo & M.BobRad (eds) Feminist Perspectives on Wife Abuse.Newbury Park,pp.176-199.

ძალადობა ხშირად გაცნობიერებული ქმედებაა, რომელიც ვითარებაზე კონტროლის მოპოვებისკენ არის მიმართული. ამავე დროს, იგი მოსალოდნელი საფრთხის გარდაუვალობის გაცნობიერების გამოხატულებაცაა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძალადობა განსაკუთრებით მოქმედებს ცხოვრებისადმი ქალის დამოკიდებულებაზე, მის შეხედულებაზე, შემფასებლურ ორიენტაციაზე და საბოლოოდ, მის ბედზე. ქალებს, რომლებსაც განიცადეს ფიზიკური ან სხვაგვარი ძალადობა უჭირთ მამაკაცებთან ნდობით აღჭურვილი ურთიერთობა.

მაშინაც კი როცა მამაკაცი მოძალადის თვისებებს ავლენს, ქალი არ კარგავს იმედს, რომ ყველაფერი გამოსწორდება და მისი მეუღლე ისევ ისეთი გახდება, როგორიც უწინ იყო. გარდა ამისა, არსებობს შვილების ფაქტორიც, რომ ჯობია ბავშვები მამასთან და დედასთან გაიზარდონ. ამასთან, გასათვალისწინებელია რელიგიური ფაქტორებიც და გარშემომყოფთა განწყობაც. დასახელებული მიზეზებიდან გამომდინარე, გასაგებია თუ რატომ უჭირთ ქალებს მოძალადე ქმრების მიტოვება.

ძალადობა დანაშაულია და ის ვინც ძალადობს, პასუხისმგებელია თავის საქციელზე, მიუხედავად იმისა, რომ არის თუ არა მისი ქმედებები პროვოცირებული. არ შეიძლება, ნაცემ ადამიანს დავაკისროთ პასუხისმგებლობა მასზე განხორციელებული ძალადობის გამო.

ქალზე მოძალადე მამაკაცმა, სულის სიღმეში კარგად იცის, რომ ასეთი საქციელი თავად მასზე მოქმედებს დამღუპველად. ეს კი სრული მარცხია, რომლისგან თავის დაღწევაც მხოლოდ ძლიერი დამცავი ფსიქოლოგიური მექანიზმების წყალობითაა შესაძლებელი. მომხდარის გამო, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, მოძალადე ათასნაირ ხერხს მიმართავს – მეხსიერებიდან შლის და უარყოფს თავის საქციელს, ითხოვს პატიებას. ეს ყველაფერი კი სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ მამაკაცს ჩვენგან სულაც არ ესწავლება, რამდენად დამანგრეველია მისი საქციელი. თუმცა, ის კი აუცილებლად უნდა ავუხსნათ მას, ეძებოს აგრსიულის ალტერნატიული ქცევის ფორმები. სწორი დახმარების მიღების შემდეგ, ძალადობისკენ მიდრეკილ მამაკაცებს, ჩვეულებრივ შესწევთ საკუთარი საქციელის შეცვლის უნარი.⁶

ფსიქოდინამიური თეორიის თანახმად, ოჯახური ძალადობა ფსიქოდინამიური თავდაცვითი პროცესის შედეგია. მოძალადე დედა, მამა და მეუღლე თვითონაც გამხადარან ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი და მშობლების მხრიდან არასკმარისი მზრუნველობა აქვთ განცდილი, რაც წარმოქმნის მათში პარტნიორისადმი უნდობლობას. მოძალადეების საკუთარი ოჯახის წევრებისგან ითხოვენ იმ მზრუნველობას, ყურადღებას და პატივისცემას, რაც მათ ბავშვობაში დააკლდათ.⁷

მოცემული თეორიის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ყურადღებას არ აქცევს დაზარალებულს, ოჯახის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას და მხოლოდ დამნაშავე მოძალადის პიროვნებით შემოიფარგლება, რაც ამცირებს თეორიის გავრცელების არეალს.⁸

სოციალური სწავლების და ინტერაქციის თეორიის მიხედვით, ოჯახური ძალადობა არის შედეგი იმ ფსიქო-სოციალური ინტერაქციის პროცესის, რომელიც ოჯახში და მის გარშემო მიმდინარეობს. ინტერაქცია გაგებულია, როგორც კაუზალური (ერთი ქმედება იწვევს მეორეს) პროცესი. აღნიშნული თეორიის თანახმად, ბავშვები, რომლებიც თვითონ გახდნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, ან უყურებდნენ საკუთარ დედმამიშვილზე განხორციელებულ ან მშობლების ერთმანეთზე ძალადობას, მომეტებული რისკის ქვეშ იმყოფებიან, რომ მათაც, როგორც მშობლებმა, ჩაიდინონ ძალადობა.⁹

მოძალადესა და მსხვერპლს შორის ახლო ურთიერთობების არსებობა ართულებს ქალის თავდაცვით შესაძლებლობებს. ურთიერთობის სიმყარის გამო ქალს უძნელდება მოძალადესთან დაშორება. მას შეიძლება მოძალადისგან შვილები ჰყავდეს, იმედი ჰქონდეს რომ ის შეიცვლება; ქალი შესაძლოა ფინანსურად იყოს დამოკიდებული მოძალადეზე ან სხვა მიზეზების გამო ამბობდეს

⁶ ელიასონი პ. ე. – სტატია; მამაკაცი, ქალი და ძალადობა, , ხმა მდუმარეთა, გამომცემლობა „პეტიტი“ 2011 წ. გვ. 358.

⁷ შალიკაშვილი მ. – ძალადობის კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2012წ. გვ.98.

⁸ იქვე, გვ.98.

⁹ იქვე, გვ.99-100.

უარს მასთან ურთიერთობის გაწყვეტაზე.

მოძალადესა და მსხვერპლს შორის ახლო ურთიერთობების არსებობა შეიძლება გავლენას ახდენდეს ძალადობის აღქმასა და გაგებაზე საზოგადოებისა და მოძალადის მხრიდან.

ოჯახში ძალადობა საზოგადოების მიერ ხშირად აღიქმება, როგორც წყვილის ოჯახის პირადი საქმე. ზოგიერთ კულტურებში სოციალური ნორმებით გამართლებულია ქმრის მიერ ძალის გამოყენება ცოლის მიმართ. სამართალდამცავებსაც კი შეიძლება არ ჰქონდეთ მძაფრი რეაქცია განცხადებებზე ოჯახური ძალადობის შესახებ და ამგვარი განცხადება წვრილმან ოჯახურ კონფლიქტად მიიჩნიონ და არა კანონის სერიოზულ დარღვევად.¹⁰

საზოგადოებათა უმეტესობაში ქალებისთვის ძალაუფლება უფრო მიუწვდომელია, ვიდრე მამაკაცებისთვის. კვლევის თანახმად, ქალის დაქვემდებარებული როლი, რომელსაც ის საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში ასრულებს, ოჯახში ძალადობის წყაროა. ძალის გამოყენება მეორე ადამიანზე ძალაუფლებისა და კონტროლის მოსაპოვებლად, საზოგადოებაში ქალის დაქვემდებარებული როლის შესახებ დამკვიდრებული შეხედულების გამოვლინებას წარმოადგენს.

მოძალადეები არა მხოლოდ სწავლობენ სასტიკ მოპყრობას, არამედ იმასაც იგებენ, რომ ამგვარი ქცევა დასაშვებია და უფრო მეტიც, – მათგან როგორც მამაკაცებისგან მოსალოდნელიც.

მოძალადეები ითვისებენ იმ შეხედულებებს, რომლებიც მის კულტურულ ნორმებში მიღებული და გავრცელებულია. იმისათვის, რომ სასურველს მიაღწიოს, მას ძალის გამოყენების უფლება აქვს, მას თავის პარტნიორის კონტროლირების უფლება აქვს. ამ ცოდნას ისინი არსებული კულტურული ნორმებიდან და სხვა ადამიანებზე დაკვირვებიდან იძენენ. მათი ცოდნა და შეხედულებები უფრო მყარდება, როცა მათი სასტიკ ქცევა საზოგადოების მიერ დაუსჯელი რჩება.¹¹

ხშირად ჩნდება კითხვა, რატომ არ ტოვებენ ძალადობის ატმოსფეროში მცხოვრები ქალები თავიანთ პარტნიორებს. ამის პასუხად ზოგი ამბობს, რომ ქალები მაზოხისტური მიღრეკილებებით გამოირჩევიან და მათზე განხორციელებული ძალადობით ტკბებიან. ზოგი ამტკიცებს, რომ ისინი ფსიქიკურად გაუწონასწორებლები არიან და ამიტომაც არ შესწევთ წასვლის ძალა. სინამდვილეში, მოძალადე პარტნიორებთან ქალთა დარჩენის მიზეზი ბევრად რთულია. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა, კითხვა ასე დაგვესვა: „რა მიზეზები უშლის ხელს ქალს წასვლაში.“ ერთ-ერთ მიზეზს ქალის მამაკაცზე ეკონომიკური დამოკიდებულება წარმოადგენს. თუკი ქალს აქვს განათლების დაბალი დონე, მისი დამკვიდრება საზოგადოებაში მარტივი არ არის. ამასთან, თუ წლების განმავლობაში არ მუშაობდა და მხოლოდ საოჯახო საქმიანობით იყო დაკავებული დამოკიდებული ხდება მეუღლის შემოსავალზე. მოთმინებამ, მორჩილებამ, მუდმივმა შეურაცხყოფამ და დამცირებამ სრულიად წაართვეს ქმრის გარეშე ცხოვრების უნარი. ბევრ ქალს ზედმეტად აქვს გამძაფრებული ქმარზე ემოციური დამოკიდებულება, რადგან ქმართან ურთიერთობას დადებითი მხარეც აქვს. ბევრი ქალი ურთიერთობას იმიტომ ინარჩუნებს, რომ განქორწინების შემთხვევაში სოციალურ სტატუსს დაკარგავს და სამარცხვინო დაღი დაესმება.¹²

საზოგადოებისთვის ხშირად გაუგებარია რატომ არ ცდილობენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები მოძალადესთან ურთიერთობის გაწყვეტას. მსხვერპლის ამგვარი საქციული აიხსნება ე.წ. „მსხვერპლის სინდრომით“. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ადამიანი ერთხელ დაიჯერებს თავის უმწეობას, ეს შეხედულება სიტუაციის მთელ მის აღქმაზე ვრცელდება და შედეგად, ადამიანი უმწეო, პასიური ხდება. „მსხვერპლის“ სინდრომის მქონე ადამიანის ქცევა განისაზღვრება სიტუაციის შეცვლის საკუთარი შესაძლებლობების უარყოფითი აღქმით და არა რეალურად არსებული სიტუაციით.

მსხვერპლის სინდრომის მქონე ადამიანებისთვის დამახასიათებელია:

პასიურობა – პასიურობას ავლენს მაშინაც კი, როცა შეუძლია მეტი აქტიურობა გამოიჩინოს; რწმენის დაკარგვა – არ სჯერა, რომ საკუთარი ძალისხმევით სიტუაციის შეცვლა შეუძლია;

¹⁰ თავართქილაძე ე. სატრენინგო მასალა ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე პროექტორებისთვის 2017წ. (ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები)

¹¹ იქვე, გვ.3.

¹² Johnson, Holly (1996). Dangerous domains. Violence against women in Canada. Toronto: Nelson Canada.

შემეცნებითი უნარების შეზღუდვა – ვერ ხედავს სიტუაციიდან გამოსავლის გზებს და ვერ გეგმავს შესაბამის ნაბიჯებს;

მოძალადისგან გაქცევის შეუძლებლობის განცდა – თვლის, რომ მოძალადე „ყოვლისშემ-ძლეა“, რომელიც მას ყველგან იპოვის.

საკუთარი შესაძლებლობების მიმართ „სიბრმავე“ – ვერ ხედავს საკუთარ თავში „ძლიერ მხა-რეებს“.

„ბედს მინდობა“ – თვლის, რომ ძალადობის სიტუაციაში ცხოვრება მისი ხვედრია, რომელსაც ვერსად წაუვა.

მოცემულმა მოვლენამ თავისი სახელწოდება მიიღო რეალურ ფაქტთან დაკავშირებით, რომე-ლიც 1973 წლის 23 აგვისტოს მოხდა და სტოკოლმის სინდრომით არის ცნობილი. სტოკოლმის სინდრომი – ეს არის სიმპათიისა და მიზიდულობის პარადოქსალური რეაცია, რომელიც მსხვერ-პლს აგრესორის მიმართ ახასიათებს. სტოკოლმის სინდრომი ჩნდება შემდეგ გარემოებებში:

➤ შეპყრობის სიტუაციის ექსტრემალურობა. უცაბედი გადასვლა თავისუფლებიდან არათა-ვისუფლებაში.

➤ მძევლად ყოფნის ხანგრძლივობა, რაც უფრო ხანგრძლივია, მით უფრო ემორჩილება მის ნებას.

➤ ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმების ამოქმედება.

სინდრომის გაჩენის წინაპირობებია:

➤ არსებობს დაზარალებულის სიცოცხლის საფრთხე.

➤ დაზარალებულს საშუალება არ აქვს, რომ აირიდოს საფრთხე ან ის დარწმუნებულია, რომ საშუალება არ აქვს.

➤ ფსიქოლოგიური გაუცხოება (იზოლაცია სხვა ადამიანებისგან).

➤ მოძალადე კეთილგანწყობას ავლენს თავისი მსხვერპლის მიმართ.

მოძალადესთან ქალის თანაცხოვრების მიზეზს ძალიან ბევრი ფაქტორი განაპირობებს, რო-გორიცაა ბავშვობაში ძალადობის გამოცდილება, ანუ ისეთ ოჯახში იზრდებოდა სადაც ძალადობა ჩვეულებრივი რამ იყო; ოჯახის ღირსების დაცვა – არ სურს ოჯახის ამბების გამომზეურება; ეკონომიკური დამოკიდებულება – არ მუშაობს ან მცირე შემოსავალი აქვს. მოძალადის მიმართ ემოციური დამოკიდებულება, ანუ თვლის, რომ ისევ უყვარს. მოძალადის გამოსწორების იმედი, შიში იმისა, რომ მას დაადანაშაულებენ ძალადობის პროცესირებაში, რელიგიური მიზეზები და ინფორმაციის არქონა არსებული სისტემების შესახებ, რომლებსაც მისი დაცვა შეუძლია.¹³

ოჯახში ძალადობა ორ სუბიექტს შორის – მოძალადისა და მსხვერპლის ძალადობრივი ურთიერთობაა. სამართალდამცველი ორგანოები, ფსიქოლოგები და დაცვის ორგანიზაციები ყურადღებას ამახვილებენ მსხვერპლის დაცვაზე, მის რეაბილიტაციისა და მსგავს საკითხებზე. რაც შეეხება მოძალადეს, მისი განცდები და სამართლებრივ – ფსიქოლოგიური მდგომარეობა შედარებით უყურადღებოდა დარჩენილი. ამ წნის განმავლობაში შემუშავდა მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია, რომლის მიზანია მოძალადის ქცევის შეცვლისა და კორექციის გზით ხელი შეუწყოს ოჯახური ღირებულებების, ასევე ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, მათ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ თუ სექსუალურ ხელშეუხებლობას, ძალადობისგან თავისუფალ ცხოვრებას. კონცეფციით გაზიარებული მიდგომით, ოჯახში ძალადობა მიუღებელია და მოძალადები პასუხს აგებენ თავიანთ ქმედებებზე; მათ სარეაბილიტაციო პროგრამებში მთავარი ყურადღება უნდა გამახვილდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვაზე, რისი მიღწევაც შესაძლებელია ძალადობრივი ქცევის შეცვლით და ამგვარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღიარებით.¹⁴

13 თავართქილაძე ე.სატრენინგო მასალა ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე პროკურორებისთვის (2017) (ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები)

14 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ევროპის საბჭოს კონვენციის ანალიზი თბილისი 2016წ, გვ.21.

მოძალადესთან დაკავშირებული სამართლებრივი თუ ფსიქოლოგიური ასპექტები განსაკუთრებით აქტუალურია ბოლო წლებში გამოვლენილი უამრავი ძალადობის ფაქტის ფონზე. აქედან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმი უნდა გახდეს მოძალადეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესწავლა, მათი ცნობიერების ამაღლება და სხვა პრევენციული ზომების გამოყენება.

საქართველოში რეალურად არსებობს ყველა ის ბერკეტი, რომ მსხვერპლის უფლებები იქნეს დაცული, მაგრამ დღეის მდგომარეობით საზოგადოების ცნობიერება, არ დგას იმ საფეხურზე, რომ მსხვერპლმა გადადგას ნაბიჯი და საზოგადოებას სთხოვოს დახმარება. ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, პირველ რიგში, თავად საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება ძალადობის შესახებ. თითოეული ადამიანის მხრიდან უნდა მოხდეს მორალური თანადგომა. უნდა მოხდეს გაცნობიერება იმისა, რომ ვებრძოლოთ ოჯახში ძალადობის მიზეზს და არა შედეგს.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში დეტალურადაა განერილი ოჯახში ძალადობისას პოლიციის მუშაკთა სწრაფი რეაგირების ინსტრუმენტები, როგორიცაა შემაკავებელი ორდერის გამოცემა, მსხვერპლის ან/და მოძალადის გარიდება შემთხვევის ადგილიდან, საჭიროებისას მსხვერპლის თავშესაფარში გადაყვანა და განთავსება.¹⁵

აღსანიშნავია, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვერპლი სოლიდარობას უცხადებს მოძალადეს და ძალადობის ფაქტის გამო ოჯახში მისული პოლიციის თანამშრომლები მსხვერპლის მხრიდან წინააღმდეგობას აწყდებიან. ვინაიდან მსხვერპლს არ სურს მოძალადის მიმართ დადგეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. აქვე საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მსხვერპლი მოძალადესთან კომპლექსურ ურთიერთობაშია, როგორირცაა ეკონომიკური, სოციალური, ემოციური ფაქტორი. ამასთან, მსხვერპლი ფიქრობს, რომ არ დაუშვას სამართალ-დამცველების ჩარევა იჯახურ კონფლიქტში.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტორი, რომ მსხვერპლებს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ისინი არ ტოვებენ მოძალადეს. თუმცა, ამგვარი შეფასების ავტორებს გაცნობიერებული არა აქვთ, რომ ამ შემთხვევაში მსხვერპლის პასიურობა ძალადობის შედეგი უფროა, ვიდრე მიზეზი. მოძალადისადმი შიში იჯახში ძალადობის ჯაჭვის შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ამ შიშს თავისი საფუძვლები გააჩნია. ურთიერთობის განყვეტის შესახებ მსხვერპლის მხრიდან მცირე ქარაგმაც კი საკმარისია იმისათვის, რომ მოძალადემ ეს აღიქვას, როგორც ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე, რაც, შეიძლება უფრო მეტი ძალადობის მიზეზი გახდეს.

ცნობილია აგრეთვე, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს უვითარდება ე.ნ. „მძევლის სინდრომი“, რაც ნიშნავს დაზარალებულის მხრიდან მოძალადისადმი სოლიდარობის გამოცხადებას. ამ სინდრომის წარმოშობას ხელს უწყობს:

ა) ხანგრძლივი სერიოზული საფრთხე, რომელიც ემუქრება მსხვერპლის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს;

ბ) მოძალადის ხელში ყოფნისა და გაქცევის შანსის არარსებობის გრძნობა;

გ) ძალადობის მსხვერპლის რწმენა იმისა, რომ მოძალადე აფასებს მის ქცევას, აჯილდოვებს მას „კარგი“ საქციელისთვის და სჯის „ცუდი“ საქციელისთვის. ამგვარი მდგომარეობა იწვევს ძალადობის მსხვერპლის ყურადღების სრულ კონცენტრირებას კითხვაზე რა სახის საქციელი აკმაყოფილებს ყველაზე მეტად მოძალადეს. უკეთესი შეფასების მიღების მიზნით, მსხვერპლი ცდილობს თავისი თავი წარმოიდგინოს მოძალადის ადგილას ამოიცნოს მისი სურვილები, ფიქრები და აზრები. ყოველივე ამას, საბოლოოდ, მივყავართ მოძალადისადმი სოლიდარობის გამოცხადებამდე.

განათლების დაბალი დონე გულისხმობს იმას, რომ, მიუხედავად შესაბამისი კანონმდებლო-

¹⁵ გავერთიანდეთ ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად და ქალებისა და გოგონების გასაძლიერებლად საქართველოს უკეთესი მომავლისათვის, საკანონმდებლო ანალიზი, ქ. თბილისი, 2016 წელი გვ.49,

ბის არსებობისა, ქალებს ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ თავიანთი უფლებების შესახებ. იმის შესახებ, რომ არსებობს კანონი, რომელიც იცავს მათ.¹⁶ ამასთანავე, ძალადობის მიზეზებზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რას მოიაზრებს ოჯახის ინსტიტუტი საქართველოში. მისი „იდეალური ტიპი“ მოიაზრებს ურთიერთგაებას, ნდობას, პატივისცემას და რაც მთავარია, გასაიდუმლობას იმისა, რაც ოჯახის ფარგლებში ხდება, იქნება ეს დაპირისპირება, ძალადობა თუ სხვა რამ, რაც ოჯახის პატივსაცემ სახელს შელახვის საფრთხეს უქმნის. ეს ოჯახის ნევრებს, განსაკუთრებით ქალებს, რომელთაც გამორჩეულად მოეთხოვებათ ოჯახურ პარმონიაზე ზრუნვა, აიძულებს, რომ ინფორმაცია ძალადობის შესახებ, იქნება ეს, ფიზიკური, სექსუალური, ეკონომიკური თუ ფსიქოლოგიური, საიდუმლოდ შეინახონ და თავადვე სცადონ პრობლემასთან გამკლავება, სამართალდამცავი ან სოციალური ორგანოების დახმარების გარეშე.

ოჯახში ძალადობის გამოწვევი ერთ-ერთი ფაქტორი, შესაძლოა იყოს არასწორი აღზრდაც. ოჯახური კონფლიქტები და ძალადობა, უარყოფითად მოქმედებს, როგორც ვაჟებზე, ისე გოგონებზე. ამაზე მეტყველებს, სწავლების თეორიის ანალიზიც. სწავლების თეორია გულისხმობს ცნობიერ და არაცნობიერ დაკვირვებას და ამის შედეგად სწავლას. ოჯახური ძალადობისას, თუ ქალიშვილი ხედავს, რომ მამა სისტემატიურად ძალადობს დედაზე, იგი სწავლობს დაზარალებულის ქცევას და თუ თვითონაც აღმოჩნდება მსგავს მდგომარეობაში დაოჯახების შემდგომ, მისთვის ადვილი იქნება ოჯახში ძალადობასთან შეეუბა. აქედან გამომდინარე, ოჯახში მშობლების ძალადობაზე დაკვირვებით, ბავშვების ერთი ნაწილი სწავლობს დაზარალებულის, მეორე კი მოძალადის ქცევას, რომელსაც შემდგომ თვითონაც იყენებენ.¹⁷

ოჯახში ძალადობის შემთხვევათა პრევენციის, გამოვლენისა და მსხვერპლთა შემდგომი რეაბილიტაციის პროცესში, კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული ორგანოების გარდა, ძალზე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არასამთავრობო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებას, ფსიქოლოგებს, პედაგოგებს, ექიმებსა და უურნალისტებს.¹⁸

ქალების მიერ პარტნიორზე ძალადობის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე გარცელებული მიზეზი, სანდერსის (1988) კვლევების თანახმად, თავდაცვის სურვილია. ქალთა ძალიან მცირე ნაწილი თუ აღიარებს, რომ ძალადობას პარტნიორთან ურთიერთობის დასაწყისშივე მიმართეს. ამ შემთხვევაში ძალადობის შედეგიც განსახვავებულია, რაც იმით აისხება, რომ მამაკაცები ფიზიკურად უფრო ძლიერები არიან და ხშირად მიმართავენ ძალადობას. საქართველოში ძალადობრივია ყოველი მესამე ოჯახი. ოჯახში ძალადობა მძიმე შედეგებით აისახება ქალებზე – მოქმედებს მათ ჯანმრთელობასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ნეგატიურ გავლენას ახდენს ურთიერთობის უნარზე, პროფესიულ კონკურენტუნარიანობაზე, ცხოვრების დონეზე, ოჯახური ცხოვრების ხარისხზე და ა.შ. ყველაზე დიდ საშიშროებას ძალადობა ქალის ჯანმრთელობას უქმნის.¹⁹

უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ დეტალური სატატისტიკური მონაცემების წარმოება. უნდა გაძლიერდეს მუშაობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით და სამართალდამცავ ორგანოებს დავალოთ ინფორმაციის გავრცელება ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოძახების დროს, არსებული კანონით გათვალისწინებული დამცავი მექანიზმებისა და სერვისების შესახებ შეიქმნას სპეციალური სტრუქტურული ერთეული, რომელიც უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი ქალთა მიმართ და

16 Swiss taken to task over domestic violence, 2005, http://www.swissinfo.ch/eng/swiss-taken-to-task-over-domestic-violence/4865828?ns_mchannel=ps&ns_campaign=DSA&ns_source=adv&ns_linkname=_cat:swissinfo.ch&gclid=Cj0KEQjwkIurBRDwoZfi1bGCxocBEiQAmcs-eowk_Bu0Euxqs7v5kg_qZmH1CrT-oGpSO3Hb1vegPlaApZk8P8HAQ 09.05.2017

17 შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ. – „არასრულნოვანთა მართლმასჯულების თავისებურებანი: არასრულნოვანთა მართლმასჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციალური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები“, ქ. თბილისი, 2011 წელი, გვ.23.

18 „გავერთიანდეთ ოჯახში ძალადობის აღმოსაფხრელად და ქალებისა და გოგონების გასაძლიერებლად საქართველოს უკეთესი მომავლისათვის“ ქ. თბილისი 2016 წელი, გვ. 19

19 პეტაი ი. „სოციოლოგიის პრიზმიდან დანახული ოჯახური ძალადობა“ ხმა მდუმარეთა, გამომცემლობა „პეტიტი“ 2011 წ. გვ.390;

ოჯახში ჩადენილ დანაშაულთა რეაგირებაზე.

დაინერგოს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების შემდგომი მონიტორინგის მექანიზმი, სადაც განერილი იქნება კონკრეტული ინსტრუქცია, რათა შემცირდეს ძალადობის განმეორების რისკი.²⁰

დასკვნა

ოჯახში ძალადობა მთელი საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემაა. ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ საკითხში საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ასევე მნიშვნელოვანია, სხვადასხვა მოქმედი სტრუქტურებისა და ორგანიზაციების მჭიდრო და კოორდინირებული მუშაობა. მივიჩნევთ, რომ ამ ურთიერთობების ფარგლებში უნდა მოხდეს საჭირო ინფორმაციის შეგროვება, რომელიც შეეხება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებს, სოციალური სტატუსის მქონე ყველა პირისთვის.

ადამიანის უფლების დაცვა მხოლოდ დაცულ საზოგადოებაში შეიძლება. გამოსავალი პრობლემის საჯაროობაშია. თუ მოხდება ოჯახში ძალადობის ფაქტების დამალვა, არაფერი შეიცვლება და არ იქნება ამ კუთხით წინგადადგმული ნაბიჯი და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ვერ შეძლებს თავის უფლებების დაცვას თუ არ ექნება ინფორმაცია მისი უფლებების არსებობის შესახებ. ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია, ამ პრობლემასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ხშირად გაიმართოს დისკუსია და ყველამ ერთად გაიზიაროს, რომ ოჯახში ჩადენილი ძალადობა მსუბუქი დანაშაული არ არის. ამ კუთხით ცნობიერების ამაღლება კი დაეხმარება იმის გააზრებაში რამდენად ირდვევა თუ არა მისი უფლებები და რომ ყველა ადამიანს აქვს ძალადობის გარეშე ცხოვრების უფლება.

²⁰ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2015 წელი.

აღმკვეთი ლონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე

ელენე გოგუაძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა
და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

ოჯახში ჩადენილი ძალადობა ერთ-ერთი გავრცელებული და სპეციფიკური დანაშაულის ფორმაა. ამგვარი დანაშაული მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ფიქსირდება და მოიცავს საზოგადოების ყველა ფენას. ოჯახურ დანაშაულთან ბრძოლის სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია რომ ოჯახში არსებული ძალადობა განიხილებოდეს ერთ-ერთ რთულ და საშიშ მოვლენად, რადგან ამ სახის დანაშაული ხელყოფს როგორც ადამიანის ღირსებას, ჯანმრთელობას და შესაძლოა თავად სიცოცხლესაც კი.

ოჯახში არსებულმა ნეგატიურმა გარემომ შესაძლოა იმოქმედოს საზოგადოებაზე და მომავალ თაობებზე. ბავშვი რომელიც იზრდება დაძაბული ოჯახური ურთიერთობების ფონზე, მკვეთრად განსხვავდება იმ მოზარდებისაგან, რომლებიც იზრდებიან მშვიდ იჯახურ გარემოში. ოჯახში არსებული უთანხმოება მოზარდის ფსიქიკურ განვითარებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. შესაძლოა ამგვარმა ფსიქოლოგიურმა განცდებმა ბავშვი სამომავლოდ მოძალადეთაც კი ჩამოაყალიბოს. არაერთი კვლევის თანახმად, მოძალადე შესაძლოა თავადაც ყოფილიყო მსხვერპლი მცირებლოვნობის ან გარდატეხის ასაკში. სწორედ ამგვარი დანაშაულებრივი ქმედების აქტუალურ პრობლემად უნდა იქნეს განხილული ის ძირითადი ფაქტორი, რომ ოჯახში არსებული ძალადობა იწვევს მნიშვნელოვან სოციალურად საშიშ შედეგებს, ოჯახში იცვლება მორალური კლიმატი, რომელიც განსაკუთრებით მცირებლოვან და მოზარდ ბავშვებზე აისახება. ეს ყოველივე მათში იწვევს გამოუსწორებელ ზიანს, შესაძლოა მოზარდები მივიღნენ ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის ზღვრამდე, ოჯახში არსებულმა ძალადობამ შესაძლოა მათში თვითმკვლელობის სურვილიც აღძრას.

საქართველოს კონსტიტუცია სხვა ძირითად უფლებათა შორის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას განიხილავს. ოჯახური ძალადობა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციით დაცული ადამიანის უფლებათა დარღვევად. „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად კანისა, ფერისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. შესაბამისად ოჯახური ძალადობა უნდა განვიხილოთ, როგორც ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ კონსტიტუციური უფლებების ხელყოფა და დარღვევა.

„თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება არის საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის ღირებულება და უმნიშვნელოვანესი პრინციპი, კონსტიტუციით ადამიანი მიჩნეულია ინდივიდუალ, რომელსაც აქვს თავისი ცხოვრების დამოუკიდებელი და საკუთარი პასუხისმგებლობით ჩამოყალ-

იბეჭის შესაძლებლობა და უნარი¹. ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს: „ადამიანის პატივი და ლირსება ხელშეუვალია“.

რამ შეიძლება გამოიწვიოს ოჯახში ერთი წევრის მიერ მეორის უფლებების დარღვევა, რატომ შეიძლება ოჯახის ერთი წევრი აღმოჩნდეს მოძალადე და ოჯახის მეორე წევრი მსხვერპლი?

ძირითადად მოძალადეს ქმნის გარემო, ანუ ძალადობრივ გარემოში ბავშვობიდან ყოფნა. ასევე უნდა მივუთითოთ ოჯახში არსებული კონფლიქტის მიზეზად – ოჯახში არსებული არასტაბილური სოციალური გარემო, ოჯახის წევრთა უნდობლობა, ურთიერთსატივისცემის დაკარგვა და სხვა. დღესდღეობით ოჯახური ძალადობის გამომწვევ მიზეზად შესაძლოა დასახელდეს უამრავი არაერთგვაროვანი გარემოება. ოჯახში ძალადობის ძირითად მიზეზად შესაძლოა დასახელდეს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თუმცა მხოლოდ „უმუშევრობა და ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა არ შეიძლება მივიჩნიოთ ძალადობის გამომწვევ მიზეზად, რადგან ოჯახში ძალადობა თანაბრად არსებობს, როგორც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, ასევე ეკონომიკურად ძლიერ და განვითარებულ ქვეყნებშიც. ბევრი მოძალადე თავის ქმედებას ალკოჰოლის მიღებით ან ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულებით ხსნის, რაც არასწორია, არავინ ახორციელებს ძალადობას მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ არის. ასეთ დროს მოძალადეს უმძაფრდება პირადი თავისუფლების და სხვებზე ბატონობის შეგრძნება, რაც უკვე ძალადობის ხარისხზე მოქმედებს“².

დღესდღეობით ოჯახური ძალადობის გამომწვევ მიზეზად შესაძლოა დასახელდეს ოჯახში არსებული არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა და ქონებრივი სიდუხჭირე, რაც ადამიანში იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს, აღნიშნული კი, ყოველდღიურად ამძაფრებს უთანხმოებას ოჯახის წევრებს შორის. ასევე, ასეთ გარემოში ყოფნა ოჯახის ერთ წევრს აქცევს დამოკიდებულს მეორე წევრის მიმართ, რომელიც ოჯახში ითვლება ე.წ. „შემომტანად“, უმუშევრობა და ეკონომიკური დამოკიდებულება კი აიძულებს მსხვერპლს აიტანოს ძალადობა, რადგან მისთვის ერთადერთი ფინანსური დასაყრდენი მოძალადეა. არსებობს ასევე ოჯახური ძალადობის შემთხვევები, მაშინ როდესაც ქალის ეკონომიკურ აქტივობას და დამოუკიდებლობას მამაკაცი საფრთხედ აღიქვამს, განსაკუთრებით, თუკი მამაკაცი უმუშევარია რადგან მას ეუფლება ოჯახში საკუთარი ძალაუფლების დაკარგვის შიში, რაც შემდგომ იწვევს ქალის მიმართ ძალადობის გამოვლინებას.

„ძალადობა სხვადასხვაგვარად აისახა ადამიანთა ბეზზე. კონფლიქტებმა და სოციალურმა სიდუხჭირემ ხელი შეუწყო ძალადობის მატებას. ზოგადმა პროცესებმა საზოგადოებაში მორალური და საერთო ლირებულებების კუთხით იჩინა თავი. მაგ: უცხო აღარ იყო ისეთი მოვლენა როგორიც გახლავთ ძალით გათხოვება, მძიმე პირობებში ნარმართული ორსულობა, ისეთ პიროვნებასთან ოჯახის შექმნა, რომელიც ოდესლაც თავად იყო ძალადობის მსხვერპლი და რაც მთავარია ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე დაზარალებული ბავშვები. ასე წარმოიქმნა ჩვენს თვალწინ სიძულვილის დანაშაული, რომელმაც სახელწოდება – ოჯახური ძალადობა მიიღო. მაინც რატომ ოჯახური დანაშაული? იმიტომ რომ ოჯახი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, სადაც ყველაზე დაცულად უნდა იგრძნოს ადამიანმა თავი“³.

ოჯახში არსებული უთანხმოებანი, ხშირ შემთხვევაში იზრდება ძალადობაში და შესაძლოა ამან უფრო მძიმე, ლეტალურ შედეგებამდეც მიგვიყვანოს, თუმცა არ შეიძლება ყოველი ამგვარი ქმედების მიმართ ვიყოთ მეტად მკაცრები და პირველივე შემთხვევაში მივმართოთ რადიკალურ ზომებს, რადგან დანაშაული ჩადენილია ოჯახში, მოძალადე და მსხვერპლი ერთი ოჯახის წევრები არიან და სამომავლოდ ამგვარმა რადიკალურმა ზომებმა შესაძლოა უფრო მეტად გააღიზიანოს როგორც დაპირისპირებული მხარეები, ასევე ოჯახის სხვა წევრები, შესაბამისად, ამგვარი ქმედებანი სახელმწიფოს მხრიდან მეტად ფრთხილ მიდგომებს, ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეულ შესწავლას და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების მიგნებას საჭიროებს.

1 კუბლაშვილი კ. ადამიანის ძირითადი უფლებები. თბ. 2010. გვ.86

2 ბოჭორიშვილი კ. ლორია ა. პრაქტიკული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი 2009. გვ. 9

3 გურამ ნაჭყებია -75 საიტილეო კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2016 წ. ივანიძე მ. ოჯახში ჩადენილი დანაშაული გვ.52-53.

საყურადღებოა ოჯახში არსებული ძალადობის შედეგად დაზარალებული პირი – მსხვერპლი, რომელმაც შესაძლოა განიცადოს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობა, იძულება, სექსუალური ძალადობა და ეკონომიკური ძალადობაც კი. ეს არის ის დაზარალებული რომელიც განსხვავდება სხვა დაზარალებულებისაგან კერძოდ, ქურდობის, ძარცვის, ყაჩალობის, თაღლითობისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად დაზარალებული პირებისაგან, რადგან მათ გვერდით უდგათ ოჯახები, მეგობრები, ახლობლები, ხოლო ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებული პირი რჩება სულ მარტო მოძალადის პირისპირ. იგი ცხოვრობს მოძალადესთან და მუდმივ სტრესში იმყოფება, რის გამოც უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის რისკი მეტია.

საქართველოში ოჯახურ ძალადობაზე მუშაობა 1990-იანი წლების ბოლოდან დაიწყო. 2006 წელს მიღებული იქნა კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“, სადაც განისაზღვრა ოჯახური ძალადობის ცნება და სახელმწიფო დაცვის მექანიზმები, რომელიც ტარდება მოძალადის მიმართ, კერძოდ შემოღებულია შემაკავებელი და დამცავი ორდერი, რაც საშუალებას აძლევს პოლიციას და სასამართლოს სწრაფი რეაგირება მოახდინოს ოჯახში ძალადობის ფაქტზე, უზრუნველყოს მსხვერპლის დაცვა და შეზღუდოს მოძალადის გარკვეული ქმედებები.

რას გულისხმობს აუტომატიზაციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ვინ მოიაზრება ოჯახის ნევრებში – ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით:

ოჯახში რა სახის ძალადობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი – ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ლირსების შელახვას;

იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

სექსუალური ძალადობა – სექსობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სექსობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

როგორც ჩანს, ამგვარი დანაშაულისათვის ძალადობა არ განიხილება მხოლოდ ფიზიკურ ძალადობად, ეს დანაშაული ასევე მოიცავს პირის შეურაცხყოფას, იძულებას, სექსუალურ ძალადობას, მსხვერპლის მიმართ ასევე ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობასაც კი, ამიტომაც საჭიროა ყურადღება გამახვილდეს თითოეული ძალადობის ფორმაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2012 წელს დაემატა 126¹ მუხლი, რაც გულისხმობს „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟს, დამცირებას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა. დანაშაული ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ასორმოცდაათ საათამდე, ან

თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ხოლო თუ იგივე ქმედება ჩადენილია წინასწარი შეცნობით არასრულნლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ; არასრულნლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; ორი ან მეტი პირის მიმართ; ჯგუფურად; არაერთგზის, — ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე".

ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივ რეგულაციით მოხდა ოჯახური ძალადობის ერთ მუხლში სისტემატიზაცია.

„ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივ რეგულაციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი ნიშნები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

დადებითი ასპექტებია: 1. ოჯახური ძალადობის ერთ მუხლში მოქცევა და სისტემატიზაცია; 2. ოჯახში მოძალადე იგრძნობს, რომ იგი მოძალადეა. 3. ქმედებისათვის ადეკვატური სახელის დარქმევა; 4. მოხდება დანაშაულის პრევენცია. 5. დააშინებს იმ პირებს, ვინც პოტენციური მოძალადეა.

უარყოფითი ასპექტი: ხელს უშლის ოჯახის შენარჩუნებას. ოჯახური ძალადობის სისხლის-სამართლებრივი რეგულირება მოძალადეს უკარგავს ოჯახურ ურთიერთობაში დაბრუნების შესაძლებლობას, ვინაიდან იგი შეუძლებლად ჩათვლის მის პოლიციაში დამსმენთან ერთად მომავალში ცხოვრებას".⁴

როგორც უკვე აღინიშნა, ოჯახურ ძალადობას არ შეიძლება მივუდგეთ ერთგვაროვნად, ყოველი ასეთი სისხლის სამართლის საქმე მოითხოვს დიდ ყურადღებას მისი ინდივიდუალიზაციის მხრივ, ზედმინევნით უნდა შეფასდეს ფაქტობრივი გარემოებები, შესწავლილი უნდა იქნეს მოძალადისა და მსხვერპლის პიროვნული მონაცემები, ყურადღება უნდა გამახვილდეს კონფლიქტის რა ზღვარზეა წყვილი, რა ვითარებაში და რა გარემოში უნევთ მათ არასრულნლოვან შვილებს ყოფნა, რას განიცდიან მათი ოჯახის სხვა წევრები, ხომ არ შეიძლება სახეზე იყო სამომავლოდ ძალადობის გაგრძელება როგორც მსხვერპლის ასევე ოჯახის სხვა წევრების მიმართაც, ასევე ყურადღება გასამახვილებელია იმ გარემოებაზეც, რომ შესაძლოა წავანყდეთ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, სადაც შესაძლოა საქმე გვქონდეს შეეულ ბრალთანაც კი, მაშინ როდესაც ცოლი შესაძლოა გვევლინებოდეს როგორც ფსიქოლოგიური მოძალადე, ხოლო ქმარი ფიზიკური მოძალადე, ასეთ შემთხვევაში ორივე პირი მიეცემა პასუხისმგებაში.

ხშირ შემთხვევებში სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების, ბრალდებულის დაკავებისა და ბრალის წარდგენის შემდგომ, სახელმწიფო ბრალმდებელი სავარაუდო მოძალადის მიმართ სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით აღკვეთი ღონისძიების სახით ყველაზე მკაცრი ღონისძიების – პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით. ბრალდება შუამდგომლობას ძირითადად ასაბუთებს მოძალადის მიერ დანაშაულის გაგრძელებასა და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეებზე დაყრდნობით.

სასამართლო სტატისტიკის თანახმად 2016 წლის მონაცემებს თუ გადავხედავთ „თბილისის საქალაქო სასამართლოში შესული იყო სულ ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე (საქართველოს სსკ-ის 126¹ მუხლით) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში ბრალდების მხარის 191 შუამდგომლობა, აქედან პატიმრობის მოთხოვნით შუამდგომლობა იყო 155 შემთხვევაში, ხოლო სასამართლოს მიერ მხოლოდ 80 შემთხვევაში იქნა გადაწყვეტილება მიღებული მოძალადის მიმართ პატიმრობის შეფარდების თაობაზე, დანარჩენ შემთხვევაში მოძალადეს შეეფარდა არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიება, კერძოდ: 22 შემთხვევაში გამოყენებული იქნა გირაო, 41 შემთხვევაში გირაო საპატიმრო უზრუნველყოფით, ერთ საქმეზე ბრალდებული დარჩა აღკვეთი ღონისძიების გარეშე, 3 საქმეზე ბრალდებულ პირს შეეფარდა პირადი თავდებობა, 6 შემთხვევაში ბრალდებულს შეეფარდა აღკვეთ ღონისძიებად შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევ-

4 შალიკაშვილი მ. ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012წ. გამომცემლობა „მერიდიანი“ გვ. 86-87

ის შესახებ, 1 სისხლის სამართლის საქმეზე დამტკიცდა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, ხოლო 1 სისხლის სამართლის საქმეზე შუამდგომლობის ავტორმა გაითხოვა შუამდგომლობა, რის გამოც იგი დარჩა განუხილველი. ასევე აღკვეთი ღონისძიების პატიმრობის გარდა, ბრალდების მხარე ოჯახური ძალადობის საქმეზე სასამართლოში შემოსულია 34 სისხლის სამართლის საქმეზე არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების – გირას შეფარდების მოთხოვნით, აქედან 24 სისხლის სამართლის საქმეზე შუამდგომლობა ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული (გირას თანხის შემცირების ნაწილში), 7 საქმეზე ბრალდებული დარჩა აღკვეთი ღონისძიების გარეშე, ხოლო 3 სისხლის სამართლის საქმეზე დამტკიცდა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ასევე, ბრალდების მხარე 1 სისხლის სამართლის საქმეზე შუამდგომლობდა ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით ხელწერილის გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეფარდებას, რაც დაკმაყოფილდა, ხოლო ერთ საქმეზე მოითხოვდა პირად თავდებობის გამოყენებას, რაც არ დაკმაყოფილდა და ბრალდებული დარჩა აღკვეთის ღონისძიების გარეშე.⁵

გასული წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად ჩანს, რომ დომინანტ ადგილზე ოჯახური ძალადობის საქმეზე არის აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა, მას მოყვება გირაო და სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებანი, ასევე პირი დატოვებულია საერთოდ აღკვეთის ღონისძიების გარეშეც.

შესაძლოა დაისვას კითხვა რა განაპირობებს სავარაუდო მოძალადის მიმართ მიღებული იქნეს გადაწყვეტილება არასაპატიმრო ღონისძიების შეფარდების თაობაზე, მაშინ როდესაც დანაშაულის გაგრძელებისა და მოწმებზე ზემოქმედების ფაქტორები ამგვარ დანაშაულებებს ხშირად ახასიათებთ, ასევე ამგვარი დანაშაულებრივი ქმედების უფრო მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში გადაზიდის რისკები ძალზედ მაღალია.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სასამართლოს მიერ შუამდგომლობის განხილვისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს პირველ რიგში საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და ერთობლივად როგორც ფაქტობრივ ასევე ფორმალურ გარემოებებზე დაყრდნობით უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება. არსებობს საქმის გარემოებანი რომლებიც თვალნათლივ მიუთითებს, რომ ბრალდებულის მხრიდან მაღალია რისკები როგორც დანაშაულის გაგრძელებისა ასევე გამოძიების ხელშეწლისა, მაგალითად ერთ-ერთი საქმის ფაქტობრივი გარემოებები ასეთია: – მოძალადე მეუღლის მიმართ ახორციელებს ძალადობას, რაც გამოიხატა სახეში რამდენიმეჯერ დარტყმით, ასევე ემუქრება მას, რომ აუცილებლად მოკლავს, მუქარის რეალურად აღქმისათვის, თუ მსხვერპლის მიმართ დანაპირების ასრულებისათვის, მოძალადე იღებს ნაჯახს, ძალის გამოყენებით ეზოში გაჰყავს მეუღლე და ეუბნება, რომ მას თავს მოაჭრის, ამის შემსწრე არის მათი არასრულწლოვანი 16 წლის გოგონა რომელიც დედის საშველად მიდის, მამა მის მიმართაც ახორციელებს ძალადობას, დანამდვილებით ვერ ვიტყვით მოიყვანდა თუ არა სისრულეში მოძალადე მუქარას, თუმცა ამგვარ სისხლის სამართლის საქმეზე ვფიქრობ ასეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას და ასევე იმ ფორმალური საფუძვლებით, როგორიცაა პირის მიერ ამგვარი ქმედების არაერთგზის ჩადენა, საკმარისი იქნება მოძალადეს აღკვეთი ღონისძიების სახით განესაზღვროს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მკაცრი ფორმა პატიმრობა.

შემდგომ სისხლის სამართლის საქმეზე ოჯახში განხორციელებული ძალადობის ფაქტობრივი გარემოებები ასეთია: – მამამ არასულწლოვანი შვილის, 8 წლის გოგონას მიმართ განახორციელა ძალადობა, იგი ბავშვს ურტყამდა მუშტებს სახის არეში, ასევე ურტყამდა ხერხემალში, ბავშვს გაქცევის საშუალებაც კი არ ჰქონდა, ვინაიდან დანაშაულებრივი ქმედება ხორციელდებოდა (ლიფტი) ჩაკეტილ სივრცეში, სადაც ბავშვის დედას არ მიეცა საშუალება დახმარებოდა მის შვილს, რათქმა უნდა მოტივს ამგვარი ქმედებისათვის არ განვიხილავთ, თუმცა მკითხველისათვის საინტერესო იქნება, რომ მამამ საკუთარი 8 წლის გოგონა ცემა იმიტომ რომ იგი მაღაზიაში შეძნილი პროდუქტებით სახლის ეზოში წაიქცა და დაზიანდა მოძალადისათვის მისატანი სიგარეტი.

5 საერთაშორისო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისა და სტატისტიკის სამსახური. თბილისის საქალაქო სასამართლო.

ამ ორი მაგალითის შეფასებისას, საქმის როგორც ფაქტობრივი და ასევე ფორმალური გარე-მოებების გათვალისწინებით, სასამართლოს სამართლებრივი საფუძველი გააჩნია, ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს უფლებათა შეზღუდვის ყველაზე მკაფრი ფორმა – პატიმრობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული როგორც დანაშაულის გაგრძელების, ასევე მოწმეთა მიმართ ზემოქმედების რისკები, შესაბამისად, ამგვარი გარემოებების არსებობისას აღკვეთის ღონისძიების სახით არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას. ასევე, სასამართლოს მიერ აუცილებლად უნდა იქნეს მხედვებლობაში მიღებული ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები, ასევე მის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედების სპეციფიკა და ქმედების ჩადენის ხერხი, ამგვარ დანაშაულებებს ყოველთვის ახასიათებს ქმედების განმეორებითობა, ვინაიდან ამის ფაქტორია მოძალადისა და მსხვერპლის ერთად ცხოვრება, მაშინ როდესაც პირი (მოძალადე) უუნაროა კონტროლი გაუწიოს თავის რისხებს, რომელიც მიმართულია მისივე ოჯახის წევრების მიმართ და ამასთან არასრულწლოვანი შვილების თვალწინ და მათ მიმართაც. ამგვარი ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები სრულად აკმაყოფილებს პირის მიმართ აღკვეთი ღონისძიების პატიმრობის შეფარდების სტანდარტს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ „ოჯახური ძალადობა ყველაზე მეტად ეხება ცოლ-ქმარსა და შვილებს, იგი განსხვავდება სხვა სახის ძალადობისაგან თავისი ჩაკეტილი სივრცით და არაერთჯერადი ხასიათით. ოჯახური ძალადობა სცილდება ოჯახის ფარგლებს და საშიშ სოციალურ პრობლემად გადაიქცევა, რადგან ოჯახში დანერგილი ძალადობის მოდელი მოიცავს არა მხოლოდ კონფლიქტურ წყვილს, არამედ მთლიანად ოჯახის წევრებს“⁶, ოჯახური ძალადობა ყველაზე მეტად ბავშვების ფსიქიკაზე აისახება.

ზემოაღნიშნული საქმეებიდან ერთ-ერთზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი და მოძალადეს მიესავა სასჯელი თავისუფლების აღკვეთი სახით, ხოლო მერე სისხლის სამართლის საქმე არსებითი განხილვის სტადიაზე იმყოფება.

ასევე არაერთი საჩივარი იქნა გაგზავნილი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნებიდან. „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთი გადაწყვეტილებაში რომელიც ეხება ოჯახურ ძალადობას, /საქმე ერემია და სხვები მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ N3564/11, 28.05.2013/ დაადგინა, რომ საქმეში დარღვეულია:

კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) ლილია ერემიასთან მიმართებით;

დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მის ორ ქალიმებითან მიმართებით;

დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში ქლილია ერემიასთან მიმართებით;

წინამდებარე საქმე ეხებოდა აპლიკანტების საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მოლდოვის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მათი დაცვა პოლიციელი ქმრისა და მამის ძალადობრივი და შეურაცხმყოფელი ქმედებისგან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად ძალადობის შესახებ ინფრომაციის ფლობისა, ხელისუფლებამ ვერ გაატარა ეფექტური ღონისძიებები, მომჩინის ქმრის შესაკავებლად და ოჯახში ძალადობისაგან აპლიკანტის დასაცავად. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ძალადობის განმეორების აღსაკვეთად ეფექტური ნაბიჯები არ გადადგმულა, მიუხედავად იმისა, რომ მამის მიერ დედაზე ძალადობის განხორციელებას ქალიშვილებზე უარყოფითი ფსიქოლოგიური გავლენა ჰქონდა. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების დამოკიდებულება წარმოადგენდა ძალადობის პატიებას; ეს დამოკიდებულება ქალბატონი ერემიას, როგორც ქალის მიმართ დისკრიმინაციული ხასიათის იყო“⁷.

⁶ <http://www.nplg.gov.ge> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ძალადობა ოჯახში. ძირითადი დასკვნები 7 ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის

კონვენციაში არსებული მრავალი ნორმა ზოგადი ფორმულირებისაა, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაანალიზების გარეშე რთული იქნებოდა კონვენციის დებულებათა სწორად განმარტება და გამოყენება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებანი და გადაწყვეტილებანი ხსნიან და განმარტავენ კონვენციის ტექსტს, სწორედ ევროპული გადაწყვეტილებები აღქმულ უნდა იქნეს სამართლის წყაროდ, ვინაიდან ისინი პრეცედენტებია. ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების ჩამონათვალი ძირითადად ემთხვევა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა კატალოგს. შესაბამისად, ქართული სასამართლოები ხშირ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების მისადაგებით იყენებენ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, როგორც პრეცენდენტებს. ასევე, სახელმწიფოს მოვალეობაა გააქტიუროს ყველა შიდა მექანიზმი და რესურსი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის მაქსიმალური დაცვა და მოძალადის მიმართ განახორციელოს კანონით დადგენილი ყველა ღონისძიებები. რათა მოძალადის მიერ გათვითცნობიერებული იქნეს თავისი ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი და სამომავლოდ მისი მხრიდან გამორიცხული იყოს ძალადობის ხელახალი განმეორება.

არსებობს შემთხვევები როდესაც ოჯახურ ძალადობაში ბრალდებული პირი უაღრესად ნანობს მის მიერ ჩადენილ ქმედებას, რაც გამოწვეული იყო მისი მხრიდან ემოციურობით და თავშეუკავებლობით, მას რცხვენია და ბოდიშს უხდის ოჯახს, წარსულში ასეთ შემთხვევას ადგილი არასდროს არ ქონია, პირი არ არის ნასამართლევი და ადმინისტრაციულსახდელდადებულიც კი, ხასიათდება მეზობლებისა და კოლეგების მხრიდან დადებითად, არის დასაქმებული, უზრუნველყოფს ოჯახს, და რაც მთავარია მსხვერპლი ითხოვს, რომ მის მეუღლეს აპატია და მიეცეთ უფლება რომ განაგრძონ ცოლ-ქმრული თანაცხოვრება. მიუხედავად ასეთი ფორმალური საფუძვლებისა ასეთ შემთხვევებშიც კი სასამართლომ აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება დანაშაულის გაგრძელების რისკებზე, უნდა გაანალიზოს რამდენად გულწრფელია ბრალდებული, ხომ არ არის ზემოქმედება მომხდარი მსხვერპლზე თავად ბრალდებულის ან მათივე ოჯახის წევრების მხრიდან.

თუმცა საინტერესოა რა უბიძგებს მსხვერპლს გაუჩნდეს სურვილი დაიბრუნოს მოძალადე, ამის გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს ეკონომიური ან/და ემოციური ფაქტორები. სწორედ ამგვარმა გარემოებებმა არ უნდა შეიყვანოს სასამართლო შეცდომაში, რადგან ამგვარი ხასიათის დანაშაული თავის მხრივ გამოირჩევა სპეციფიკურობით თითქოს მოჩვენებითიც კი, რომ ოჯახის წევრებს შერიგება სურთ და ამაში გარე ფაქტორები უშლის ხელს, თუმცა ამგვარი რისკების თავიდან აცილებაც არის შესაძლებელი, თუ კი სავარაუდო მოძალადის მიმართ გამოვიყენებთ არასაპატიმრო ღონისძიებას და დავუწესებთ მას გარკვეულ შეზღუდვებს.

პირველ რიგში თუ კი მსხვერპლი ვინმეს მიერ განიცდის ზენოლას ან ცდილობს მოძალადე დაიხსნას ეკონომიური თუ ემოციური ფაქტორებიდან გამომდინარე, სწორედ ეს გარემოება შესაძლოა მივიჩინოთ იმ მაღალი რისკების შემცველ გარემოებად, რასაც შესაძლოა მოყვეს დანაშაულის გაგრძელება, ასეთ შემთხვევაში შედეგები შესაძლოა იყოს უფრო მძიმე ვიდრე მხოლოდ ძალადობა. მაგრამ თუკი მოძალადის პატიმრობიდან დახსნის სურვილი მსხვერპლის მიერ არის გულწრფელი და თავად სავარაუდო მოძალადეც აღიქვამს მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგებს და ნანობს მას, რატომაც არ უნდა მიეცეს საშუალება ბრალდებული – იყოს თავისუფალი, შესაძლოა მოძალადეს პრეცენციის სახით შეზღუდვად დაუწესდეს გარკვეული დროის განმავლობაში პოლიციის ორგანოში გამოცხადება, ან თუნდაც დაევალდებულოს არ მიუახლოვდეს მსხვერპლს, ამის საშუალებას იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი. ამ შემთხვევაშიც კი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის პიროვნული მახსასიათებელი, ის, რომ ბრალდებული წარსულში არ ყოფილა ადრე ნასამართლევი, ეს არის პირველი შემთხვევა და რომ ძალადობას სისტემატიური ხასიათი არ ჰქონია, მის მიმართ მომხდარ ფაქტამდე არ ყოფილა გაცემული შემაკავებელი ორდერი, არ არის ად-

მინისტრაციულსახდელდადებული პირი, არის დასაქმებული, ხასიათდება დადებითად, ამ შემთხვევებშიც კი რისკები მაღალია, თუმცა არავის შეუძლია განსაზღვროს თითოეული ბრალდებულის – მოძალადის მოქმედება თუ რისი ჩამდენია იგი მომავალში.

მინდა ასევე მკითხველის ყურადღება გავამახვილო ისეთი ფაქტობრივი გარემოებების ირგვლივ, რომელსაც მოცემული სტატიის წერის დროს გავეცანი ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში: ოჯახური ძალადობის მსხვერპლი არის 17 წლის გოგონა და მოძალადე არის მამა. ძალადობა გამოიხატა მამის მიერ შვილის სიტყვიერი შეურაცხყოფის დროს სანთებელის სროლაში, რითაც გოგონას სახეზე განუვითარდა სისხლჩაქცევა. მამასა და შვილს შორის უთანხმოება გამოიწვია გოგონას მიერ არასახარბიელო აკადემიურმა მოსწრებამ სკოლაში და მასწავლებლებთან, აღნიშნულზე უკმაყოფილო შშობელმა მოთხოვა შვილს გაეცა პასუხი თუ რატომ აცდენდა იგი სკოლას და რატომ არ დადიოდა მასწავლებლებთან, რადგან იყო აბიტურიენტი და მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სწავლის მხრივ, ასევე, მამა შვილის სწავლისათვის გარკვეული ფინანსური ვალდებულებების წინაშეც იდგა. მამის შეკითხვაზე გოგონამ არაედეკვატურად – სიცილით უპასუხა და მოთხოვა მამას თავი დაენებებინა მისთვის, სწორედ ასეთი დიალოგის შემდგომ მოხდა მამასა და გოგონას შორის უთანხმოება, რის შემდგომ მამა მიდის სახლიდან და ღამეს ავტომანქანაში ათევს. გოგონა მაშინვე უკავშირდება მეგობარს, რომელიც არის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, იმავე დღეს აღიძრა სისხლისამართლებრივი დევნა მამის მიმართ ოჯახური ძალადობის ფაქტზე. ბრალდებულის პირველი წარდგენის სასამართლო სხდომაზე მოძალადე გულწრფელად ნანობდა მომხდარ ფაქტს და ოჯახში არსებული არცთუ ისე სახარბიელო ეკონომიური მდგომარეობის მიუხედავად, მზადყოფნას გამოთქვამდა შეფარდებოდა აღკვეთი ღონისძიების სახით გირაო, რასაც ასევე ბრალდების მხარეც შუამდგომლობდა სასამართლოს წინაშე.

როგორც უკვე აღინიშნა დღეის მდგომარეობით ამგვარი დანაშაულებრივი ქმედების მიმართ ბრალდების მხარე უმეტეს შემთხვევაში სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს მოძალადის მიმართ მკაცრი აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეფარდების თაობაზე, თუმცა ამ შემთხვევაში თავად ბრალდების მხარე ითხოვდა მოძალადის მიმართ, არასაპატიმრო ღონისძიების – გირაოს შეფარდებას. მიდგომები ოჯახური დანაშაულის მიმართ როგორც ბრალდების მხარის, ასევე მართლმსაჯულების, უცილობლივ უნდა იყოს ინდივიდუალური, აღნიშნული დანაშაული უფრო მეტად საჭიროებს ფაქტობრივი გარემოებების სიღრმეებში შესვლას ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე და მასზე ასევე ფორმალურ საფუძვლებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებას.

იმისათვის, რომ დადგინდეს რამდენად უზრუნველყო საქართველოს კანონმდებლობაში გატარებულმა ცვლილებებმა ოჯახური ძალადობის პრევენცია, აუცილებელია ჩატარდეს კვლევა საქართველოს მასშტაბით, თუ რამდენ საქმეზე დადგა მოძალადის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი, რა სახის სასჯელი განესაზღვრათ მოძალადებს, რამდენ მათგანში მოხდა რესოციალიზაცია და რამდენი მათგანი მიეცა პასუხისმგებაში ძალადობის ქმედების განმეორებით ფაქტთან დაკავშირებით. ამგვარი კვლევა მოგვცემს საშუალებას თამამად ვისაუბროთ, რომ კანონმდებლობაში გატარებულმა ცვლილებებმა მოგვცა თუ არა შედეგი, თუ ოჯახური ძალადობის დანაშაული კვლავ მოითხოვს ხარვეზების მიგნებას და მათ სათანადო გაანალიზებას.

მინდა ასევე მკითხველის ყურადღება გავამახვილო იმ წიუანსზე, რომელიც ამგვარი ქმედებების მიმართ ბოლო ხანებში გამოვლინდა სასამართლოებში – უმეტეს შემთხვევაში ოჯახური დანაშაულების საქმის არსებით განხილვის დროს, მაშინ როდესაც ხდება მტკიცებულება-თა გამოკვლევა და უნდა მოხდეს მსხვერპლის ან მოწმის დაკითხვა, მოწმედ დასაკითხი იყენებენ მათ მიმართ მინიჭებულ უფლებას და უარს ამბობენ ჩვენების მიცემაზე სასამართლოში მოძალადის წინააღმდეგ, ისინი არ აძლევენ მამხილებელ ჩვენებას მათი ოჯახის წევრის მიმართ, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს გამამართლებელი განაჩენები მოძალადეთა მიმართ. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მოძალადების მიერ გამამართლებელი განაჩენები მხოლოდ ამგვარი

გარემოებების გამო, აღნიშნული საკითხიც მოითხოვს მეტი ინფორმაციის მიღებას და მეტ კვლევას, მიგნებული უნდა იქნეს ისეთი იუსტიციური ნორმები, რომლებიც მაქსიმალურად დაიცავს მსხვერპლს მოძალადისაგან.

ისმის კითხვა, როგორ ავიცილოთ თავიდან ამგვარი დანაშაულები და როგორ არ მივცეთ მას საშუალება განვითარდეს. „ამ საკითხს აქვს თავისი გლობალური და მეცნიერული ახსნა. გლობალური თვალსაზრისით მიზეზები მრავალმხრივია. საზოგადოების ნაწილს არ შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა. ხშირად იმიტომ, რომ კარგად არ იცნობს კანონს. ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენს მიმართვიანობა, ანუ რამდენად მიმართავს ესა თუ ის პირი შესაბამის ორგანოს (პოლიცია). და ბოლოს, საზოგადოების თითოეული წევრის დამოკიდებულება დანაშაულისადმი. ის, რომ საზოგადოების ნაწილს შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა, გარდა სამართლებრივი აღზრდისა, ბევრ ფაქტორთან არის დაკავშირებული. ამ კუთხით თავს იჩენს ზოგადად განათლების პრობლემა – რაც ვფიქრობთ, მრავალმხრივი ღონისძიებებით უნდა განხორციელდეს. ძირითადად კი სკოლიდან უნდა დაიწყოს. კერძოდ უნდა მოხდეს ოჯახის ინსტიტუტის, ძირითადი ღირებულებებისა და ფასეულობების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი გაძლიერებული პროგრამების შეთავაზება. ეს ყოველივე ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების შექმნის საფუძველია. (ტრენინგები). რაც შეეხება მიმართვიანობას, აյ მსხვერპლი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იგი დაცული იქნება როგორც სამართალდამცავი ორგანოებისაგან, პარალელურად საზოგადოების თითოეული წევრის თანადგომას დაიმსახურებს“.⁸

„საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მეორე ნაწილი იცავს ოჯახურ ურთიერთობებს, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას. მოცემული უფლება იცავს ოჯახს, როგორც აღზრდისა და ცხოვრების გაერთიანებას, ოჯახურ მშვიდობას. შესაბამისად უმჯობესი იქნებოდა ოჯახური ძალადობის მედიაციის შემოღება, რაც ხელს შეუწყობდა ოჯახის შენარჩუნებას“.⁹

ამიტომ აუცილებელია, ამ მხრივ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული უნდა იქნეს სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, მედია, პრესის საშუალებები, ფსიქოლოგები, რადგან ოჯახური ძალადობა – ეს არ არის მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ოჯახის პრობლემა, ეს არის მთლიანად საზოგადოებისა და სახელმწიფოს პრობლემა, რადგან ოჯახი სახელმწიფოს საფუძველია, რაც გარკვეულწილად ქმნის სახელმწიფოს – სახელმწიფოში, მათ შორის არსებობს კავშირი და ეს კავშირია კეთილდღეობა, რადგან სახელმწიფოს კეთილდღეობა განსაზღვრავს ოჯახის მდგომარეობასა და კეთილდღეობას და პირიქით.

იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახში არსებული ძალადობა მოიცავს კონფლიქტურ წყვილს, რომ უმეტეს შემთხვევაში მსხვერპლი არის ქალი, სწორედ ამ რეალობამ მიიყვანა მსოფლიო საერთაშორისო საზოგადოება, რომ მიღებული ყოფილიყო სტამბოლში „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენცია. კონვენციის ქავუთხედია ისეთი საკითხები, როგორიცაა ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და მოძალადებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. კონვენცია მოუწოდებს საზოგადოების ყველა წევრს, განსაკუთრებით მამაკაცებსა და ბიჭებს, შეცვალონ მათი დამოკიდებულება ძალადობის მიმართ. არსებითად, ეს არის ხელახალი მოწოდება ქალებსა და მამაკაცებს შორის მეტი თანასწორობისაკენ. კონვენცია აღიარებს ქალთა მიმართ ძალადობას ადამიანის უფლებების დარღვევად და დისკრიმინაციის ფორმად. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს, პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, თუ ისინი ამგვარ ძალადობაზე ადეკვატურ რეაგირებას არ მოახდენენ. ასევე აღსანიშნავია, რომ კონვენცია სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენს მთელი რიგი ისეთი მნიშვნელოვანი დანაშაულებისთვის, როგორიცაა ქალის გარეთა სასქესო ორგანოების „დაცვეთა“, იძულებითი ქორწინება, დევნა (გადაკიდება/აკვიატებული დევნა),

8 გურამ ნაჭყებია-75 საიუბილეო კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2016წ. ივანიძე მ. ოჯახში ჩადენილი დანაშაული გვ.58-59.

9 შალიკაშვილი მ. ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012წ. გამომცემლობა „მერიდიანი“ გვ. 86-87

იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია. კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩართონ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები და სამსახურები, რათა ეს პრობლემა კოორდინირებული ძალისხმევით გადაიჭრას. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვას.

დაიგვაზლა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

☎ 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com

ISSN 2449-3112



9 772449 311009